# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 13 მარტი, 2008 წელი.

№ 47 (5905)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.


## გუშინ პარლამენტის შენობის წინ



ჯემალ კასრაძის ფოტო.

**ჯონდი ბაღათურია:**

## პირველ ეტაპზე საჭიროა, სააკაშვილი უპარლამენტოდ დავტოვოთ



4



5

**ვალერი კვარაცხელია:**

## გაღარიბების ფორმულა



## სწორი გზით მივდივართ?

6-7

## საქართველოს ხელისუფლებას პოლიტიკური ძალადობის დასჯისკენ მოუწოდებენ

3



3

**რატი სამყურაშვილი:**

## საკონსტიტუციო ცვლილებებით ვინ დარჩება მოგებული, ამას არჩევნები გადაწყვეტს

## ნატო საქართველოს საჰაერო საზღვრის გაკონტროლებაში დაეხმარება

11





კრიმინალი 8

- 13 წლის მკვლელი
- „ილაღზე" მიშვებული ახალგაზრდობა
- არასრულწლოვანმა კაცი იმსხვერპლა

● ბოლო მოწვევის პარლამენტს აფხაზეთის საკითხი არ განუხილავს. პარლამენტარები მხოლოდ და მხოლოდ განცხადებებით შემოიფარგლნენ. 2004 წლის აპრილში უარი თქვეს აფხაზეთიდან დევნილ დეპუტატებზე. მათი სკამები ცარიელი დარჩა. შესაბამისად, მთელი ოთხი წლის განმავლობაში, აფხაზეთის საკითხზე მსჯელობა არ ყოფილა. რუსეთის ყველა ქმედება პარლამენტს ოფიციალურად უნდა შეეფასებინა



◎ აზრი

რამდენიმე თვეა ქართული პოლიტიკური ცხოვრება აქტიურ ფაზაშია, ამ უკანასკნელ დღეებში ვითარებათა ესკალაციამ ლამის კულმინაციას მიაღწიოს. რუსეთიც ყურადღებას არ აღუნებს და შანსს არ უშვებს ხელიდან საქართველოს „გასამწარებლად“, მით უმეტეს, ბუქარესტის სამიტის წინ. რუსეთი რომ კოსოვოსა და აფხაზეთის პრეცედენტს შორის პარალელებს ავლებს, ამაში ახალი არაფერია, მაგრამ არათუ საქართველო, არამედ ევროკავშირის წევრი ქვეყნებიც კი საგონებელში ჩააგდო რუსეთის განცხადებამ აფხაზეთისათვის ეკონომიკური სანქციების გაუქმების შესახებ.



რუსეთმა სურვილი გამოხატა, ცალმხრივად გავიდეს და თავი აარიდოს იმ დოკუმენტის შესრულებას, რომელიც 1996 წლის 19 იანვარს მოსკოვში მიიღო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების მეთაურთა საბჭომ.

აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ გადაწყვეტილება რვა პუნქტისაგან შედგება და ჩაწერილია, რომ დსთ-ს წევრი ქვეყნები ვალდებულებას იღებენ, მხარი არ დაუჭირონ სეპარატისტულ რეჟიმებს, არ დაამყარონ მათთან პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა სახით ურთიერთობა, არ გაუწიონ მათ ეკონომიკური, ფინანსური, სამხედრო და სხვა დახმარება. წლების წინათ ამ გადაწყვეტილების ინიციატორი რუსეთი იყო, თუმცა დღეს მისთვის ეს მიუღებელი აღმოჩნდა (თუმცა როდის ასრულებდა ამ პუნქტებს, საკითხავიაძ.

ამ საკითხებზე ვესაუბრეთ აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს თემურ მჟავიას.

# თემურ მჟავია: ხელისუფლებას რუსეთთან დასაპირისპირებელი რესურსი არა აქვს

— ჩემთვის გაუგებარია, ჩვენი პოლიტიკოსები ამ გადაწყვეტილების მე-3 პუნქტზე რომ ამახვილებენ ყურადღებას, მაშინ როცა იქ ბევრი მუხლია, რომელიც ჩვენს სასარგებლოდ იმოქმედებდა, თუმცა ამით არ აპელირებენ. ამ დოკუმენტს რუსეთი ყოველთვის უგულებელყოფდა. ის პერმანენტულად არღვევდა ამ მუხლებს, მაგრამ სერიოზულად ვერ ვრეაგირებდით. ამ გადაწყვეტილებიდან რუსეთის გასვლას სერიოზული მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ.

რა უშლიდა ხელს რუსეთს აფხაზეთის შეიარაღებაში, ის აქამდეც თავისუფლად ახერხებდა ამას? ამის შესახებ ჩვენ პუტინმა გაგვაფრთხილა კიდეც, როცა თქვა „Мы не будем обизяничать“. ის აშკარად დაუპირისპირდა საქართველოს, მოსალოდნელია, რომ დუმაც 13 მარტს სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობას აღიარებს.

**— რამდენად გაუწევს ანგარიშს მსოფლიო საზოგადოება რუსეთის ამ აღიარებას?**

— ასეთი გადაწყვეტილება პრაქტიკულად ნიადაგის შემზადებაა და საერთაშორისო თანამეგობრობა რუსეთის აზრს ანგარიშს უწევს. ამიტომ ჩვენც უნდა დავიწყოთ პრევენციული ზომების მიღება, შევქმნათ პროცესები, თუმცა ამის გაკეთება საკმაოდ რთულია. ყველა საქმიანობა, რომელსაც რუსეთი ახორციელებდა აფხაზეთში, იყო ანექსია: საპასპორტო, ეკონომიკური, სამხედრო თუ პოლიტიკური.

რით შეგვიძლია დავაოკოთ რუსეთის აგრესია? — ამის რეცეპტი ჩვენ არა გვაქვს, მაგრამ უნდა ვიბრძოლოთ, რომ მსოფლიო საზოგადოებას რუსეთი, როგორც აგრესორი დავანახოთ, ასევე, დავამტკიცოთ, რომ ფაქტობრივად რუსეთმა განახორციელა აფხაზეთის ოკუპაცია.

**— რუსეთის მკვეთრი გადაწყვეტილება სოჭის ოლიმპიადას ხომ არ უკავშირდება, თუმცა მიხეილ სააკაშვილმა სოჭის ოლიმპიადა დადებითად შეაფასა...**

— ჩვენ მაშინვე პროტესტი და ეჭვიც გამოვხატეთ, ხომ არ არის ეს გარიგების საგანი, მაშინ როცა აბსოლუტურად მოუმზადებელმა სოჭმა გაიმარჯვა. ჩემი აზრით, აქ იმუშავა დიდმა ფინანსურმა საშუალებებმა.

სააკაშვილის რეაქცია გამართლებული იყო, რადგან ჩვენ გვექლევა ბერკეტები რუსეთზე ზემოქმედებისთვის. საქართველოს შეუძლია კატეგორიულად მოსთხოვოს საერთაშორისო საზოგადოებას, აღიარონ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. თუკი არ მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს, ქართულ საზოგადოებაში შეიქმნება მძლავრი წინააღმდეგობის იდეოლოგიის ჩამოყალიბება, შესაბამისად, მძლავრი წინააღმდეგობის მოძრაობა.

**— ხელისუფლება იმედოვნებდა, რომ გადაიხედებოდა მოლაპარაკების ფორმატი?**

— ვინაიდან ყველა აქამდე არსებული მოლაპარაკება არაპროდუქტიულია, ამიტომ აუცილებელია ამ ფორმატის გადახედვა და რუსეთის, როგორც დაპირისპირებული მხარის აღიარება.

**— რუსეთი უგულებელყოფს ყველას და ყველაფერს...**

— სიმართლე ერთია. რუსეთის მიერ არის ოკუპირებული აფხაზეთი, ამიტომ მისი, როგორც კონფლიქტის მომგვარებლის აღქმა არ შეიძლება.

**— იქნებ კარგიც კი არის, რომ რუსეთი გავიდა გადაწყვეტილებიდან და „ბრჭყალებიც“ ღიად გამოაჩინა?**

— ამიტომ ვამბობ, რომ პოლიტიკური ისტებლიშმენტი მხოლოდ მესამე მუხლზე კი არ უნდა საუბრობდეს, არამედ იმაზე ვიმსჯელოთ, თუ რას მოგვიტანს რუსეთის ცალმხრივად გასვლა. რუსეთმა რომ უარი თქვა შუამავლის სტატუსზე, ეს ნიშნავს, რომ მან უკვე უარყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა.

საგულისხმოა, რომ ბოლო მოწვევის პარლამენტს აფხაზეთის საკითხი არ განუხილავს. პარლამენტარები მხოლოდ და მხოლოდ განცხადებებით შემოიფარგლნენ. 2004 წლის აპრილში უარი თქვეს აფხაზეთიდან დევნილ დეპუტატებზე. მათი სკამები ცარიელი დარჩა. შესაბამისად, მთელი ოთხი წლის განმავლობაში, აფხაზეთის საკითხზე მსჯელობა არ ყოფილა. რუსეთის ყველა ქმედება პარლამენტს ოფიციალურად უნდა შეეფასებინა.

საჭიროა ახალი გადაწყვეტილებების მიღება. რუსეთის ხელშეწყობით 1992 წლის 23 ივლისს აფხაზეთის მთავრობის სეპარატისტულმა ნაწილმა სახელმწიფო გადატრიალება განახორციელა, რომელსაც შემდეგ ჯარების შეყვანა მოჰყვა. ეს უნდა გავაგებინოთ საერთაშორისო თანამეგობრობას. 18 წლის წინათ დაწყებულ ვითარებას თავისი შეფასება უნდა მიეცეს.

**— არც ოპოზიცია გამოირჩეოდა აქამდე აფხაზეთზე ან ცხინვალის რეგიონზე ზრუნვით, თუმცა ახლა კვოტებს თქვენს მაგივრად ოპოზიცია ითხოვს...**

— მართალია, ოპოზიციის მხრიდან არასოდეს ყოფილა ინტერესი, მაგრამ ახლა ეს ხდება კონიუნქტურული სიტუაციის გათვალისწინებით. აფხაზეთის საკითხი რატომღაც აქტუალობას ახლა იძენს. ოპოზიცია სკამების მოთხოვნით კი არ უნდა გამოდიოდეს, არამედ ტერიტორიული მთლიანობისა. ნურარც ხელისუფლებისაგან მოვითხოვთ რამე კატეგორიულს, რადგან რუსეთთან დასაპირისპირებელი რესურსი მას არ აქვს. ერთადერთი გარანტი არის ნატო, მხოლოდ სამხედრო-პოლიტიკური ერთობა შეძლებს საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას.

**— ბატონო თემურ, აფხაზეთის უზენაესი საბჭო რამდენად აქტიურად არის ჩართული ამ პროცესებში, თქვენ თითქოს გაუცხოებული სუბიექტივით არსებობთ, არადა, პირიქით უნდა იყოს?**

— ვიღებ ამ შენიშვნას, საზოგადოებას უფრო მეტად უნდა აინტერესებდეს კონფლიქტის მოგვარება. შეგნებულად გვაშორებენ დევნილ საზოგადოებას და აფხაზეთის მთავრობას, თუმცა ეს ცალკე თემაა. ჩვენ რომ გავაქტიურდეთ, გვჭირდება ავტორიტეტის ამაღლება, ამისთვის ხელი უნდა შეგვიწყონ ხელისუფლებამ, ოპოზიციამ, საზოგადოებამ, მეცნიერმა, პოეტმა თუ სპორტსმენმა.



ესაუბრა
**თეა მოსია**

◎ აქცია

## შიმშილობა გრძელდება

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ოფისში სამართლიანი არჩევნების მოთხოვნით შიმშილობის აქცია გრძელდება. შიმშილობა ორი დღის წინათ დაიწყო. როგორც პარტიიდან იტყობინებიან, აქციაში მონაწილეობენ ბაჩუკი ქარდავა (ედპ-ის თავმჯდომარე), უტა ლიპარტია (ედპ-ის აღმასრულებელი მდივანი), გიორგი გოგნიაშვილი (ედპ-ის პოლიტიკური მდივანი), გურამ ჩახვაძე, პაატა ბაკურაძე (ედპ-ის მთავარი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები) და ხვიჩა ჭანტურია (ცენტრალური ოფისის ხელმძღვანელი).

ინტერპრესნიუსი

◎ ენა, მამული, სარწმუნოება

„ქართულ ენას საქართველოსთვის ყოველთვის უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭებოდა, საუკუნეების მანძილზე, ჯერ კიდევ სამეფო-სამთავროებად დაყოფილ ქვეყანას ენა აერთიანებდა. სწორედ ამიტომ ქართველისთვის ხშირად ენა ერთიანობისა და სარწმუნოების სიწმინდესთან ასოცირდებოდა“, — ამბობდნენ „რუსთაველის“ მეტროსთან შეკრებილი არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის „მოძრაობა 1978“-ის წევრები. მოძრაობა ქართული ენის დაცვის მიზნით ჩამოყალიბდა.

„ვაცნობიერებთ, რომ ქართულ ენას სერიოზული საფრთხე ემუქრება, მისი დაცვა კი თითოეული ჩვენგანის ვალია“, — გვითხრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის II კურსის სტუდენტმა, „მოძრაობა-1978“-ის ხელმძღვანელმა ლევან ჩიტაძემ.

„მოძრაობა-1978“ 5 მარტს უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში, მელიქიშვილის ბიუსტთან ჩამოყალიბდა. იგი 3 არასამთავრობო ორგანიზაციის 50-მდე სტუდენტს აერთიანებს. უახლოეს დღეებში მას რამდენიმე ინსტიტუტის ახალგაზრდები კიდევ შეუერთდებიან.

## სტუდენტები ენის დაცვის ინსტიტუტის შექმნას მოითხოვენ

ლევან ჩიტაძის თქმით, კოალიცია აპოლიტიკურია, არც პოზიციას და არც ოპოზიციას მხარს არ უჭერს.

„კოალიციის მიზანია, სტუდენტები უფრო აქტიურად ჩაერთონ ეროვნულ საქმიანობაში, ქართული ენის დაცვის საქმეში. ამ ეტაპზე ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ენის დაცვის ინსტიტუტის შექმნა, რომელსაც ხელისუფლება დააფინანსებს.

სულ მალე განათლების სამინისტროს ამ ინიციატივით მივმართავთ, ასევე, ჩვენი ინიციატივაა — საინგილოში ეთნიკურმა ქართველებმა ქართული ენა და საქართველოს ისტორია თავისუფლად ისწავლონ და თავისუფლად ილოცონ. იქ ტაძარიც კი დახურეს, ხოლო კახეთსა და საინგილოს შორის დამაკავშირებელი ხიდი ჯერ არ აღდგენილა. ხელოვნურად ქმნიან პრობლემებს მაშინ, როცა აზერბაიჯანის მთავრობა ჩვენს მიმართ თურმე ძალიან „მეგობრულად“ არის განწყობილი“.



ლევან ჩიტაძის აზრით, ისინი ჩაერთვებიან იმ პროექტებშიც, რომელიც ითვალისწინებს ქართული ენის შესწავლას ეთნიკურ უმცირესობათა შორის — „ჩვენ დახმარებას შევთავაზებთ განათლების სამინისტროს“.

პრომო, ანუ ყვავილების აქცია მეტრო „რუსთაველთან“ გაცნობითი იყო. მოძრაობის წევრები ანა ჯალაღონია და სხვა სტუდენტები მოსახლეობას, მოუწოდებდნენ, მხარი დაეჭირათ მათი საქმიანობისთვის და ქართული ენის სიწმინდე გულთან ახლოს მიეტანათ.

**ნატა ნიბლაძე**

№ 47. ხუთშაბათი, 13 მარტი, 2008 წელი.

● მოვლენების ამგვარი სცენარით განვითარებას ჩვენ ძალიან მშვიდად ვადევნებთ თვალს. მიგვაჩნია, რომ სახელმწიფომ აღებული კურსი უნდა გააგრძელოს და დადებითი ცვლილებების პროცესი შეუქცევადი გახდეს



◎ უმრავლესობა

*საქართველოში პოლიტიკური მდგომარეობა უკიდურესად იძაბება. ოპოზიცია, მშვიდობიანი პროტესტის უკიდურეს ფორმას უკვე რამდენიმე დღეა მასობრივად მიმართავს.*

*საქართველოში შექმნილ ვითარებაზე და ხელისუფლების სამომავლო გეგმებზე უფრო დეტალურად ნაცმოძრაობის და საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთ წევრს რატი სამყურაშვილს ვესაუბრეთ.*

## რატი სამყურაშვილი:

# საკონსტიტუციო ცვლილებებით ვინ დარჩება მოგებული, ამას არჩევნები გადაწყვეტს

**— ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ვითარება უკიდურესად გართულდა. ოპოზიცია უკვე რადიკალიზმს მიმართავს. ისინი ამბობენ, რომ მემორანდუმიდან არც ერთი მოთხოვნა არ შესრულებულა და მშვიდობიანი პროტესტის უკიდურესი ფორმა — შიმშილობა დაიწყეს. როგორ შეაფასებთ ამ ფაქტს?**

— რადიკალიზაცია, ამ შემთხვევაში, მხოლოდ მათი თვითმიზანია. ვფიქრობ, მათთვის მომგებიანი ნიში სწორედ რადიკალური პოზიციის დაკავებაა.

საპრეზიდენტო არჩევნების ხელახლა ჩატარება, პრაქტიკულად, არარეალურია არა მხოლოდ ჩვენი პოლიტიკური გუნდისთვის, არამედ, ვფიქრობ, ჩვენი საზოგადოებისთვისაც. ისინი, ამ საკითხის მიმართ, სწორედ ამგვარ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ.

**— მათი მთავარი მოთხოვნაა საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელება, ისინი მაჟორიტარული და პროპორციული წესით არჩევას ეწინააღმდეგებიან.**

— ჩვენ ერთი კვირის წინათ კანონმდებლობაში ცვლილება შევიტანეთ, რის საფუძველზეც ყველა რაიონს შევუნარჩუნეთ უფლება — საკუთარი მაჟორიტარი თავად აერჩიათ. მაგრამ მათი მოთხოვნა სხვაგვარია, ისეთი, რომელიც მათ უფრო მომგებიან პოლიტიკურ მდგომარეობაში ჩააყენებს. თუმცა ხელისუფლება ამ წინადადებაზე მაინც თანახმა იყო და პარლამენტის კენჭისყრაზე თავისივე ინიციატივით დააყენა. უმრავლესობა მზად იყო, ამისთვის მხარი დაეჭირა, მაგრამ კენჭისყრაზე თავად ამ ინიციატივის ავტორები არ გამოცხადდნენ. ამის შემდეგ დემოკრატიული დისკუსია გაგრძელდა.

ცნობილია მაჟორიტარი დეპუტატების პოზიციაც. სწორედ იმის გამო, რომ მათივე ინიციატივით ეს კენჭისყრა ჩავარდა, მივიღეთ სხვაგვარი ფორმულირება, რომელიც, ვფიქრობ, სრულიად სამართლიანია. ეს ხალხი ახლა ამ პროცესების უკან დაბრუნებას რადიკალური გზებით ითხოვს... რომელ საკითხებზეც შევთანხმდებით, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, თუმცა, რომელზეც შეთანხმება ვერ მოხდება, გადაწყვეტილებას თავად მივიღებთ და, ბუნებრივია, რომელიმე პოლიტიკური ძალის კარნახით ვერ ვიმოქმედებთ.

ამგვარად, მათ მიერ მოთხოვნების რადიკალიზაცია სრულიად ბუნებრივია, რადგან ჰგონიათ, რომ ეს მათი პოლიტიკური ნიშია. მოვლენების ამგვარი სცენარით განვითარებას ჩვენ ძალიან მშვიდად ვადევნებთ თვალს. მიგვაჩნია, რომ სახელმწიფომ აღებული კურსი უნდა გააგრძელოს და დადებითი ცვლილებების პროცესი შეუქცევადი გახდეს.



**— ოპოზიციის აზრით, მაჟორიტარებისა და პროპორციული სისტემით დეპუტატის არჩევის წესით — ამ საკონსტიტუციო ცვლილებებით ხელისუფლება უმრავლესობის შექმნას აპირებს...**

— ხელისუფლებას უმრავლესობის შექმნა ნამდვილად სურს. დასამალი არავისთვის არაა, რომ უმრავლესობის შექმნას ყველა პოლიტიკური ძალა და, მათ შორის, ხელისუფლებაც ცდილობს. თუმცა, ხელისუფლება ამას საკონსტიტუციო ცვლილებებით ნამდვილად არ აპირებს. ამ ცვლილებებით მან თქვა, რომ პრინციპი — ყველა რაიონს საკუთარი დეპუტატი ჰყავდეს, სწორია და მხარი დაუჭირა. ხოლო ის, თუ ვინ დარჩება ამ ცვლილებებით მოგებული, არჩევნებმა უნდა განსაზღვროს. ვფიქრობ, პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც აცხადებენ, რომ ხალხის მასობრივი მხარდაჭერის ობიექტი სწორედ ისინი არიან, ამ მოდელის მიმართ განსაკუთრებული შეურიგებლობა არ უნდა ჰქონდეთ, რადგან მათ საკმარისი საშუალება აქვთ თავიანთი კანდიდატები მაჟორიტარული წესით დააყენონ და გამარჯვება მოიპოვონ.

**— ოპოზიცია იმასაც აპროტესტებს, რომ კანონპროექტში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონები არ შეუტანიათ, რატომ?**

— ეს ნამდვილად ასეა, რადგან ამ ეტაპზე, ცხინვალის და აფხაზეთის ტერიტორიებზე ჩვენი იურისდიქცია არ ვრცელდება. თუმცა, ამის მიუხედავად, კონსტიტუციაში, რომელსაც ჩვენ ვიღებთ, აუცილებლად იქნება დართული, რომ ეს მოდელი მას შემდეგაც გადაიხედოს, როცა ტერიტორიული მთლიანობა აღდგება... საქართველოს პარლამენტში, მოგეხსენებათ, არც ახლა არიან ცხინვალისა და აფხაზეთის წარმომადგენლები.

**— კონფლიქტური რეგიონების პრობლემებზე პრეზიდენტმა ოპოზიციას ერთიანობა შესთავაზა, რაზეც ოპოზიციამ კატეგორიული უარი განაცხადა, რატომ?**

— პრეზიდენტის შეთავაზება ყველას მიმართ გახმიანდა. მან ერსა და ბერს ერთად დადგომისკენ მოუწოდა, რადგან ამ საკითხის გამო აზრის სხვადასხვაობა პროცესს მხოლოდ შეაფერხებს. ეს საქართველოს საერთო ინტერესში შედის. თუ რატომ განაცხადა უარი ოპოზიციამ, აბსოლუტურად გაუგებარია, არ ვფიქრობ, რომ ასეთი პროცესებისგან იზოლირება ვინმეს პოლიტიკურ დივიდენდს შესძენს.

**— დაბოლოს, ამ სიტუაციაში თქვენი პასიურობა აშკარად შეიმჩნევა. ადრე ამა თუ იმ მოვლენაზე კომენტარს აქტიურად აკეთებდით, ახლა კი უფრო მეტად გიგი წერეთელი, პავლე კუბლაშვილი, მიხეილ მაჭავარიანი და სხვები აქტიურობენ. რამ გამოიწვია ეს?**

— ეს, ერთი მხრივ, საპრეზიდენტო არჩევნებმა განაპირობა. ჟურნალისტებისთვის სასურველი რესპონდენტები სხვა ადამიანები, პრეზიდენტობის კანდიდატები და მათი შტაბის წარმომადგენლები გახდნენ. მეორე მხრივ, იმან, რომ საარჩევნოდ, კონკრეტულ რაიონს ვხელმძღვანელობდი და იმ რაიონში ვიყავი, და მესამე ის, რომ ჩვენ ფუნქციებს ვინაწილებთ — ვინ, როდის და სად გააკეთოს განცხადებები. ამ ვითარებაში ჩვენმა პოლიტიკურმა გუნდმა ჩათვალა, რომ განცხადებები, სწორედ იმ ადამიანებს, გაეკეთებინათ რომლებიც თქვენ დაასახელეთ. თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, მე, ცალკეულ გამონაკლისების გარდა, კომენტარზე უარი არასდროს მითქვამს.

ესაუბრა
**სოფო გოგლიძე**

№ 47. ხუთშაბათი, 13 მარტი, 2008 წელი.

◎ „ამნესტი ინტერნეიშენალი“

# საქართველოს ხელისუფლებას პოლიციური ძალადობის დასჯისკენ მოუწოდებს

**ორგანიზაცია „ამნესტი ინტერნეიშენალი“ საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს, შეწყვიტოს პოლიციური ძალადობის დაუსჯელობა. ორგანიზაცია ასევე ითხოვს, მთავრობამ დაარიგოს საიდენტიფიკაციო სამკერდე ნიშნები, რომლებსაც პოლიციის ყველა თანამშრომელი უნდა ატარებდეს დაპატიმრებების დროს, ასევე დაკავებულებსა და პატიმრებთან შეხვედრებისას.**

„მიიჩნევა, რომ 2007 წლის 7 ნოემბერს პოლიციამ გადაჭარბებულად გამოიყენა ძალა, რათა დაეშალა დემონსტრანტები, რომლებიც პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გადადგომას, საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას, საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლასა და პოლიტიკურ პატიმრებად მიჩნეულთა გათავისუფლებას მოითხოვდნენ. თვითმხილველთა თქმით, პოლიციელებმა მრავალ დემონსტრანტს სცემეს. მათ არ ეკეთათ საიდენტიფიკაციო ნიშნები და ბევრი მათგანი შენიღბული იყო“, — ნათქვამია ორგანიზაციის განცხადებაში.

იქვე მითითებულია სტატისტიკური მონაცემები, რომლის თანახმადაც, 550-ზე მეტი დემონსტრანტი და 34 პოლიციელი იქნა ჰოსპიტალიზებული. ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ ნოემბრის მოვლენებს მოჰყვა გამოხმაურება საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კონკრეტული ქვეყნების მთავრობათა მხრიდან, რომლებმაც დაგმეს პოლიციის სისასტიკე და ხელისუფლებას მოუწოდეს, დროული, საფუძვლიანი, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარებისაკენ, რომელიც დასჯიდა ყველა სავარაუდო დამნაშავეს.

„2008 წლის 28 თებერვალს, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარმა ხელისუფლებას მოუწოდა, რაც შეიძლება მალე გამოექვეყნებინა შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა გამოძიების შედეგები და საზოგადოებისათვის ეცნობებინა სისტემური გაუმართაობისა და რომელიმე საჯარო პირის პირადი პასუხისმგებლობის შესახებ. თუმცა ამ დრომდე ხელისუფლებას ეს არ გაუკეთებია“, — ნათქვამია ორგანიზაციის განცხადებაში.

◎ ინფორმაცია

# საქართველოს მომავალი ნატოში ინტეგრაციაა



**შეერთებული შტატები საქართველოსა და რუსეთს აფხაზეთის საკითხზე დიალოგისკენ მოუწოდებს. ამის შესახებ ნატოში აშშ-ს წარმომადგენელმა ზამლაი ხალილზადმა აფხაზეთისთვის ეკონომიკური სანქციების მოხსნასთან დაკავშირებით განაცხადა.**

**რუსეთსა და საქართველოს შორის საკითხთა ფართო წრეზე ახალი დიალოგის დრო მომწიფდა. ვიმედოვნებთ, რომ რუსეთი რეგიონში კონსტრუქციულ როლს ითამაშებს, — განაცხადა ხალილზადმა და დასძინა, რომ აშშ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას უჭერს მხარს.**

**მისი თქმით, უდიდეს შეშფოთებას იწვევს ის, რომ სანქციების მოხსნამ, შესაძლოა, სეპარატისტების შეიარაღება და კონფლიქტის ზონაში ვითარების დესტაბილიზაცია გამოიწვიოს.**

**შეერთებული შტატები წუხს იმის გამო, რომ რუსეთი დსთ-ს მიერ დაწესებული სანქციებიდან ცალმხრივად გამოვიდა, — განაცხადა ხალილზადმა.**

**მისი თქმით, აშშ საქართველოს მომავალს ევროპულ და ჩრდილოატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციაში ხედავს. საქართველო მარტო არ არის, — დასძინა ამერიკელმა დიპლომატმა.**

**რუსეთმა 6 მარტს გამოაცხადა, რომ აფხაზეთისთვის 1996 წელს დსთ-ს მიერ დაწესებული ეკონომიკური სანქციების შესახებ შეთანხმებიდან გამოდის.**

ინტერპრესნიუსი

● ჩვენი მიზანია, ქვეყანაში შევქმნათ ისეთი პოლიტიკური ვითარება და საარჩევნო-საკანონმდებლო ბაზა, რომელიც მოგვცემს სამართლიანობასთან მაქსიმალურად მიახლოებული არჩევნების ჩატარების საშუალებას, საერთოდ იმას, რომ საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას აზრი ჰქონდეს...



№ 47. ხუთშაბათი, 13 მარტი, 2008 წელი.

◎ „ქართული დასი“

# ჯონდი ბაღათურია: პირველ ეტაპზე საჭიროა, სააკაშვილი უპარლამენტოდ დავტოვოთ

***საქართველოს პარლამენტის წინ შეკრებილი ხალხი, გაშლილი ლეიბები და კარვები იმას ადასტურებს, რომ ოპოზიციურად განწყობილმა მოსახლეობამ პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართა. მათი მოთხოვნები ასეთია — დემოკრატიული საპარლამენტო არჩევნები, თავისუფლება პოლიტპატიმრებს, საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გაბათილება...***

***ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერს ჯონდი ბაღათურიას გავესაუბრეთ.***

**— რამ გამოიწვია პროტესტის ასეთი უკიდურესი ფორმით გამოხატვის აუცილებლობა?**

— ხელისუფლებამ უკიდურესად დაძაბა ქვეყანაში სიტუაცია: გააჭიანურა პატიმრების განთავისუფლების პროცესი, ნაწილი კი გაანთავისუფლა, მაგრამ მათ საქმეზე ძიება არ დასრულებულა, კონსტიტუციაში შეიტანა ცვლილებები არაკონსტიტუციური გზით. პრაქტიკულად აფხაზეთი, როგორც საქართველოს ტერიტორიული ერთეული, აღარ არის ასახული. იმერეთს, სამეგრელოს და სხვა რეგიონებს პარლამენტში მაჟორიტარი დეპუტატები ეყოლებათ, აფხაზეთის წარმომადგენელი, აფხაზეთის მაჟორიტარი კი მათ გვერდით არ იჯდება, ვეღარ გავიგებთ აფხაზეთის ხმას. აი, ასეთი ცვლილებები შედის კონსტიტუციაში. ვფიქრობ, ეს არის რუსეთთან გარიგების შედეგი, რომელიც მოხდა სააკაშვილისა და პუტინის ბოლო შეხვედრის დროს. ამის ბოლო სიმპტომია რუსეთის მიერ აფხაზეთისთვის ემბარგოს მოხსნა. ამის გარდა, ეუთომ გამოაქვეყნა დასკვნა, რამაც დაადასტურა ქართველი ხალხისა და გაერთიანებული ოპოზიციის აზრი, რომ სააკაშვილმა არჩევნების შედეგები გააყალბა, სინამდვილეში მიიღო ამომრჩეველთა ხმების მხოლოდ 35 პროცენტი. ამიტომ გადავწყვიტეთ, გავააქტიუროთ პრეზიდენტის არალეგიტიმურობის საკითხი და საპროტესტო აქციებით შევძლოთ ხელისუფლების მიერ ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალების შეჩერების პროცესი. მათ კონსტიტუციაში ცვლილებები შეაქვთ, რათა არჩევნების შედეგებით შეცვალონ ბალანსი პარლამენტში და კვლავ მოიპოვონ უმრავლესობა.



**— ამ ეტაპზე თქვენი მოთხოვნა საპრეზიდენტო არჩევნების თავიდან ჩატარებაზე, ცოტა დაგვიანებული ხომ არ არის?**

— არასწორად გავრცელდა ინფორმაცია, ვითომდა ახალ საპრეზიდენტო არჩევნებს ვითხოვთ. სინამდვილეში ჩვენი მოთხოვნა ხმების ხელახალი გადათვლაა, რასაც აუცილებლად მოჰყვება არჩევნების მეორე ტური. ასეთი მოთხოვნა კი სრულიად ლოგიკური მგონია.

**— ნინო ბურჯანაძემ ოპოზიციას დიალოგისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდა და ოპოზიცია რატომ არ იღებს ასეთ შეთავაზებას?**

— ეგენი დიდი ხანია, მზად არიან სიტყვიერი მოლაპარაკებისთვის, მაგრამ ეს მზაობა არ ჩანს მათ ქმედებებში. ჩვენი მიზანია, ქვეყანაში შევქმნათ ისეთი პოლიტიკური ვითარება და საარჩევნო-საკანონმდებლო ბაზა, რომელიც მოგვცემს სამართლიანობასთან მაქსიმალურად მიახლოებული არჩევნების ჩატარების საშუალებას, საერთოდ იმას, რომ საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას აზრი ჰქონდეს... ასევე, ვცდილობთ ამ ეტაპზე განვახორციელოთ ქართველი ხალხის ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური და ეროვნული ამოცანა — გავათავისუფლოთ საქართველო სააკაშვილის რეჟიმისაგან. ამისთვის პირველ ეტაპზე საჭიროა, სააკაშვილი უპარლამენტოდ დავტოვოთ. არც ერთი მაჟორიტარული მანდატი სააკაშვილს! სააკაშვილი-ნაცმოძრაობა — პარლამენტის გარეშე! ცხადია, ეს ავტომატურად ნიშნავს იმპიჩმენტის პროცედურას. ამიტომაც განვიხილავთ საპარლამენტო არჩევნებს სარეზერვო, მეორე ტურად.

**— ოპოზიცია უწინაც ემზადებოდა აქციებისთვის და კარვების გასაშლელად, თუმცა მაშინ ხელისუფლებასთან მოლაპარაკება არჩიეთ, რაც საზოგადოებამ არაერთგვაროვნად აღიქვა. იყო თუ არა ეს მოლაპარაკება ოპოზიციის შეცდომა?**

— როცა რაღაცა შედეგს ხედავ, ყოველთვის ადვილია თქმა, იყო თუ არა ეს შეცდომა. ჩვენ არ ვიცით, რა შედეგს მივიღებდით ასეთ მოლაპარაკებაზე რომ არ წავსულიყავით.

**— იმ მოლაპარაკებებმა თუ გამოიღო რაიმე შედეგი?**

— როგორ არა. საზოგადოებრივ არხს რომ უყურებთ, შედეგს ხომ ხედავთ? დღეს ამ არხის წარმომადგენლებმა მითხრეს, ჩვენს მიკროფონს რომ ხედავენ ქუჩაში, ხალხი ჩერდება და გვილოცავენ, ადრე კი გვწყევლიდნენო. ეს უკვე შედეგია. ნაწილობრივი შედეგი გამოიღო ამ მოლაპარაკებამ. ნაწილობრივად შეასრულეს პოლიტპატიმრების საკითხი, ზოგი გამოუშვეს, ზოგი — არა. ამიტომ ჩვენ პროცესების ფორსირებას ვახდენთ, ვცდილობთ, სწრაფად გავათავისუფლებინოთ ჩვენი თანამემამულე პატიმრები, მოვიშოროთ ლევან თარხნიშვილი, დავბლოკოთ ანტიკონსტიტუციური ცვლილებების შეტანა კონსტიტუციაში. რაც ყველაზე მთავარია, ვცდილობთ, შევაჩეროთ აფხაზეთის დაკარგვის პროცესი. ჩვენი მიზანია ქვეყანა გავათავისუფლოთ სააკაშვილისაგან. ყველა ეს ჩამოთვლილი ნაბიჯები არის ამ მთავარი მიზნის მისაღწევად გადასადგმელი. შეუცდომელი არავინაა და, ალბათ, არც ჩვენ, მაგრამ ღვთის წყალობით, წინ ნაბიჯნაბიჯ მივიწევთ. ამ აქციებს ექნება დინამიკა რაოდენობრივი, ხარისხობრივი და ენერგეტიკული თვალსაზრისითაც.

**— გამოდის, რომ დარწმუნებული ხართ ამ აქციებით სასურველ შედეგის მიღწევაში...**

— ჩვენი მაქსიმუმიც და მინიმუმიც არის ქვეყნის გათავისუფლება ამ რეჟიმისაგან და ამას მივაღწევთ კიდეც. საამისოდ ყველაფერს ვაკეთებთ. ჩვენი მიზანი არ არის ხელისუფლების ან სახელმწიფოს დამხობა. ჩვენ გვინდა არჩევნების გზით ამ მმართველობის შეცვლა, რადგანაც ეს არჩევნები ქვეყნის შანსია.

**— გამოდის, რომ საპროტესტო აქციები შესაძლოა, საგაზაფხულო არჩევნებამდეც გაგრძელდეს?**

— აქცია გაგრძელდება, სანამ არ მივიღებთ კონკრეტულ შედეგს. აქციები უვადო და ზრდის დინამიკით გამორჩეული იქნება. შემდეგ კი რაიონებშიც გადაინაცვლებს.

**— საზოგადოებაში ხშირად ჩნდება ეჭვი ოპოზიციის არაერთსულოვნებაზე. დღეს რამდენად ერთიანია ოპოზიცია?**

— მთელი გაერთიანებული ოპოზიცია ამ აქციაზე ვართ, შემოგვიერთდნენ ჩვენი მეგობრები — ახალი მემარჯვენეები და ოპოზიცია დღეს ნამდვილად ერთიანია. მთელი საქართველოდან მხოლოდ სამი პარტია არ არის აქ — ნაციონალური მოძრაობა, რესპუბლიკური პარტია და ლეიბორისტები.

**— როგორ აგვიხსნით საპროტესტო აქციისგან რესპუბლიკელების განზე დგომას?**

— მე ამას ვერ ავხსნი. რესპუბლიკელებთან ერთად ხუთი წლის განმავლობაში ვიბრძოდი და ახლა საკუთარ თავს ვცემ პატივს და ცუდს მათზე ვერაფერს ვიტყვი. ასეთ ვითარებაში აჯობებს, კრიტიკისაგან თავი შევიკავო. რესპუბლიკელები ძალიან კორექტულები არიან და ჩვენ მათს გადაწყვეტილებას პატივს ვცემთ.

ესაუბრა
**თამარ ბუზალაძე**

◎ ინფორმაცია

## ბურჯანაძე მართლა „ანგლობს“?

**საპარლამენტო ოპოზიცია “ახალი მემარჯვენეების“ წევრი ფიქრია ჩიხრაძე, ნინო ბურჯანაძის გუშინდელ განცხადებას მაჟორიტარული არჩევნების ძველ წესზე დაბრუნებასთან დაკავშირებით, „ანგლობად“ აფასებს.**

**როგორც ფიქრია ჩიხრაძემ განაცხადა, ნინო ბურჯანაძემ გუშინ, ალბათ, „იანგლა“. თუმცა, მისთვის გაურკვეველია, რა აქვს ქვეყნის მეორე პირს „საანგლო“.**

**ნინო ბურჯანაძემ გუშინწინდელ პლენარულ სხდომაზე ოპოზიციას შესთავაზა, რომ მაჟორიტარული არჩევნების ძველ წესს დაუბრუნდნენ. ნინო ბურჯანაძის ამ განცხადების შემდეგ, მემარჯვენეებმა წამოაყენეს ინიციატივა, რომ მაჟორიტარული არჩევნების იმ წესს, რასაც ხელისუფლება ქვეყანას სთავაზობს და კონსტიტუციაში ცვლილება შეაქვს, არსებული წესი სჯობია — აქ, საარჩევნო ოლქში გამარჯვებულს მიაქვს ყველა მანდატი.**



**„პოლიტიკურ ანგლობაში“ დადანაშაულებული ნინო ბურჯანაძე, პოლიტიკურ ოპონენტებს მეტი კორექტულობისაკენ მოუწოდებს.**

**ბურჯანაძის თქმით, „ანგლობა“ არ ჩვევია მას და არც ერთ ნორმალურ ოჯახში აღზრდილ ქალს.**

**მისივე განმარტებით, გაკეთებული გამონათქვამი ოფიციალური განცხადება არ ყოფილა, არამედ უბრალოდ კამათის დროს ნათქვამი იყო.**

## მოშიმშილეები — ბურჯანაძის წინააღმდეგ

**პარლამენტის თავმჯდომარის მისაღებში მოშიმშილე ახალი მემარჯვენეები პარლამენტის თავმჯდომარის მიმართ საყვედურს გამოთქვამენ იმის გამო, რომ ნინო ბურჯანაძე პლედების შეტანის უფლებას არ აძლევს. თუმცა, მათი თქმით, მიუხედავად პრობლემებისა, შიმშილობის აქციას არ შეწყვეტენ.**

**როგორც ფიქრია ჩიხრაძემ განაცხადა, იმის თაობაზე, რომ პარლამენტის თავმჯდომარე მათ პლედების შეტანის უფლებას არ აძლევს, საერთაშორისო საზოგადოება ინფორმირებულია.**

**ჩიხრაძის განმარტებით, პარტიის საერთაშორისო მდივანთან გიორგი მოსიძესთან ზარები არ წყდება. თუმცა მოშიმშილეები ჯერჯერობით მხოლოდ „ენ-დი-აის“ ხელმძღვანელმა მოინახულა. ბურჯანაძესთან იმყოფებოდა აშშ-ს ელჩი საქართველოში ჯონ ტეფტი და მემარჯვენეებსაც გაესაუბრა. ფიქრია ჩიხრაძე აცხადებს, რომ მიუხედავად პრობლემებისა, ახალი მემარჯვენეები შიმშილობის აქციას არ შეწყვეტენ.**

## „კოკოითი ფანდარასტ“ რუსეთს აუმხედრდა

**მოძრაობა „კოკოითი ფანდარასტ“ რუსეთის კონსტრუქციულ ძალებს საქართველოსთან ურთიერთობის ნორმალიზებისაკენ მოუწოდებს.**



**როგორც მოძრაობის ლიდერმა ვლადიმერ სანაკოევმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რუსეთი ხელს უწყობს კოკოითის რეჟიმს და სეპარატისტული პოლიტიკის წახალისებას სამხრეთ ოსეთში.**

**სანაკოევის განცხადებით, მოძრაობის წევრები დღეს, 13 მარტს, 13:00 საათზე რუსეთის საელჩოსთან საპროტესტო აქციას გამართავენ, სადაც რუსეთის სეპარატიზმისადმი მხარდამჭერ პოლიტიკას გააპროტესტებენ.**

ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი

# პოზიცია

**ქართულმა საზოგადოებამ უნდა გააცნობიეროს, რომ საქართველოში საქართველოსა და რუსეთის ინტერესები კი არა, რუსეთისა და აშშ-ის ინტერესები უპირისპირდება ერთმანეთს. ასე რომ, საქართველო არა საკუთარი, არამედ ამერიკელთა ინტერესების (თანაც, უსამართლო ინტერესებისაც) მსხვერპლი ხდება...**



## ყველას თავისი აზრი აქვს

*თითქმის ორი ათეული წელია, რაც საქართველოში პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კრიზისია. ამ კრიზისიდან გამოსვლის გზა კი ჯერაც ვერ გვიპოვია. იბადება კითხვა: საერთოდ, არსებობს ამ ვითარებიდან გამოსავალი? ჩვენ ვუპასუხებთ: არსებობს. თანაც ერთადერთი და უალტერნატივო გზა. ესაა რუსეთთან კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობების აღდგენა, მაგრამ სად გადის, რას ეფუძნება ეს გზა და რა აუცილებელი წინაპირობაა შესასრულებელი ამ ურთიერთობების დასალაგებლად და მოსაწესრიგებლად? ამ მწვავე კითხვაზეც სრულიად ერთმნიშვნელოვანი პასუხი არსებობს: საქართველომ უარი უნდა თქვას რუსეთთან მტრობაზე, ანუ უარი უნდა თქვას ნატოში გაწევრებაზე. ეს ის ფორმულაა, რომელზეც უნდა აიგოს რუსეთისა და საქართველოს დღევანდელი და მომავალი ურთიერთობები. სააკაშვილის ხელისუფლება ცდილობს, რუსეთს თავს მოახვიოს აბსურდული აზრი, რომ საქართველო იქნება ნატოს წევრი, მაგრამ იმეგობრებს რუსეთთან.*

# გადარჩენის ფორმულა



— Как? — ხელებს ფართოდ შლიან რუსები, — Как это возможно? — კითხულობენ ისინი. მაგრამ, მათთვის სამწუხაროდ, ჩვენთვის კი, საუბედუროდ, ქართულ მხარეს ამ კითხვაზე პასუხი არა აქვს. სააკაშვილის ეს აბსურდული მტკიცება ანალოგიურია პრეზიდენტ ბუშის ასეთივე აბსურდული მტკიცებისა, რომ აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე ის განალაგებს ამერიკულ სარაკეტო დანადგარებს, მაგრამ ეს დანადგარები რუსეთის წინააღმდეგ არ იქნება მიმართული. — Как?

რუსეთსა და აშშ-ს შორის დაპირისპირება რომ ყოველდღიურად მწვავდება, ეს საიდუმლო არ გახლავთ. ამ დაპირისპირებაში რუსეთი რომ მართალია, არც ესაა საიდუმლო, მაგრამ თუ სადმე კიდევ არსებობენ ურწმუნო თომები, მათთვის განვმარტავ: პუტინის რუსეთს საგარეო პოლიტიკაში არც ერთხელ არ მიუმართავს ძალისმიერი მეთოდისთვის, მაშინ როდესაც ამერიკელებმა მიწასთან გაასწორეს იუგოსლავია, ავღანეთი, ერაყი. ისინი ცეცხლით და მახვილით ემუქრებიან ყველა იმ ქვეყანას, სადაც თავიანთ რეჟიმს ვერ ამყარებენ. პოსტსაბჭოთა სივრცეში იყენებენ ათასგვარ ბინძურ (ე. წ. ფერადძ რევოლუციებს და ფულით, შანტაჟით, მოსყიდვით, ძალის გამოყენებით ცდილობენ მთელ მსოფლიოზე კონტროლის დაწესებას. ნატოს უკიდეგანოდ გაფართოების ცდაც სწორედ ამ მიზანს (მსოფლიოზე კონტროლსძ ემსახურება, რაც პირველ რიგში, რუსეთის წინააღმდეგ არის მიმართული, ვინაიდან მსოფლიოზე ამერიკული ექსპანსიის შემაკავებელი ყველაზე ძლიერი ფაქტორი სწორედ რუსეთია, ანუ აშკარაა რუსეთისა და აშშ-ის სასიცოცხლო ინტერესთა ისეთი დაპირისპირება, რომლის გადაჭრის პერსპექტივა ახლო მომავალში არ ჩანს.

ასეთ ვითარებაში საქართველოს სწრაფვა ნატოს წევრობისკენ, არც მეტი, არც ნაკლები, რუსეთთან ღია ტექსტით დაპირისპირებას ნიშნავს, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით. როგორი იქნება ეს შედეგები, ამას მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ ერთი რამ ამთავითვე ცხადია: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ყოველგვარი პერსპექტივა იმავე წუთიდან გადაიკეტება, რომელი წუთიდანაც ჩვენ ნატოს შემადგენლობაში აღმოვჩნდებით. ამ წუთიდან რუსეთს სრული მორალური უფლება ექნება, დააკმაყოფილოს აფხაზეთისა და ცხინვალის სეპარატისტული მთავრობების თხოვნა და აღიაროს ეს რესპუბლიკები. კოსოვოს პრეცედენტის შემდეგ ეს სულაც არ იქნება ძნელი.

იმის იმედი, რომ დაკარგული ტერიტორიების შემოერთებაში ნატო დაგვეხმარება, აბსოლუტურად უსაფუძვლოა, რადგან ნატო, რომ მოინდომოს კიდეც, ამას ვერ შეძლებს, მაგრამ საქმე ისაა, რომ მას ამგვარი სურვილიც არასოდეს გაუჩნდება, ვინაიდან ეს არ შედის მის ინტერესებში. აშშ-ისა და ნატოს ინტერესი, რომ საქართველოს ტერიტორია გადააქციოს სამხედრო პლაცდარმად, აფხაზეთისა და ცხინვალის გარეშეც სრულად იქნება დაკმაყოფილებული. საქართველო კი, გარდა იმისა, რომ სამუდამოდ დაკარგავს ძირძველ ტერიტორიებს, გადაიქცევა აშშ-ის საწინააღმდეგო, საპასუხო სამხედრო დარტყმების ობიექტად, რაც ჩვენთვის, რა თქმა უნდა, სრული კატასტროფა იქნება.

იმისათვის, რომ მოვლენები ამგვარი სცენარით არ წარიმართოს, საქართველომ უარი უნდა თქვას ნებისმიერ სამხედრო ალიანსში გაწევრებაზე და გამოაცხადოს სრული ნეიტრალიტეტი. რამდენად იქნება შესაძლებელი საქართველოს ნეიტრალურ სახელმწიფოდ აღიარების მიღწევა, ძნელი სათქმელია, მაგრამ ჩვენი ამგვარი პოზიციის გამოვლენაც კი საკმარისი იქნება რუსეთთან ურთიერთობის მოსაწესრიგებლად, ვინაიდან რუსეთისთვის ჩვენი ეს ნაბიჯი იქნება გარანტი იმისა, რომ მის სამხრეთ საზღვრებთან ნატოს მიახლოების საშიშროება არ დაემუქრება. რაც მთავარია, საქართველოს მიერ ამგვარი პოზიციის გამოვლენა შესაძლებელს გახდის აფხაზეთისა და ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებებთან რეალური დიალოგის დაწყებას.

ყველა სხვა შემთხვევაში, საქართველო ვერ გამოვა იმ ჩიხიდან, რომელშიც თვითონ მოიქცია თავი. ყოველი დაგვიანებული დღე, ყოველი დაგვიანებული წუთი ჩვენ გვაშორებს აფხაზეთისა და ცხინვალისაგან. — მალე შევალთ აფხაზეთში! — აცხადებს სააკაშვილი და იქვე გვესმის „თინეიჯერული“ ალტყინებით წამოსროლილი შეძახილები, — მიშა მაგარია! ამასობაში, რუსეთმა უკვე მოხსნა აფხაზეთისთვის დაწესებული ეკონომიკური სანქციები, რაც იმას ნიშნავს, რომ იწყება აფხაზეთის რუსეთის ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის პროცესი.

სიტუაცია საგანგაშოა და თუ საქართველო მზად არ აღმოჩნდება გონივრული პოლიტიკური ნაბიჯების გადასადგმელად, ეს კატასტროფით დამთავრდება. რას აკეთებს ამ დროს ჩვენი ხელისუფლება და თუნდაც ოპოზიცია? ისინი ერთნაირად იცემენ გულში მჯიღებს და რუსეთს უნისონში ლანძღავენ, მაგრამ ამ ლანძღვა-გინებით სიტუაცია არ იცვლება. ისინი რუსეთს აკრიტიკებენ იმის გამო, რომ მან ჩვენთვის ძალიან საზიანო ნაბიჯი გადადგა, მაგრამ არ სვამენ კითხვას, თუ რატომ ქნა ეს. რუსეთის ეს ქმედება არის რეზულტატი, შედეგი, მაგრამ განა არსებობს შედეგი მიზეზის გარეშე? ჩვენ ვებრძვით შედეგს ისე, რომ არც გვინდა გარკვევა მიზეზისა, რომელმაც ეს შედეგი გამოიწვია. რუსეთის ეს ქმედება პასუხია, რეაქციაა იმ ყოვლად გაუმართლებელ და გაუთვლელ ნაბიჯებზე, რომლებიც ჩვენმა ხელისუფლებამ ნატოს მიმართულებით გადადგა. რატომ გვიკვირს, რომ განცხადებას პასუხი მოჰყვება, ნაბიჯს — ნაბიჯი, ქმედებას — რეაქცია?!

რატომღაც გვავიწყდება, რომ ჩვენ საქართველოში კი ვცხოვრობთ, მაგრამ იმავდროულად ამ პლანეტაზეც ვცხოვრობთ და, მაშასადამე, პლანეტაზე არსებული რეალობა ჩვენზეც აისახება. დიდ სახელმწიფოებს რეგიონალური და გეოპოლიტიკური ინტერესები აქვთ. სამწუხაროდ, ჩვენ პატარა ქვეყანა გვაქვს და მოკლებული ვართ შესაძლებლობას, რომ სხვა ქვეყნებს თამაშის ჩვენი წესები მოვახვიოთ თავს. ამიტომ უნდა ვისწავლოთ ჩვენი ინტერესების დაკმაყოფილება სხვისი ინტერესების გათვალისწინების გზით. რუსეთსა და საქართველოს ბევრი საერთო ინტერესი აქვთ. ჩვენ ამ ინტერესთა შეჯერებისა და ჰარმონიზების გზით უნდა ვიაროთ, რომ საწადელს მივაღწიოთ. დაპირისპირება კი აუცილებლად მიგვიყვანს იმ სავალალო შედეგამდე, რომლის პირისპირაც ჩვენ უკვე ვდგავართ...

ქართულმა საზოგადოებამ უნდა გააცნობიეროს, რომ საქართველოში საქართველოსა და რუსეთის ინტერესები კი არა, რუსეთისა და აშშ-ის ინტერესები უპირისპირდება ერთმანეთს. ასე რომ, საქართველო არა საკუთარი, არამედ ამერიკელთა ინტერესების (თანაც, უსამართლო ინტერესებისაც) მსხვერპლი ხდება...

ამ დღეებში ვაკვირდებოდით ე.წ. ოპოზიციის, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა რეაქციას, მაგრამ ვერ აღმოვაჩინეთ თუნდაც ერთი ადამიანი, რომელიც რუსეთს კი არ გადასცემდა ანათემას, არამედ ამ ჩვენს ხელისუფლებას ეტყოდა: შეჩერდით, გონს მოეგეთ, თქვენ იმ გზას ადგახართ, რომელმაც ქვეყანა უფსკრულამდე მიიყვანა! არა, ამის მთქმელი საქართველოში არავინ ჩანს, რადგან თუ ასეთი ვინმე გამოჩნდება, მას გარანტირებული აქვს ათასნაირი ბინძური იარლიყის მიკერება. ქართულ პოლიტიკურ ძალებს ხომ ჭირის დღესავით სძულთ სიმართლე და ჭეშმარიტება. რამდენიმე დღეა ხელისუფლება და ე.წ. ოპოზიცია ერთხმად გაიძახიან: არის საკითხები, რომლის გარშემოც ჩვენ ერთიანი ვართო. მათი თქმით, ესაა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის. ისინი სულ სხვა საკითხებთან დაკავშირებით არიან ერთიანნი: ესაა მონური მორჩილება აშშ-ის დირექტივებისა; დაუოკებელი სწრაფვა ნატოსკენ და უსაზღვრო სიძულვილი რუსეთისა, რაც ჩვენს ქვეყანას კი არ ამთლიანებს, ანგრევს და აცამტვერებს...

ვალერი კვარაცხელია,
რუსეთ-საქართველოს
მეგობრობის ცენტრის
ხელმძღვანელი, პროფესორი

## ინფორმაცია

### იაკობაშვილის ახლებური ხედვა ვენაში

**რეინტეგრაციის** საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი თემურ იაკობაშვილი ვენაში ეუთოს გენერალურ მდივან მარკ პერინ დე ბრიშამბოს შეხვდა.

როგორც რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატიდან იტყობინებიან, შეხვედრაზე განიხილეს საქართველოს მხარის ახალი წინადადებები სამხრეთ ოსეთთან, კონფლიქტის მოგვარების შერეულ-საკონტროლო კომისიასთან და ზოგადად რეგიონში არსებულ საკითხებზე.



— სახელმწიფო მინისტრმა ეუთოს გენერალურ მდივანს კონფლიქტურ რეგიონთან მიმართებაში განსახორციელებელი გეგმები და ამასთან დაკავშირებული პოზიციების ახლებური ხედვა გააცნო. ხაზგასმით აღინიშნა ისიც, რომ არ შეიძლება ეკონომიკური და სხვა სახის პროექტების შეფერხება გამოწვეული იყოს ერთი მხარის ახირების გამო, — აცხადებენ მინისტრის აპარატში.

მათივე ცნობით, იაკობაშვილმა დაადასტურა, რომ ქართული მხარე გააგრძელებს რეგიონში მოქმედი პროექტების რეალიზებას და აპირებს ახალი პროექტების წარმოდგენასა და განხორციელებას, მათ შორის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე.

### დევნილებს დახმარება გაეზრდებათ

**დევნილთა** შემწეობები აპრილიდან გაორმაგდება. ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა ნიკა გილაურმა გუშინდელ პლენარულ სხდომაზე 2008 წლის ბიუჯეტში ცვლილებების განხილვისას განაცხადა.

მისი თქმით, ჯანდაცვის სამინისტროს 24 მილიონი მოაკლდება და იგი ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ასიგნებებში გადავა.

მინისტრის განმარტებით, ეს თანხა ლტოლვილთა შემწეობის გაზრდისათვის დაიხარჯება კერძოდ, აპრილიდან ორგანიზებულად ჩასახლებული დევნილებისთვის 11-ლარიანი შემწეობა 22 ლარი გახდება, ხოლო კერძო სექტორში ჩასახლებული დევნილებისთვის 14-ლარიანი შემწეობა 28 ლარი გახდება.

ინტერპრესნიუსი

# შინ და გარეთ

**და აი, ახლა, თავისი მმართველობის ოთხი წლისთავზე, ქვეყნის სიდუხჭირით შეშფოთებული პრეზიდენტი, ნოდარ დუმბაძისა არ იყოს, ხან სად და ხან სად ბებიებს ეკითხება, „რა ვქნათო“. აგერ გურულმა ბებომ ნათლად აუხსნა, თვითი ეკონომიკის მამად წოდებულ ბენდუქიძეზე უკეთესადაც, თუ რატომ არ უნდა იყოს საქართველოში შიმშილი**



**◎ გულის ბუხარი**

## აფსუს, რატომ არ არის ცოცხალი ბებიაჩემი!

**ბაბუაჩემი მშრომელი კაცი იყო-მეთქი რომ ვთქვა, რბილად გამომივა ნათქვამი. ეს გოლიათური აღნაგობისა და ძალის მქონე ადამიანი თავის შესაძლებლობებს უშურველად ახმარდა ოჯახს, სოფელს და ქვეყანას. სისხამ დილით ჯერ საკუთარ ყანაში დატრიალდებოდა, ხოლო მზე რომ ამოიწვერებოდა, კოლექტივის ფართობებისკენ გაიყოლებდა მეზობლებს დედაწულიანად.**

იმხანად მრისხანე ომი იყო, სამამულოს რომ ეძახდნენ, სადაც მისი ორი ვაჟი და უამრავი ახლობელი იბრძოდა. ქალებისა და ბავშვებისამარა დარჩენილ სოფელს პატრონი სჭირდებოდა. ერთი სიტყვით, ბაბუა ყველა საქმეს სწვდებოდა, მაგარი მეურნე იყო.

აი ფინანსურ-ეკონომიკური მენეჯერი კი ბებია გახლდათ, ნაღდად ასე იყო (ცოცხალი რომ იყოს, „მენეჯერს“ ვერ გაიგებდაძ. ხუთი შვილის, ათობით შვილიშვილ-შვილთაშვილის გამზრდელმა, ოჯახის გამძღოლმა ცხოვრებისა და ფულის ყადრი ნამდვილად იცოდა და ხშირად ბაბუაჩემს ეკონომიკურ მარიფათიანობაშიც კი წაფავდა.

და აი, ახლა, თავისი მმართველობის ოთხი წლისთავზე, ქვეყნის სიდუხჭირით შეშფოთებული პრეზიდენტი, ნოდარ დუმბაძისა არ იყოს, ხან სად და ხან სად ბებიებს ეკითხება, „რა ვქნათო“. აგერ გურულმა ბებომ ნათლად აუხსნა, თვითი ეკონომიკის მამად წოდებულ ბენდუქიძეზე უკეთესადაც, თუ რატომ არ უნდა იყოს საქართველოში შიმშილი.

ვიცი, ჩვენი პრეზიდენტის დაუდეგრობის ამბავი, იგი საამისოდ სამეგრელოშიც ჩავა (სამეგრელო მარტო ზუგდიდი და ფოთი როდიაძ, საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადებაში მთელი შემართება-პიარით ჩაებმება.

ჰოდა, ბებია ცოცხალი რომ მყოლოდა, მას უეჭველად მოინახულებდა და რჩევას დაეკითხებოდა, ის კი პრეზიდენტს უბრალოდ განუმარტავდა, ამ სოფელში და თითქმის სამეგრელოში კი არა, მთელ დასავლეთში ყველა გლეხის ოჯახში ორსართულიანი სახლები რომაა წამოჭიმული, ყველა სოფელს კაპიტალური, თანამედროვე სკოლა რომ აქვს, კლუბი და კანტორა, აი თქვენ რომ მოშალეთ, და ახლა აღორძინებას რომ უპირებთ, ის ბიბლიოთეკებიც რომ ჰქონდათ, სტადიონებსა და სხვა სიკეთეზე არაფერი ვთქვათ, ეს იმ ჩაის, ქართული ჩაის სიკეთე და წყალობაა, რომლის პლანტაციები დღეს ჯაგნარადაა ქცეული.

იმ ომის დროსაც ჩაის ხომ ვპატრონობდით, მოგვყავდა სიმინდი, ლობიო, მუხუდო, — დასძენდა უთუოდ ბებია. — საქონელიც გვყავდა, ხილითაც მდიდრები ვიყავით. აი, თუნდაც დაფნა რომაა, დარგავ, არც გამოთოხნა უნდა, არ შეწამვლა... აგერ ღობეებზე ტუნგოს ხეები ველურად რომ ხარობენ, მისი ნაყოფისაგან, შემოდგომით თავისით რომ ჩამოცვივა, საზღვაო ხომალდებისათვის საღებავები მზადდება, დიდი მოსავალი აქვს, გაჭირვების დროს მისგან საპონს ვხარშავდით და ომიც გადაგვატანინაო.

და კიდევ... აბა, მე რა ვიცი, ბებია იმდენ რამეს იტყოდა, მე არც კი დამესიზმრება. პირში მთქმელიც იყო და უთუოდ დაამატებდა — ნანა-სკუა, ქართველი კაცის სიღარიბე უთაობის, უპატრონობის ბრალია, თორემ ამ საედემო ქვეყანაში მათხოვარს რა უნდოდაო.

თუმცა, რა, რომ ეტყოდა, მე შენ გეტყვი და, ყურში შეუშვებს. კი გამოკითხა გურულ ბებიას, მაგრამ პასუხს არც დაუცადა, გუბერნატორი შეატოვა ჭკუის დასარიგებლად, თვითონ კი თვითმფრინავს მოახტა და... უცხოეთისკენ ჰერი!

ეგ დაწყევლილი საპარლამენტო არჩევნები რომ არა...

ჩაიაროს არჩევნებმა და მერე მე ვიციო. დედას გიტირებთო. ჰოდა, რომ იცის, სხვისი ნარჩევიც რაღად სჭირდებათ და ქვეყანაც ფეხზე ჰკიდიათ.

**გივი ჯახუა**

**◎ გლობუსი**

## სწორი გზით

**ოქსფორდის ამერიკული ლექსიკონი ასეთ განმარტებას აძლევს სიტყვა recession-ს (რისეშენს) — ვითარება, როდესაც ქვეყნის ბიზნესი და ეკონომიკა არ არის წარმატებული და უახლოვდება დეპრესიას.**

ბოლო თვეების განმავლობაში ეს სიტყვა ერთობ პოპულარული გახდა აშში და არა მარტო იქ. პრეზიდენტიდან დაწყებული, რიგითი ამერიკელით დამთავრებული, შეშფოთებული აკვირდება აღნიშნული სიტყვის სადარ სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობას, დოლარის გაუფასურებას, საყოფაცხოვრებო ნივთებსა და კვების პროდუქტებზე ფასების საგრძნობ მატებას, რაც თავისთავად ნავთობზე ფასების თავბრუდამხვევი მატებიდან მოდის, ინფლაციის ზრდას, უმუშევრობას და სხვა „სიკეთეებს“. ერთი თვის წინათ პრეზიდენტი ბუში საზოგადოებას არწმუნებდა, რომ ეკონომიკური ჩავარდნა დროებითი მოვლენაა, რომ ამერიკა გაუძლებს ეკონომიკურ გამოწვევას და სულ მალე დაიწყებს აღმასვლას. სამწუხაროდ, მას შემდეგ მდგომარეობა უფრო გაუარესდა. თუ გასული წლის ბოლოს ერთი ბარელი ნავთობის სავარაუდო ფასი — 100 დოლარი აუსრულებელ უტოპიად მიიჩნეოდა, დღეს 107-108 დოლარი ჩვეულებრივად იქცა. ამერიკელებს უჭირთ ნავთობის ფასებთან შეგუება, ვინაიდან ის ყველა ამერიკელის ჯიბეს დაეტყო, იმ ამერიკელისა, რომლის თვიური შემოსავალი რამდენიმე ათას დოლარს აჭარბებს გალატაკებული საქართველოს თუნდაც მაღალშემოსავლიანებთან შედარებით. **გასულ თვეს ამერიკას 63.000 სამუშაო ადგილი დააკლდა, რაც ექსპერტთა აზრით, სარეკორდო მაჩვენებელია ბოლო ხუთი წლის განმავლობაში. ნავთობმწარმოებელი ქვეყნებისადმი ბუშის მოწოდება, ნავთობის მოპოვების გაზრდის თაობაზე, მოწოდებად დარჩა, ვინაიდან „ოპეკის“ აზრით, ნავთობზე ფასების მატება სულაც არ არის გამოწვეული ნავთობის დეფიციტით, არამედ ის უკავშირდება დოლარის გაუფასურებას. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დაცემული დოლარის ღირებულება გაცილებით მეტია, ვიდრე ლარის, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება, რომელსაც ხელთ უპყრია დოლარის კურსის სათამაშო პულტი, ისე მანიპულირებს, როგორც თვითონ აძლევს ხელს. სავალუტო ფონდის დელეგაციის გამგზავრებისთანავე უმალ მოხდა ლარის „გამყარება“ დოლართან მიმართებაში. მსგავსი გამყარება ძლიერთა ამა ქვეყნისა ჯიბეებსაც ამყარებს და კიდევ უფრო აღატაკებს გაუბედურებულ საქართველოს მოსახლეობას.**

ნაკლებად ოპტიმისტურ პროგნოზებს აკეთებენ ამერი-






კელი ეკონომისტები. მათი გათვლით აშშ-ს საერთო ეროვნული პროდუქტის წარმოებამ თუ ერთ პროცენტს მიაღწია, დიდი წარმატება იქნება. ცუდი ეკონომიკური მაჩვენებლების გამომწვევი მიზეზების საძიებლად ექსპერტებს დიდი თავის მტვრევა არ სჭირდება: ერაყავღანეთის ომის მაგალითები, ყოველკვირეულად გადაყრილი მილიარდები... შედეგი — ჯერჯერობით პესიმისტურია. მარტო გასული კვირის ორმა აფეთქებამ ერაყის ყველაზე უსაფრთხო ქალაქ ბაღდადში 70 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, თუმცა დიდი საბჭოთა ბელადისა არ იყოს — ერთი ადამიანის სიკვდილია ტრაგედია, თორემ ათასებისა — სტატისტიკა. ამ სტატისტიკის მიხედვით და საერთაშორისო ორგანიზაციების გამოთვლით, ერაყში ომის დაწყებიდან დღემდე, ნახევარი მილიონი ადამიანი დაიღუპა. დიდი მსხვერპლია ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეებშიც. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტი ბუში ჯიუტად ეწინააღმდეგება ერაყიდან ჯარის გამოყვანას. მისი უკბილო არგუმენტით ერაყიდან გამოსვლა დამარცხების ტოლფასი იქნება და ტერორიზმი ამერიკას მიადგება. ბუშის არგუმენტის საწინააღმდეგოდ ნიუ-იორკის ცენტრში უკვე გაისმა გამაფრთხილებელი აფეთქების ხმა. საბედნიეროდ, ამჯერად უმსხვერპლოდ. ის, რომ რესპუბლიკელები არ აპირებენ ერაყის ეპოპეის დასრულებას, არაერთხელ განაცხადეს ამ პარტიის გავლენიანმა წარმომადგენლებმა, მათ შორის პრეზიდენტობის მომავალმა კანდიდატმა ჯონ მაკკეინმა. მას მიაჩნია, რომ ომი გამარჯვებამდე უნდა გაგრძელდეს. რესპუბლიკელთა მოსაზრების კატეგორიული წინააღმდეგია ამერიკის მოსახლეობის 60 პროცენტი, „დემოკრატიული“ ამერიკის ხალხის რჩეული „დემოკრატიული“ ადმინისტრაცია ნაკლებ ყურადღებას აქცევს ხალხის მოთხოვნას, ეს რომ ასე არ იყოს, პრეზიდენტობის კანდიდატი მაკკეინი შეეცდებოდა სხვაგვარად, არა ასე ერთმნიშვნელოვნად გამოეთქვა თავისი მოსაზრება ერაყის ომთან დაკავშირებით.

**ტერორიზმთან და ერაყის ომთან მიმართებაში პრეზიდენტ ბუშის მოსაზრება ცინიზმის კლასიკური მაგალითია, გარდა ამისა, ეგოისტურიც. ბუშის აზრით, იმისთვის, რომ აშშ დაცული იყოს ტერორიზმისაგან, საჭიროა ტერორიზმთან ომი ამერიკიდან შორს, რომელიმე ქვეყანაში. ამ ლოგიკით ყოველთვის უნდა იყოს ერაყი ან სხვა ერაყი, რომელიც მაგნიტივით მიიზიდავს მთელი მსოფლიოს ტერორისტებს, რაც თავისთავად გადაარჩენს ამერიკას. „კეთილშობილური“ მოსაზრებაა.**

ამერიკის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ლაფსუსებზე ნაკლებად გავამახვილებდი ყურადღებას, მით უმეტეს იმ მწარე მაგალითის შემდეგ, რაც მან თავის მიერ შერჩეული ხელისუფლების ხელით თავს დაატეხა საქართველოს, რომ არა გლობალიზაციის შედეგად ამერიკის ეკონომიკას ჩამოკიდებული მსოფლიოს და მათ შორის საქართველოს მძიმე ეკონომიკა და ნაკლებად დასამშვიდებელი პერსპექტივა. ამერიკული ვალუტის ევროთი ჩანაცვლება, მსოფლიოს ეკონომიკური „ელმავლის“ სხვით შეცვლას საკმაო დრო სჭირდება. და რაც მთავარია, არ ჩანს „ელმავლის“ ფუნქციის მატარებელი სხვა ქვეყანა. არც გაერთიანებული ევროპა, არც ჩინეთი და არც რუსეთი ჯერ მზად არ არის უაღრესად საპასუხისმგებლო მისიის შესასრულებლად. მსოფლიოს ერთპიროვნული მმართველობის სირთულეებს, პოლიტიკურ-ეკონომიკურ პრობლემებს ერთ დროს უძლიერესმა ამერიკამაც ვერ გაუძლო. მისმა უპასუხისმგებლო, ქედმაღლურმა მოქმედებამ დააჩქარა ერთპოლუსიანი მსოფლიოს დასასრულის დასაწყისი.

რაც შეეხება პოლიტიკას, ამ სფეროში დაშვებულმა უხეშმა შეცდომებმა მსოფლიოში ამერიკისადმი ნეგატიური განწყობა გააათმაგა. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გახშირებულ ანტიამერიკულ გამოსვლებს საერთაშორისო ცხოვრების მაქინაციებში გაუცნობიერებელი საქართველო კარგა ხანს ვერ ჩაწვდა, ერთი შეხედვით ვერც იმ „კეთილი“ საქმეების ნამდვილ მიზნებს აუღო ალღო, რაც ვაშინგტონმა თითზე ჩამოსათვლელ წლებში აკეთა საქართველოში და რასაც სხვაგან ათეულობით წელი მოანდომა. მოჭარბებულად მიმნდობი გამოდგა საქართველოს როგორც პოლიტიკური ელიტა, ისე პოლიტიკაში გაცნობიერებული საზოგადოება. **ისინი დღესაც**

№ 47. ხუთშაბათი, 13 მარტი, 2008 წელი.

# შინ და გარეთ

როცა დედაქალაქის გალამაზება-გაკოხტავებაზე ამდენს ვლაპარაკობთ, მერია კი ქვეყნის ფულს (ისევე ჩვენსას!ძ ხარჯავს სპორტული მოედნებისა თუ შადრევნების მოწყობაზე, ნუთუ ასე ძნელია გარევაჭრობის მოწესრიგება და საკუთარი მოქალაქეების პატივისცემა?



**დედაქალაქი**

## აბა, სუნამო იაფად, წინდები – ძვირად!..

***გარემოვაჭრეების მიმართ ხელისუფლების მიერ გაჩაღებულ ომზე ბევრი რამ ითქვა. ყველას კარგად გვახსოვს არა მარტო ქუჩებში აწიოკებული მზესუმზირის თუ თხილისა და სიგარეტის გამყიდველი ცხრაპირ ტანსაცმელში გახვეული ლტოლვილი თუ პენსიონერი ქალბატონები, არამედ საშუალო თუ მაღალი რანგის ჩინოსნებისთვის „თვალში უშნოდ მოხვედრილი" საცალო ვაჭრობის ჯიხურები თუ საზოგადოებრივი კვების საკმაოდ მკვიდრად აშენებული პავილიონები, რომლებიც შემდგომ ხელისუფალთა ნებით ტრაქტორებით და ბულოდზერებით პირისაგან მიწისა აღგავეს. ოფიციალურად ვაჭრობისთვის გამოყოფილ ბაზრობებზე სალარო აპარატების უქონლობის გამო, რომ იტყვიან, „ხორცის საკეპ მანქანაში" გატარებული წვრილმანებით მოვაჭრეებიც გვახსოვს. საპატრულო პოლიციის „ვაჟკაცობაც" ყველას თვალწინ გვიდგას, როცა ზუგდიდის ბაზრობის რკინის ჭიშკართან ჩამდგარნი მედგრად ედგნენ წინ შავი ხილაბანდებით თავწაკრულ ქალბატონებს, რომლებიც იქ დღესა და ღამეს ასწორებდნენ, რათა ოჯახებში ლუკმაპურის ფული შეეტანათ.***

ამ ამბებს მოყოლილი მოვლენებიც არ გვავიწყდება – ნელ-ნელა როგორ მოუშვა ქანჩებს სალარო აპარატის მარწუხებს ხელისუფლებამ და თანდათანობით როგორ დაუწყო „თვალის დახუჭვა" დედაქალაქში ჯერ კანტიკუნტად გამოჩენილ, მერე მასობრივად დაბანაკებულ გარემოვაჭრეებს, რომლებმაც ახლა უკვე ერთიანად დაიპყრეს თბილისის ქუჩები, სკვერები თუ მოედნები. ეს ამბავი შარშან დაიწყო და აშკარად პოპულისტური ხასიათისა იყო – ქვეყანა საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ემზადებოდა და თითოეულ „ქულას" დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

მას შემდეგ თბილისის ქუჩებში ამ მხრივ არსებითად არაფერი შეცვლილა, პირიქით – უწინ თუ მორიდებით იდგნენ ათასგვარი საქონლით მოვაჭრეები, ახლა დილაადრიანად გამოაქვთ თავიანთი სახელდახელო დახლები – ზოგს დაბალი მაგიდა, ზოგს ხის თუ მუყაოს ყუთი, ზოგს სკამი და იწყება აღებ-მიცემა.

არ მინდა, ვინმემ იფიქროს, თითქოს ამ ხალხს პურის ფულის შოვნის სურვილში ვადანაშაულებ, მაგრამ, ვფიქრობ, დამეთანხმებით, რომ ასე ქაოსურად დედაქალაქის ცენტრის (გნებავთ, გარეუბნებისძ ბაზრობად გადაქცევა, თბილისს ნამდვილად არ უხდება. ვისაც ბოლო დროს მარჯანიშვილის მოედანზე გაუვლია, ამაში აუცილებლად დამეთანხმება. სისხამ დილიდან მოყოლებული დაღამებამდე იქ გავლა, ფაქტობრივად, შეუძლებელია: უამრავი გარემოვაჭრე ათასნაირი საქონლით ვაჭრობს – დაწყობული წინდებითა და მზესუმზირით და ოჯახის არყით დამთავრებული. ამას ისიც ემატება, რომ მეტროს შესასვლელ-გასასვლელი ერთმანეთისგან გაუმიჯნავია (რის თაობაზე არაერთხელ გვითქვამსძ და არის მოედანზე ერთი რია-რია, ყვირილი, შეხლა-შემოხლა...

როცა დედაქალაქის გალამაზება-გაკოხტავებაზე ამდენს ვლაპარაკობთ, მერია კი ქვეყნის ფულს (ისევე ჩვენსას!ძ ხარჯავს სპორტული მოედნებისა თუ შადრევნების მოწყობაზე, ნუთუ ასე ძნელია გარევაჭრობის მოწესრიგება და საკუთარი მოქალაქეების პატივისცემა?

**ოთარ ტურაბელიძე**

**გლობუსი**

## მივდივართ?

**გაოცებით შესცქერიან სხვა ქვეყნების მოქალაქეთა ანტიამერიკულ გამოსვლებს და უკვირთ, რას ერჩიან იმ ქვეყანას, რომელიც მათი „კეთილდღეობისათვის" იღვწის. ქართული საზოგადოებისთვის დღემდე დაუჯერებელია, რომ ვაშინგტონს ნაკლებად აღელვებს საქართველოს კატასტროფული დემოგრაფია, ქართული ხელოვნებისა და კულტურის, მეცნიერების, ტრადიციების გაწყალება, საქართველოს სიდუხჭირე, საარაკო უმუშევრობა, არნახული ინფლაცია, თავიდან ბოლომდე მომხმარებლური და არა მწარმოებელი საზოგადოება. ამაზე საქართველოს ხელისუფლებამ უნდა ინაღვლოს და არა ვაშინგტონმა, ასე მიაჩნია მას. ვაშინგტონი არ ერევა ქვეყნის საშინაო საქმეებში... მხოლოდ სიტყვით.**

საქმით კი იმ პოლიტიკურ ძალებს უწევს დახმარებას, რომლებიც მის მიმართ როგორც ბატონისადმი მორჩილებით არიან გამორჩეული. ამერიკისთვის საქართველო ტერიტორიაა, საკუთარი მიზნებისა და ამოცანების განხორციელების პლაცდარმი, ზოგჯერ სხვის მიმართ მკაცრი პოლიტიკური განცხადების წყარო, ზოგჯერ პოლიტიკური ვაჭრობის საგანი. ნორჩ ქართველ პოლიტიკოსებს (არა მარტო ასაკიდან, არამედ ცოდნიდან გამომდინარეძ შეურაცხყოფად მიაჩნიათ სიტყვა „ვაჭრობის" პოლიტიკასთან, დიპლომატიასთან დაკავშირება, მით უმეტეს, თუ ის საქართველოს ეხება. საერთაშორისო ცხოვრების ერთ-ერთი ასეთი „ღრმად" მცოდნე ერთი წელია ელჩობის ჭაპანს ეწევა. საინტერესოა, იქ ყოფნამ მაინც არ დაანახა საერთაშორისო ცხოვრების პერიპეტიები?

ურწმუნო თომებისთვის ერთ მაგალითს მოვიყვან, თანაც იმ ქვეყნიდან, რომელსაც ყმაწვილი პოლიტიკოსები ესოდენ ეთაყვანებიან, ყოველ შემთხვევაში ასე წერს ებრაული გაზეთი „ჰაარეცი" ისრაელის დელეგაციის წვეულებაზე მისული ქართველი პოლიტიკოსების შესახებ. **გაზეთი გაოცებით აღნიშნავს, რომ ებრაელი სტუმრების მაგიდებთან რიგრიგობით მიდიოდნენ ინგლისურად მოლაპარაკე ახალგაზრდა ქართველი მინისტრები და ეფიცებოდნენ ამერიკისა და ისრაელის მოჭარბებულ სიყვარულში. ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, თეორეტიკოსი ტომას შეთინგი წერს – დიპლომატია ვაჭრობაა. ის შეიძლება იყოს თავაზიანი და უხეში, შეიცავდეს მუქარას ისე, როგორც წინადადებას, უშვებდეს სტატუს-კვოს ან იგნორირებდეს სხვათა უფლებებს და პრივილეგიებს.**

დიპლომატიური ვაჭრობა იმიტომ ვახსენე, რომ შარშან, აფხაზეთთან დაკავშირებით გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის მიღების დროს, ვაჭრობის შედეგად ჩრდილო კორეის საკითხმა გადაწონა. სულაც არ არის გამორიცხული, დღესაც ანალოგიური რამ ხდებოდეს. **ერთობ საეჭვოდ მოჩანს რუსეთის უცაბედი შეცვლა ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით. მან გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომის დროს უპირობოდ დაუჭირა მხარი ვაშინგტონის წინადადებას, ირანისათვის სანქციების დაწესებასთან დაკავშირებით. მოსკოვის თანხმობა ხომ არ იყო გამოწვეული ვაშინგტონის თანხმობით – ბუქარესტის სამიტზე არ განეხილათ უკრაინა-საქართველოს საკითხი?**

ბუქარესტში ეს საკითხი არ განიხილება – ასე განაცხადა ნატოელმა მაღალჩინოსანმა რობერტ სიმონსმა მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე. მიუხედავად ამისა, ქართული მხარე დაბეჯითებით ამტკიცებს საწინააღმდეგოს. ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების კატეგორიული წინააღმდეგია რუსეთის პრეზიდენტი პუტინი. გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელთან ბოლო შეხვედრის დროს ნოვოე ოგორიოვოში მან წინანდელთან შედარებით უფრო მკაცრად განაცხადა ამის თაობაზე და ისიც დაუმატა, რომ მიუხედავად ახალარჩეული პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის ლიბერალობისა, ნატოს და კოსოვოს საკითხებში მათი პოზიციები იდენტურია. რუსეთი ის სახელმწიფო არ არის, რომელიც ასე იოლად დათანხმდება საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოების ეჭვქვეშ დაყენებას. ასეთად კი პუტინ-მედვედევი ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებას თვლიან.

ნატოში გაწევრებასთან დაკავშირებით მოსკოვიდან დაბრუნებულმა სააკაშვილმა არაერთხელ გააკეთა განცხადება. მან ისიც აღნიშნა, რომ ეს არის უძლიერესი მსოფლიო ორგანიზაცია, სადაც საქართველო დაცულად იგრძნობს თავს. **ქართველ პოლიტიკოსთა საყურადღებოდ უნდა ითქვას, რომ თანამედროვე მსოფლიოში სამხედრო ბლოკის არსებობა ნაკლებად გამართლებულია და სულაც არ არის გამორიცხული, რომ მან არცთუ შორეულ პერსპექტივაში ისევე შეწყვიტოს არსებობა, როგორც სხვა სამხედრო ბლოკებმა, რაც შეეხება მის სიძლიერეს, თუ ავღანეთიდან გამომდინარე ვიმსჯელებთ, დიდი ვერაფერია.**

საქართველოს პრეზიდენტს სხვა განცხადებებიც ჰქონდა, რამაც ჩვენთვის მწარე რეაქცია გამოიწვია რუსეთში, საგარეო უწყების ოფიციალური განცხადების სახით. ქართულ მხარეს პუტინის ნათქვამის არაობიექტურ აღქმაში დადეს ბრალი. ესეც არ გვაკმარეს – ახალი ინიციატივით რუსეთი შეწყვეტს აფხაზეთის ეკონომიკურ ბლოკადას. ეკონომიკური სანქციები მთელი სიგრძე-სიგანით არასოდეს ამოქმედებულა, მაგრამ ჩვენს დასამშვიდებლად დღემდე არსებობდა. გამჭრიახი დიპლომატია სწორედ იმაში გამოიხატება, რომ დროულად მოახდინო რეაგირება. ქართულ მხარეს ბერწი სანქციების არსებობა თავის სასარგებლოდ უნდა გამოეყენებინა და აფხაზებთან მოლაპარაკების დაწყების წინაპირობად გამოეცხადებინა, მაგრამ, როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლებას არავითარი სურვილი არ აქვს მოილაპარაკოს სოხუმთან, პირიქით სენსაციური განცხადებებიდან გამომდინარე, სულ უფრო შორდება დიალოგს.

ქართველი ჟურნალისტის სოხუმში დაკავების ამბავიც ამ სიმღერიდან არის, თორემ ანალოგიური საკითხები უხმაუროდ წყდება. **ამ ისტორიაში მთავარი იყო სააკაშვილის ბაღაფშისადმი შეთვლილი მუქარა და გათავისუფლებული ჟურნალისტის მიერ ტელეკამერების წინ პრეზიდენტისათვის თქმა, რომ აფხაზებს სააკაშვილის ძალიან ეშინიათ. პრეზიდენტმა აიტაცა ჟურნალისტის მიერ ნათქვამი შეკვეთილი ფრაზები და კიდევ ერთხელ გვაუწყა, რომ სააკაშვილის შიშით გაათავისუფლა სოხუმმა ჟურნალისტი. ჟურნალისტის ამ განცხადებისათვის საქართველოს ყველა ტელეარხმა ეს სიუჟეტი პირველ ნომრად გაუშვა, მაშინ, როდესაც შესანიშნავი ქართველი ხელოვანის დაკრძალვის სიუჟეტი მხოლოდ მეორე-მესამე იყო. სათაყვანებელ ხელოვანთან გამოთხოვება უპირველესი მორალური მნიშვნელობის მატარებელი უნდა ყოფილიყო, გაცილებით მაღალი, ვიდრე რიგითი პოლიტიკური მუქარა. უნებლიეд იბადება კითხვა – სწორი გზით მივდივართ?**



**ჰამლეტ ჭიპაშვილი**

პოლიტოლოგი

№ 47. ხუთშაბათი, 13 მარტი, 2008 წელი.

# მწარე რეალობა

ლოტოტრონით დირექტორების დანიშვნის სასაცილოობა ახლა გამოჩნდა? ცხრამუხელი კადრი, ლოტოტრონის გადამკიდე, ცხრუკვეთში რომ არ უნდა გადაკარგულიყო, ეს „ლოგიკა“ახლა ამუშავდა? ლოტო რასაც ნიშნავს, მაშინ არ ვიცოდით და ახლა გაგვახსენდა?...



## მკვახე შეძახილი

# ბუმერანგული რეფორმები,

## ანუ ვინ არის ის, ვინც ჯერ კერავს და მერე ჭრის?

**დიდება შენ სახელს, ღმერთო! რასაა, რომ არ მოასწრებ კაცს! განა რამდენი ხანი გავიდა მას მერე, რაც მოქარგული ენა-პირით გვარწმუნებდა ქვეყნის მეთაური — განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მაგარ რეფორმებს ატარებს და ყველაზე წარმატებულიაო! არადა აგერ, „გუშლამ“ პედაგოგებთან შეხვედრისას, სწორედ ის რეფორმები არ გაუკრიტიკა?...**

რა ვქნა, მე, ურწმუნო თომამ, საკუთარ თავს არ დავუჯერე და რამდენიმე ნაცნობს შევეხმიანე — ხომ სწორედ მახსოვს, ლომაიას ხომ უქებდა საააკაშვილი რევოლუციურ გარდაქმნებს განათლების სფეროში-მეთქი (მეცნიერებას ამჯერად შევეშვათ)? — კიო, ყველამ დამიდასტურა. ჰოდა, თუ „კი“, მაშინ რა მოხდა, უშიშროების საბჭოში „დაწინაურებული“ ექს-მინისტრი ახლა გახდა სამიზნე? მომავალმა არჩევნებმა ხომ არ მოითხოვეს ეს ზვარაკი?...

არა, ლოტოტრონით დირექტორების დანიშვნის სასაცილოობა ახლა გამოჩნდა? ცხრამუხელი კადრი, ლოტოტრონის გადამკიდე, ცხრუკვეთში რომ არ უნდა გადაკარგულიყო, ეს „ლოგიკა“ახლა ამუშავდა? ლოტო რასაც ნიშნავს, მაშინ არ ვიცოდით და ახლა გაგვახსენდა?...

თქვენც კაი ვინმეები ხართ, ტელეკადრებში გაჩითული, შეხვედრის მონაწილე პატივცემულო პედაგოგებო, ხზოს ალტაცებით რომ შესცქეროდით ბატონ პრეზიდენტს, თავს უქიცინებდით და ტაშს უკრავდით, შემდეგ, ტელეკამერებთან კი შთაბეჭდილებებს გვიზიარებდით აღფრთოვანებულები — ერთი თქვენგანი თუ წამოდგა იმ დარბაზში და შებედა პოზიციაშეცვლილ პირველ პირს, აქამდე სად ბრძანდებოდითო? ან ეგ ჩაფლავებული რეფორმატორი უშიშროების საბჭოში გვერდით რატომ მოისკუპეთო?...

ამრიგად — ძირს ლოტოტრონი! (ტაში). ძირს — ერთწლიანი ხელშეკრულებები! (ტაში). მალლა — ვერცხლისა და ოქროს მედლები! (ტაში).

ამასობაში, ნელ-ნელა ხომ არ ვუბრუნდებით ძველ საგანმანათლებლო სისტემას, რომელსაც, სხვათა შორის, არც არაფერი უჭირდა? თუ ასეა და კიდევ, თუ ჩემ ჭკუის სასწავლებლად გაგხდომიათ საქმე, ძვირფასო განათლების სფეროს მესვეურნო — ნუ დაელოდებით მაინცდამაინც პრეზიდენტის ჩარევას და გაატარეთ პატარა „უკურეფორმები“: უაზრო სახელწოდება „ერთიანი ეროვნული გამოცდები“ მოშალეთ და ნორმალური „ერთიანი მისაღები გამოცდები“ დაარქვით უმაღლეს სასწავლებლებში ჩასარიცხ გამოცდებს (ოღონდ „ჩასარეცხში“ არ აგერიოთ!); უსახური „რესურს-ცენტრი“ გადახაზეთ (ნეტავ ამის შემომღებს გონების რესურსები სულ გამოელია?...) და ძველი კეთილი „განათლების განყოფილება“ (ან, ბოლოს და ბოლოს, განათლების ცენტრი მაინც) დაარქვით ისევ იმ ხელმძღვანელ სტრუქტურას.

ბოლოს, ერთი რჩევაც: შეეშვით, რა, მაგ აბურდულ-დაბურდულ ასქულიან და „ექვსზონიან“ შეფასებას და დაუბრუნდით, ბიძიკოებო, ორბალიან „ორიან-ხუთიან“ (ცუდიან-ფრიადიანს) — სანამ ქვეყნის მეთაური ამაშიც ჩაერეოდეს.

... ისე, ამ რეფორმების შემოღება-გატარება-შეჩერება-გაუქმებით, წალმა-უკულმობით როდემდე უნდა გვაბითურებ-გვაშაყირებდნენ? ოხ, როდემდე, როდემდე? ჩემო საყვარელო პრეზიდენტო, მომეც ამის პასუხი...

კიდეც ჭრის, კიდეც კერავს; ან ჯერ კერავს, მერე ჭრის... აბა გამოიცანით, ვინ არის?...

**თამაზ ებანოიძე**

## კრიმინალი

### 13 წლის მკვლელი

**რამდენიმე დღის წინათ თელაველი ტაქსის მძღოლი ვაჟა კოჭლამაზაშვილი სახლში არ დაბრუნებულა. ოჯახის წევრებმა სამართალდამცავებს მიაკითხეს. გამოცხადდა ძებნა. პირველადი მოკვლევის შემდეგ გაირკვა, რომ ტაქსის მძღოლი, ჩვეულებრივად ბირჟაზე იდგა და კლიენტს ელოდა. მას მანქანაში ჩაუჯდა თელავშივე მცხოვრები 13 წლის ვახტანგ მამუჩაშვილი და სთხოვა თელავში დანგრეული და ჩაბნელებული ქუჩებით ცნობილ მაწანწარას უბანში მიყვანა.**

გამოძიების ვერსიით, როგორც კი მანქანა მაწანწარას მიუახლოვდა, მგზავრმა კოჭლამაზაშვილს ფული მოსთხოვა. მძღოლი სამუშაოდ ახალი გამოსული იყო. ამის გამო ფული არ ჰქონდა. მაშინ არასრულწლოვანმა ძვირფასეულობა და ფასიანი ნივთები მოითხოვა. უარის მიღების შემდეგ მამუჩაშვილმა მანქანის პატრონს გადმოსვლა უბრძანა (გამოძიების ვარაუდით, იძულებითი გადმოყვანა დანის მუქარით უნდა მომხდარიყო).

გამომძიებელთა ვარაუდით მოძალადე მიხვდა, რომ კოჭლამაზაშვილმა იგი იცნო. მას შეეშინდა მძღოლის მხრიდან პოლიციაში განცხადებისა და მანქანიდან გადმოსვლის დროს, ტაქსის მფლობელს წინასწარ მომზადებული მავთულით ყელზე მარყუჟი გაუკეთა. ფიზიკურად ძლიერმა ახალგაზრდამ მძღოლი გაგუდა. კვალის დაფარვის მიზნით მამუჩაშვილმა გარდაცვლილი საბარგულში ჩააგდო, მდინარე ალაზანთან მიიტანა და წყალში გადააგდო.

პოლიცია და ახლობლები უშედეგოდ ეძებდნენ უგზო-უკვლოდ დაკარგულს. კოჭლამაზაშვილის გაუჩინარებიდან რამდენიმე დღეში წყალმა გვამი ნაპირზე გამორიყა.

მომხდარმა იმდენად შოკში ჩააგდო ადგილობრივი სამართალდამცავები, რომ ისინი წარმოუდგენლად თვლიდნენ 13 წლის ბიჭის მიერ ჩადენილ მკვლელობას. მიუხედავად იმისა, რომ ტაქსის ბირჟის მძღოლები პირდაპირ მიუთითებდნენ კოჭლამაზაშვილის ბოლო მგზავრზე, რომლის წაყვანის შემდეგ იგი არავის უნახავს.

ყველა ეჭვი თელავის „ლუკოილის“ ავტოგასამართ სადგურში დამონტაჟებულმა ვიდეოკამერამ გაფანტა. მასზე დაფიქსირებული იყო, თუ როგორ ასხამდა მამუჩაშვილი მოკლულის მანქანაში საწვავს. ეჭვმიტანილი დაკავებულია. იგი უკვე თბილისშია გადმოყვანილი.

### „იალაღზე“ მიშვებული ახალგაზრდობა

**რამდენადაც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მამუჩაშვილი თანატოლებში აგრესიულობით გამოირჩეოდა. ახლო კონტაქტები ჰქონდა ასაკით უფრო „შავი სამყაროს ტრადიციების მატარებელ“ პირებთან.**

მიუხედავად იმისა, რომ მისი ურთიერთობები ღიად ფიქსირდებოდა, მათ აღსაკვეთად არაფერი კეთდებოდა. სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ არასრულწლოვანთა უზნის ინსპექტორისა და უზნის ინსპექტორის ინსტიტუტების გაუქმება-დაკნინებამ მოგვცა იალაღზე მიშვებული ახალგაზრდობა. ახალგაზრდობისა და არასრულწლოვანების საკითხების ექსპერტები შეშფოთებას გამოთქვამენ არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის ჩამდენ პირთა ასაკის წლიდან-წლამდე გაახალგაზრდავების გამო.



### არასრულწლოვანმა კაცი იმსხვერპლა

**თელავში მომხდარის პარალელურად თბილისში კიდევ ერთი მკვლელობა მოხდა. ეჭვმიტანილი არასრულწლოვანია.**

თბილისის ერთ-ერთ საბილიარდოში მეგობრებთან, მათ შორის გოგონებთან შესულ ახალგაზრდებს (სამართალდამცავების კატეგორიული მოთხოვნით, საბილიარდოს სახელწოდების, გარდაცვლილისა და ეჭვმიტანილის ვინაობის დასახელებისაგან თავს ვიკავებთ, რადგან ამ უკანასკნელის ვინაობა დადგენილია და მასზე გამოცხადებულია ძებნა), მოულოდნელად დაახლოებით 14-15 წლის ბიჭიც შეუერთდათ. იგი ნასვამი იყო. შემოსწრებული იგინებოდა, გამომწვევად იქცეოდა. ახალგაზრდებმა მისი დაწყნარება სცადეს. გაგულისებულმა არასრულწლოვანმა შამპანიურის ბოთლი გადატეხა და მათზე გაიწია. საბილიარდოს დაცვამ დროზე მოასწრო სიტუაციის დარეგულირება. მთვრალი საბილიარდოდან გაუშვეს.

ნახევარ საათში გაძევებული უკან მობრუნდა. მან ახალგაზრდებისაგან ერთ-ერთი გამოძიებისათვის ჯერჯერობით დაუდგენელი პირის მეშვეობით გარეთ გაიხმო. გასვლისთანავე ნასვამმა არასრულწლოვანმა სამზარეულოს დიდი დანა მას გულში ჩაარტყა. დაჭრილის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

მომხდარის ფონზე, ექსპერტებისა და სპეციალისტების შემაშფოთებელი სტატისტიკისა და დასკვნების პარალელურად, ხელისუფლება ჯიუტად გვიმტკიცებს, რომ მოზარდთა შორის დანაშაულმა, განსაკუთრებით კი მძიმემ, საგრძნობლად იკლო. ფაქტები კი სხვაზე მეტყველებენ — წინა კვირაში ორი მკვლელობა ჩადენილია არასრულწლოვანების მიერ.

**ზაზა ბილიხოძე**

## ინფორმაცია

### აპროტესტებენ ინვესტორის შესვლას

**ოფთალმოლოგიის ცენტრის მედპერსონალი პრეზიდენტის იმ ბრძანების გაუქმებას ითხოვს, რომლითაც ფარმაცევტულ კომპანია „PS“-ს მათი ცენტრი გადაეცა.**

**როგორც აღნიშნული ცენტრის ექიმმა ნინო დუგლაძემ განაცხადა, ოფთალმოლოგიის ცენტრის თანამშრომლები მათ დაწესებულებაში ინვესტორის შესვლას აპროტესტებენ, რადგან პირობების გაუმჯობესების ნაცვლად ისინი გაუსაძლის მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ცენტრში უკვე ბრძანებით გათავისუფლდა 6 პერსონალი და შენობაში ინვესტორმა ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე რემონტი დაიწყო.**

**ჩვენ გვპირდებოდნენ, რომ აშენდებოდა 150-საწოლიანი ევრორემონტის საავადმყოფო, სადაც გადაიყვანდნენ „PS“-ს მიერ შეძენილი ოთხი კლინიკის თანამშრომლებს. შედეგად შემცირება გარდაუვალი იქნებოდა, მაგრამ ნაცვლად აღნიშნულისა, ინვესტორმა რემონტი ჩვენს კლინიკაში მოულოდნელად, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე დაიწყო, რაც გენგეგმით გათვალისწინებული არ იყო. სარემონტო სამუშაოები ყოველგვარი პროექტის გარეშე მიმდინარეობს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ასეთ პირობებში პაციენტთა მიღება და ოპერაციების ჩატარება გვიწევს, — აღნიშნა დუგლაძემ.**

**მისივე თქმით, აღნიშნულ საკითხს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი კახა ოქრიაშვილი ლობირებს. პრივატიზაციასთან დაკავშირებით არსებულ ყველა დოკუმენტში იურისტებმა დარღვევები აღმოაჩინეს. დახმარებისთვის ცენტრის მედპერსონალმა გაერთიანებულ პროფკავშირსაც მიმართა. ასევე, აპირებენ მიმართვები გაუგზავნონ საქართველოს პრეზიდენტს, ეკონომიკისა და ჯანდაცვის სამინისტროებს, რათა ისინი სიტუაციაში გაერკვნენ. ამ საკითხზე ოფთალმოლოგიის ცენტრის თანამშრომლებმა გუშინ გაერთიანებული პროფკავშირის წარმომადგენლებთან ერთად პრესკონფერენციაც გამართეს.**

**ფარმაცევტულ კომპანია „PS“-ს ოთხი კლინიკა: მე-4 სამშობიარო სახლი, დამწვრობის ცენტრი, ნევროლოგიისა და ოფთალმოლოგიის ცენტრები პრეზიდენტის 2007 წლის 15 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე გადაეცა.**

### განიხილეს ნავსადგურთა ინფრასტრუქტურის მდგომარეობა

**ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის, ფოთისა და ბათუმის საზღვაო ნავსადგურების წარმომადგენლებმა ბულგარეთის ქალაქ ვარნაში გამართულ პირველ რეგიონალურ სემინარში — „სატრანსპორტო ბაზრის კვლევა და ნავსადგურის მარკეტინგი“ მონაწილეობა მიიღეს.**

**შეხვედრა პროექტის — „ტრასეკა და ევროპულ დერეფნებს შორის საზღვაო კავშირების გაუმჯობესება“ ფარგლებში გაიმართა.**

**სემინარში გარდა ქართული მხარისა, თურქეთის, უკრაინის, ბულგარეთისა და რუმინეთის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.**

**სემინარზე შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების ნავსადგურების ინფრასტრუქტურის მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები განიხილეს. კონკრეტულად უცხოელმა ექსპერტებმა მონაწილე ქვეყნების ნავსადგურების 2020 წლამდე ტვირთბრუნვის საპროგნოზო მაჩვენებლები წარადგინეს.**

### ზარების საფასური ორიდან ოთხ თეთრამდე გაიზარდა

**„ჰაილაინის“ ქსელიდან „გაერთიანებული ტელეკომის“, „ახალი ქსელების“ და „ახტელის“ ქსელებში ზარების საფასური 4 თეთრამდე იზრდება.**

**როგორც შპს „ქართული სატელეფონო კომპანია ჯტს-დან („ჰაილაინი“) აცნობეს, ზარების წუთობრივი ღირებულება 2-დან 4 თეთრამდე 15 აპრილიდან გაიზრდება.**

**„ჰაილაინის“ შიდა ქსელში საუბარი კვლავ უფასო იქნება.**

**ინტერპრესნიუსი**

# გულის ბუხარი •

...რაც შეეხება ჩემი გვარის გენეალოგიაში „მინარევების" ძიების სურვილს, ვაცხადებ: ტყუილად ნუ გაირჯება მავანი. მე მიყვარს ჩემი კოლხური წარმოშობის გვარი, რომელიც ცხოველთა მეფესთან ასოცირდება... ჩემს თინეიჯერ შვილიშვილებს მოსაკითხი დააქვთ თბილისის ზოოპარკის გისოსებში გამომწყვდეულ ლომებთან...



**◎ თვალსაზრისი**

## ჩემი ნარაზენი ჩემი ოქსფორდია,

### ანუ გაკვრით სადაურობისა და ცრუქართველობის შესახებ

### ჯერ სადაურობაზე ვიტყვი

**საზოგადოებრივ და სახელმწიფო მოღვაწეთა ბიოგრაფიებში ქექვა, სადაურობის მოძიება, სამწუხაროდ, იშვიათი როდია.იგი ჩვენი საყმაწვილო სენია პოლიტიკაში. ნაღდი თბილისელობა, ნაღდი ქუთაისლობა, ნაღდი აჭარლობა... დღესაც გვჭრის ყურს. 90-იანი წლების შინააშლილობის დღეებში ჩამოყალიბდა ორგანიზაცია „თბილისელები", რომლის წევრები მოითხოვდნენ ნაღდი თბილისელის" პრივილეგიებს სხვა, არანაღდ თბილისელებთან – ჩამოსულებთან მიმართებაში...**

სოფელი იყო და რჩება ტრფობის საგანი. გავიხსენოთ, როგორ ელოლიავებოდა სულმნათი ილია ყვარლის მთებს, აკაკი – საჩხერეს, კონსტანტინე გამსახურდია – მსოფლიოში ყველაზე მოკლე მდინარე ზანას! მშობლიური სოფლის უსაზღვრო სიყვარულის ნიმუშია ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებები. დაწერდა კი, ვთქვათ, პლეხანოველი პოეტი „ხმელი წიფელს" და „გველის მჭამელს"?..

...ჩვენდა სამწუხაროდ, არასწორი ურბანული და აგრარული პოლიტიკის გამო ჩვენი სათაყვანებელი თბილისი სოფლიდან გამოქცეული ხალხის თავშესაფარი, თავკომბალა ქალაქი გახდა. ეს ჩვენი უბედურებაა.

მსოფლიოში დიდი ხანია დაიწყო ე. წ. маятниковая миграция. მაგალითისთვის: ნიუ-იორკის მოსახლეობის 40 პროცენტმა დატოვა ცათამბჯენები, მუშაობს ქალაქში, მაგრამ ცხოვრობს სოფლად, 60-70 კილომეტრის მოშორებით. ეწევა იქ ნატურალურ მეურნეობას: ჰყავს ძროხა, თხა, მოწყობილი აქვს ბაღ-ბოსტანი, თევზის აუზი, ჰყავს ძაღლი, კატა... ნიუ-იორკი ამ მხრივ გამონაკლისი როდია.

სიღარიბის დაძლევისა და სოფლის აღორძინების თაობაზე ბოლო დროს ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი პროექტები იქნებ მივაბათ სოფლიდან წასული მოსახლეობის დაბრუნების პროგრამას, მსხვილი ქალაქების განტვირთვის პროგრესის სტიმულირებას. ღირს ამაზე სერიოზული ფიქრი.

...სწორედ ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონმა" მიბიძგა, დამეტოვებინა თბილისში სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის დირექტორის ნომენკლატურული თანამდებობა, სადაც ერთი სახელმძღვანელო და ოთხი წიგნი გამოვეცი. ქალაქი დავტოვე არა დასნეულებულმა, სოფლის შესანახად, არამედ საღსალამათმა, ყოველმხრივ მოქმედმა 49 წლის კაცმა. და აი, 21 წელია ვეფერებით ერთმანეთს მე და ჩემი სოფელი ნარაზენი.

რა მოვასწარი, რა გავაკეთე? ახლავე მოგახსენებთ:

დაქცეული ნარაზენის ჩაის მეურნეობა ჩემი 12-წლიანი დირექტორობის დროს ერთ-ერთი წარმატებული, რენტაბელური გახდა. პირველმა ზუგდიდის რაიონში მოვახდინე მეურნეობის სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებზე, გავიმარჯვე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, მაფიას წავართვი და ხუთი სასამართლოს გავლით 200 ოჯახს საკუთრებაში გადავეცი საკარმიდამო მიწა. ეს მოხდა ადგილობრივი ხელისუფლების დაუფარავი წინააღმდეგობების პირობებში.

ასეთი „თავხედობისათვის" მოვასწარი „მხედრიონელი" ხელისუფლების წყალობით სასამართლოს გარეშე სამჯერ პატიმრობაში ყოფნა!

თანასოფლელ თემურ თოდუასთან ერთად ასევე მოვასწარი სოფლის 400 ჰა მიწაზე კივის, ფეიხოას, თხილის, ბლის, მსხლის, ტყემლის გაშენებაში სერიოზული ინვესტიციები ჩამედო სოხუმელ კაცურკაცს, აფხაზეთის ომის მონაწილე ბიზნესმენ გურამ დადუანს. სოფელ ცაიშის თერმული წყლების გამოყენებით მალე 11 ჰექტარზე გაშენებულ სათბურებში ყოველწლიურად 600 ტონამდე კიტრს, პომიდორს და სხვა ბოსტნეულს მოვიწევთ, ხოლო ნარაზენის საკონსერვო ქარხანაში 350-მდე კაცი დასაქმდება. ნავარაუდევია, რომ დადუანის ბოსტნეულმა ქართული ბაზრიდან გააძევოს საეჭვო ეკოლოგიური წარმომავლობის ძვირადღირებული თურქული პროდუქცია!

ზუგდიდ-ნარაზენის 15-კილომეტრიანი საავტომობილო გზის მოასფალტება თავისი ინფრასტრუქტურით (მგზავრთა მოსაცდელები, საგზაო ნიშნები) უკვე დამთავრდა. წლეულს კი მდ. ჭანისწყალზე გაშენებული კაპიტალური ხიდი თბილისთან 40 კმ-ით გზას შეამოკლებს, ხობისა და ზუგდიდის რაიონების მოსახლეობის კონტაქტებს კომფორტულს გახდის. არ ვმალავ, ეს პროექტი ნარაზენში მოსახლეობის წინაშე მ. სააკაშვილის დაპირების შესაბამისად ჩემი თაოსნობით განხორციელდა. სოფლის საექიმო ამბულატორია და საჯარო სკოლა გაისად ერთ-ერთი საუკეთესო უნდა გახდეს. ამის საფუძველს მაძლევს საჯარო ოპონირების პირობებში აქ არჩეული ენერგიული დირექტორი და უაღრესად პრინციპული სამეურვეო საბჭო. სოფლის საჯარო სკოლასთან არსებული მოკრივეთა კლუბის სოფელ ვარიანის (გორის რაიონი) მოკრივეთა კლუბის კონკურენცია, ნარაზენს მოსწავლეთა შორის მრავალი ჩემპიონი, პრიზიორი ჰყავს. არ მოვასვენე სამედიცინო რადიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა, რომელმაც მშობლიურ სოფელს საჩუქრად ძვირადღირებული რენტგენო და ექსოსკოპიის აპარატურა გადასცა. დაბოლოს, ნარაზენის ცენტრში დასასრულს უახლოვდება გუმბათოვანი მართლმადიდებლური ეკლესიის მშენებლობა. საამისოდ მოვიძიე ნარაზენში დაბადებული ან სხვა ნათესაური კავშირით ნარაზენთან ჭიპმიბმული ფულიანი პატრიოტები.

ბევრია, თუ ცოტა ერთი კაცისთვის ყოველივე ეს, თავად განსაჯეთ. მე კი ვოცნებობ იმ დღეზე, როდესაც ეკლესიის გახსნასთან დაკავშირებულ საზეიმო სუფრას ეს დროული კაცი თამადად დავუდგები და მოვეფერები ყველას, ვინც თავისი ქველმოქმედებით უზრუნველყო სოფლის ნამდვილი აღმშენებლობა!

...სოფლის ფენომენი ამოუწურავი თემაა, მაგრამ სოფლის სინონიმად „პროვინციელი" ნამდვილად არ გამოდგება, რადგან პროვინციელი ცენტრიდან დაშორებულ, შეზღუდული აზროვნების მქონე პირს ნიშნავს. ოქსფორდი ლონდონიდან 70 კილომეტრითაა დაშორებული, მაგრამ იქაურებს პროვინციელი რომ დაუძახო, სიცილით ჩაბჟირდებიან.

მთავარა არა ის, თუ სად ცხოვრობს კაცი, არამედ თუ რა უდევს ამ კაცს თავში.

ჩემი ნარაზენი ჩემი ოქსფორდია!

...ქართველები სულ ჩვენს მცირერიცხოვნობას მივსტირით. არის ამაში გარკვეული რეზონი. ცნობილი ფრანგი მწერალი ანატოლი ფრანსი თავის ერთ-ერთ გახმაურებულ რომანში ფრანგების წინაპრად პინგვინებს მიიჩნევს(?!) მიუხედავად ასეთი გროტესკისა, ის არავის გაუსამართლებია, მხოლოდ შერეკილის იარლიყი მიაკერეს; მე კი, პატარა ერის შვილი, სულ მთლად „გადარეული", ორჯერ გამოვედი სამეგრელოს ტელევიზიითა და ადგილობრივი პრესით (ცენტრალურში არ დამიბეჭდეს!) მურმან ლებანიძის ანტიმეგრული ლექსის გამო. ჩემს ზუგდიდელ რაჭველ ნათესავებს კი საფლავში დავუფრთხე მამა-პაპა მხოლოდ იმისთვის, რომ ქალაქელმა ავტორმა ჩემს „სოფლელ" ენგურს „ქალაქელ" მტკვართან ხმის ამოღება აუკრძალა.

...სოფლად ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ მსოფლიო ლიტერატურის გრანდები: ლევ ტოლსტოი, მიხეილ შოლოხოვი, ვაჟა-ფშაველა, ერნესტ ჰემინგუეი... სოფელ ჭორვილაში (საჩხერის რაიონი) ცხოვრობს ყველა დროის ყველაზე მდიდარი და ყველაზე დიდი ქველმოქმედი ქართველი ბიძინა ივანიშვილი.

...მეგრელების რძალს, საქართველოს ერთ-ერთ ჭკვიან, მომხიბლავ, ელიტარულ სალონებში გაზრდილ ეკატერინე ჭავჭავაძეს დიდხანს არ უჭოჭმანია, რომ ზუგდიდის ულრან ტყეებში ქალამნიანი მეგრელების გარემოცვაში ეცხოვრა. დღეს კი ცხვირაპრეხილ ქალაქელ „ბანოვნებს", რომლებსაც ორი წიგნიც არ გადაუშლიათ, სოფლისკენ გამოხედვაც არ სურთ.

### ახლა კი ცრუქართველობის შესახებ

**მხედველობაში მაქვს ერთ-ერთ განაწყენებულ მრავალტირაჟიან გაზეთში დასტამბული პუბლიკაციები ზურაბ ჟვანიას, ირაკლი ოქრუაშვილის, გელა ბეჟუაშვილის „სომხობის" შესახებ. გაზეთის რესპონდენტები იმერეთის ყოფილი გუბერნატორი თემურ შაშიაშვილი და ვინმე ზვიადისტი გიორგი ულიმბეგოვი არიან.**

უფრო შორს წავიდა საქართველოს ეროვნული აკადემიის წევრი იაკობ ახუაშვილი, რომელმაც ბევრი იკვლია, თუ ცოტა იკვლია, „მიაკვლია" ბაგრატიონთა დინასტიაში სომხურ ფესვებს(?!)

მოვიყვან ორ ციტატას საგაზეთო პუბლიკაციიდან: „საცოდავო საქართველო! ორი მთავარი პოსტიდან საქართველოში არც ერთი არ უჭირავს ქართველს. ერთი უჭირავს სომეხს, მეორე ებრაელს. თავდაცვის მინისტრი ებრაელია, საგარეო საქმეთა მინისტრი კი სომეხი... „საქართველოს მართავს „პეტერსონ-ბელქნაფი" – ამერიკაში ყველაზე ძლიერი სომხური ლობი!!! სადაც წლების განმავლობაში მუშაობდა მიხეილ სააკაშვილი!"

„რატომ საცოდავო საქართველო?" ქართველებსა და სომხებს მართლაც ჰყავდათ საზიარო მეფეები, საზოგადო მოღვაწეები. ბატონო თემურ, ამის „აღმოსაჩენად" ქუთაისიდან დედაქალაქის საჯარო ბიბლიოთეკაში ჩამოსვლა სულაც არ იყო საჭირო; ასეთ მარტივ მაგალითებს იქვე, ქუთაისის საბავშვო ბიბლიოთეკაშიც მოიძიებდით.

ბატონო იაკობ, თქვენი გვარის – ახუაშვილის ქლერადობა, მისი გნოსოლოგიური ფესვები ჩემში მაინცდამაინც ქართულ ემოციებს არ იწვევს, მაგრამ არასდროს მიფიქრია გაზეთის საშუალებით ამაზე განგაში ამეტეხა.

ადოლფ ჰიტლერის „Mein Kamf" მე არ წამიკითხავს. მაგრამ კინოქრონიკებიდან ვიცი, როგორი ანთროპოლოგიური მოწყობილობებით ამოიცნობდნენ ფაშისტები ტყვეთა შორის ებრაელებს, შემდგომ კი გაზის კამერებში ხოცავდნენ.

ბატონებო, რა ახლოს დგახართ ჩვეულებრივ ფაშიზმთან.

შევეცდები, ამოვხსნა ეს ერთუცნობიანი განტოლება. იმერეთის ყოფილ გუბერნატორს მისი ოთხწლიანი ოპოზიციონერობის მანძილზე მსგავსი რამ არ წამოცდენია (თორემ ზოგი შარახვეტია ჟურნალისტი ამას გაზეთის პირველ გვერდზე გამოიტანდა), არც ე. წ. აკადემიკოსს არაფერი აქვს ნათქვამი 1977 წელს მისივე ავტორობით გამოცემულ წიგნში „ქართული გვარ-სახელების საიდუმლოებანი".

გამოცანის საბოლოო პასუხი ერთმნიშვნელოვანია. ეს „აღმოჩენები" აშკარა პოლიტიკური კონიუქტურაა, რადგან ისინი გამოქვეყნდა ნოემბრის ხალხმრავალი საპროტესტო მანიფესტაციების წინა დღეებში. დაამხეთ, გააძევეთ „სომხურ-ებრაული მთავრობა!" – ასეთი იყო მათი პათოსის ქვეტექსტი.

სომხეთი უძველესი კულტურის და რელიგიის ქვეყანაა. სომხები ქართველებთან ერთად იმ 14 ერს შორისაა, ვისაც საკუთარი დამწერლობა აქვს. სომეხ მეზობლებთან ჩვენ ძირითადად ურთიერთგადაწნული ურთიერთობა გვქონდა. გაჭირვების ჟამს სომხებს ხელი გავუმართეთ, შევიფარეთ, ბევრი ცნობილი სომეხი საზოგადო, პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი, კომპოზიტორი, მოჭადრაკე, სპორტსმენი საქართველოში დაიბადა და ქართულ სინამდვილეში ჩამოყალიბდა.

„სომეხი" ზურაბ ჟვანიას დონის მოქართულე, მოაზროვნე და გაწონასწორებული პოლიტიკოსი იშვიათია. ბატონი ზურაბი დღეს ცოცხალი რომ იყოს, ჩვენი ხელისუფლება ნაკლებ შეცდომებს დაუშვებდა.

ქართველებსა და ებრაელებს შორის 26-საუკუნოვანი თანაცხოვრება უნიკალურია მსოფლიოს ცივილიზაციის ისტორიაში.

ან იქნებ ვინმეს დაგავიწყდათ უპრეცედენტო შემთხვევა, როცა რუსი სამხედროების აღვირახსნილობის ასალაგმავად განმუხურში ჩასულ ქართველ პრეზიდენტ სააკაშვილს უშიშრად ედგა გვერდით ებრაელი მინისტრი კეზერაშვილი.

ასეთი თავდადება მხოლოდ სულით ძლიერთა, ერთგულთა ხვედრია.

რა ბოლმითა და პოლიტიკური მეხსიერების მოშლით უნდა იყოს კაცი დაავადებული, ქართველს ებრაელის მინისტრობა რომ ეჩოთირებოდეს. რაოდენ ბუმბერაზი იყო ილია, როცა წერდა: „კაცია ადამიანი?!"

ქართულ-სომხური, ასევე როგორც ქართულ-ებრაული ურთიერთობანი რევიზიას არ ექვემდებარება.

არც ფრანგებს უთქვამთ უარი ქართველი ოფიცრის დიმიტრი ამილახვრისთვის, როცა ის ფრანგულ საქმეს აკეთებდა.

ბორჯომში ყოფნისას ბატონ ზურაბ ანჯაფარიძისაგან ხელში ჩამივარდა უცხოურიდან რუსულად თარგმნილი, ბესტსელერად ქცეული წიგნი „რა არ ვიცით ჩვენ გამოჩენილი ადამიანების შესახებ". აქედან მხოლოდ ორ ფაქტზე მსურს მკითხველის ყურადღების გამახვილება. რუსული ლიტერატურის ისეთი აღიარებული კორიფეები, როგორებიც იყვნენ პუშკინი და ლერმონტოვი, დუელში თავისმა ახლო მეგობრებმა დახოცეს მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი პირად ცხოვრებაში აუტანელი ადამიანები ყოფილან, მათ ანონიმური წერილებით გადაკიდეს ერთმანეთს ოჯახები, ბილწსიტყვაობდნენ.

რუსები მალავენ ლერმონტოვისა და პუშკინის არარუსულ წარმომავლობას, სერგეი ესენინის შიზოფრენიულ წარსულს. ჩვენ რა ზნე გვჭირს?

„დიდი კაცი თუ გამოგვერია, მას ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები", – გვმოძღვრავდა დიდი კონსტანტინე.

ბოლო პერიოდში დემოკრატიის, სიტყვის თავისუფლების მოტივით გამორჩეულ საზოგადო მოღვაწეთა ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი თავის გამოჩენის, შურისა და გაუტანლობის ნაყოფია, როცა „ყოველ ნაბიჭვარს აზნაურობა სწყურია, ყოველ ნაცარქექიას – სარდლობა!"

ეს მაშინ, როცა 150-მილიონიანი რუსები მეთოდურად მალავენ მხედართმთავარ ბაგრატიონის, კომპოზიტორ ბოროდინის ქართველობას, მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი მთავარი გმირის ქუკოვის, მოსკოვის ყოფილი მერის პოპოვის ბერძნობას, ჩაპაევის ჩუვაშობას! არც ნაპოლეონ ბონაპარტისთვის წამოუყვედრებიათ ფრანგებს კორსიკელი იტალიელობა. თავისი უნგრული წარმოშობის მიუხედავად, პრეზიდენტის სავარძელში სულ „თამაშ-თამაშით" ჩაჯდა საფრანგეთის ამჟამინდელი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი, რომელმაც „სუფთად" დაამარცხა სუფთა სისხლის ფრანგი მეტოქე.

ყველაზე ცნობილ რუს ხელმწიფეებს პრუსიული სისხლი ერიათ, მაგრამ ამაზე არავინ წერს.

ერთმა ქართველმა ოპოზიციონერმა ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს მათიას იორშს უნგრელი ებრაელობა წამოაყვედრა მხოლოდ იმისათვის, რომ ამ უკანასკნელმა მიხ. სააკაშვილის პრეზიდენტად არჩევას დაუჭირა მხარი. მერე რა?

თუ ჩვენ ევროპისკენ ავიღეთ გეზი, ევროპული ცხოვრების წესიც უნდა გავითვალისწინოთ.

...ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისა და მისი მრევლის ტოლერანტობა არსად, არავის, არასდროს დაუყენებია ეჭვქვეშ. ასეთი ტოლერანტობის ნიმუშია თბილისის ძველ უბანში ოთხი სხვადასხვა რელიგიური კონფესიის ტაძრებიც: მართლმადიდებლური და სომხურ-გრიგორიანული ეკლესიების, ებრაული სინაგოგის, მუსლიმანური მეჩეთის მრავალსაუკუნოვანი მშვიდობიანი თანაარსებობა; ასეთი ტოლერანტობის მსოფლიოში ანალოგი არაა აქვს.

ჩემთვის მთავარია, საქართველოს ყოველმა მოქალაქემ, მიუხედავად მისი ეთნიკური წარმომავლობისა და რელიგიური მრწამსისა, აკეთოს ქართველი საქმე.

...რაც შეეხება ჩემი გვარის გენეალოგიაში „მინარევების" ძიების სურვილს, ვაცხადებ: ტყუილად ნუ გაირჯება მავანი. მე მიყვარს ჩემი კოლხური წარმოშობის გვარი, რომელიც ცხოველთა მეფესთან ასოცირდება... ჩემს თინეიჯერ შვილიშვილებს მოსაკითხი დააქვთ თბილისის ზოოპარკის გისოსებში გამომწყვდეულ ლომებთან.

**ბორის ლომაია,**
ზუგდიდი, თემი ნარაზენი.

№ 47. ხუთშაბათი, 13 მარტი, 2008 წელი.

# უცხოური პრესა

● რუსეთი მზად არ არის, მხარი დაუჭიროს პოსტსაბჭოთა სივრცის სახელმწიფოთა დაშლის პროცესს თუნდაც იმიტომ, რომ თავად აწყდება რეგიონული სეპარატიზმის პრობლემას



## ◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რუსეთი ნატოს გაფართოებაზე პასუხს ამზადებს

**რუსეთის მიერ აფხაზეთის მიმართ სავაჭრო-ეკონომიკური, ფინანსური და სატრანსპორტო სანქციების გაუქმება ევროპაში ისეთივე სენსაციად აღიქვეს, როგორც კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება. ერთადერთი განსხვავება ის არის, რომ ამ შემთხვევაში შემოქმედი ბრიუსელი კი არა, მოსკოვი იყო.**

და ახლა, 13 მარტისათვის სახელმწიფო სათათბიროში აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული სიტუაციის განხილვის მოლოდინში, კომენტატორები და პოლიტიკოსები მარჩიელობენ, გაბედავს თუ არა მოსკოვი შემდეგი ნაბიჯის გადადგმას. ჯერჯერობით ყველა საფუძველი არსებობს ვარაუდისთვის, რომ საქმე შემოიფარგლება ნატოში საქართველოს შესვლის განზრახვის გამო ვაჭრობით. მაგრამ ვინაიდან ამის თაობაზე გადაწყვეტილებას ბუქარესტის აპრილის სამიტზე მიიღებენ, რუსეთისთვის, როგორც ზოგიერთ ექსპერტს მიაჩნია, აზრი არ აქვს მოვლენების ფორსირებას. ევროპასა და საქართველოში ისედაც დიდად შეშფოთებული არიან აფხაზეთის ტერიტორიის „ანექსიის“ შესაძლებლობასთან დაკავშირებით. და ეს შეშფოთება უკავშირდება არა მარტო იმას, რომ მოსკოვის მსგავსი მოქმედება კავკასიაში გეოპოლიტიკურ ბალანსს ცვლის.

საქართველოში ბევრად უფრო მეტად აფიქრებთ ტერიტორიული სტატუსის ორაზროვნების გამო ალიანსთან შეერთების პროცესის ბლოკირება. ამ პრობლემის „სწრაფად და უმტკივნეულოდ“ გადაჭრის პირობა სააკაშვილმა ჯერ კიდევ 2004 წელს დადო, რასაც მას რეგულარულად ახსენებს ქართული ოპოზიცია. საქართველოს პრეზიდენტის დასავლელი მოკავშირენიც იმედგაცრუებული არიან: აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემათა გადაუჭრელობა კავკასიიდან რუსეთის გაძევების მთელ გეგმას ფუშავს.

თავიდან ეს სტრატეგია შეიცავდა ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების ზონებში რუსეთის სამშვიდობოების ნატოს კონტინგენტით შეცვლას, რათა „მეგობრულად განწყობილი“ მშვიდობისმყოფელების დახმარებით საქართველოს შემადგენლობაში დაებრუნებინათ მეამბოხე რესპუბლიკები. პარალელურად ძალისმიერი ვარიანტებიც მუშავდებოდა, ნაწილობრივ აჭარის მოთვინიერების სცენარის მსგავსი. ამას მკაცრი ანტირუსული რიტორიკა მოჰყვა, რომელიც განმტკიცდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის კონტაქტებით ჩეჩენ ბოევიკებთან, და შეიარაღებული პროვოკაციები ცხინვალის მისადგომებთან, კოდორის ხეობაში და აფხაზეთის გალის რაიონში. და მთელი ამ ხნის განმავლობაში მიხეილ სააკაშვილი აცხადებდა, რომ მისი საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული პრიორიტეტია ნატოსთან საქართველოს შეერთება. კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და ბუქარესტში ნატოს აპრილის სამიტისათვის მზადების ფონზე კავკასიაში სიტუაცია კვლავ გამწვავდა. საქართველომ ოფიციალურად განაცხადა, რომ წყვეტს მუშაობას ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების შერეული საკონტროლო კომისიის ფორმატში. როგორც რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა თემურ იაკობაშვილმა განმარტა, თბილისი აპირებს „შერეული საკონტროლო კომისია შეცვალოს ფორმულით 2 პლუს 2 პლუს 2: საქართველოს მთავრობა და სანაკოევის მთავრობა პლუს რუსეთი და კოკოითის მთავრობა პლუს ეუთო და ევროკავშირი“.

მოლაპარაკების პროცესის ფორმატის შეცვლის განზრახვამ, რასაც ამძაფრებს ნატოში შესვლის შესახებ ლაპარაკი, შეშფოთება გამოიწვია არა მხოლოდ სოხუმსა და ცხინვალში, არამედ მოსკოვშიც, რომელიც ისედაც გაღიზიანებულია რუსეთის საზღვრებთან ნატოს კიდევ უფრო მოახლოების პერსპექტივით. როგორც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გაჟონა, რუსეთი ცდილობდა ამ პროცესის შეჩერებას, რისთვისაც მოლაპარაკებას აწარმოებდა ალიანსთან. ვაჭრობის საგანი იყო მოსკოვის თანხმობა რუსეთის ტერიტორიის თავზე რეგულარული საჰაერო ტრანზიტი გაეხსნა ავღანეთში ნატოს „სამოქალაქო ტვირთისათვის“ ალიანსში უკრაინისა და საქართველოს მიღების პროცესის გაყინვის სანაცვლოდ. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს სცენარი ვერ შედგა. ყოველ შემთხვევაში, შერეული საკონტროლო კომისიის მიმართ საქართველოს დემარშიდან ერთი კვირის შემდეგ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის პარლამენტებმა მიმართეს გაეროს გენერალურ მდივანს, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს, ევროკავშირის სახელმწიფოებისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი-ქვეყნების მეთაურებს თხოვნით ცნონ თვითაღიარებული რესპუბლიკების დამოუკიდებლობა. 6 თებერვალს კი, ანუ უკვე მეორე დღეს, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ რუსეთი აუქმებს 1996 წელს აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის მიმართ შემოღებულ სავაჭრო-ეკონომიკურ, ფინანსურ და სატრანსპორტო სანქციებს და თანამეგობრობის სხვა ქვეყნებსაც მოუწოდა მიბაძონ მის მაგალითს. ბევრმა კომენტატორმა ეს ნაბიჯი კოსოვოს აღიარებაზე „ასიმეტრიულ პასუხად“ მიიჩნია, მაგრამ, ვაშინგტონის, ბრიუსელისა და ევროპის სხვა დედაქალაქების რეაქციით თუ ვიმსჯელებთ, ამ გადაწყვეტილების მიღებაზე უფრო მეტად იმოქმედა ნატოს გაფართოების შესახებ მოლაპარაკებამ და სოჭის 2014 წლის ოლიმპიადისათვის მზადებასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა. ორი ეს სიუჟეტი ობიექტურად კონფლიქტში შედის ერთმანეთთან მიწის პატარა გოჯზე, რომელიც სოჭს აფხაზეთის საზღვრისგან აშორებს და რომელიც ნებისმიერ მომენტში შეიძლება ახალ შეიარაღებულ კონფლიქტში იქნეს ჩათრეული. რუსეთს კი არც შეიარაღებული კონფლიქტები და არც მისი საზღვრების მახლობლად ნატოს ბაზები არ სჭირდება, და, როგორც ჩანს, საკითხის ამგვარი დაყენება გაგებას პოულობს ევროპის ზოგიერთ დედაქალაქში და ნატოს ხელმძღვანელობის იმ ნაწილშიც კი, რომელიც დაინტერესებულია, რომ ყველაფერი „მშვიდად და უსკანდალოდ“ წარიმართოს. როგორც ამ დღეებში ნატოს გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰოოპ სხეფერმა აღნიშნა, ალიანსი ჯერჯერობით მზად არ არის უკრაინისა და საქართველოს მიღების პოტენციური შესაძლებლობის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. ანალოგიური განცხადებები გაისმა პარიზსა და ბერლინში, ხოლო გასულ შაბათ-კვირას მოსკოვში ვიზიტად ჩამოსულმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ანგელა მერკელმა აღნიშნა, რომ ალიანსთან მიერთების სავალდებულო პირობაა მოსახლეობის თანხმობა და ქვეყნის ტერიტორიაზე რეგიონული კონფლიქტების არარსებობა. ვაშინგტონს სხვა პოზიცია უკავია, იმეორებს რა, რომ „ნატოს კარი ღიაა ყველა ევროპული დემოკრატიისთვის“, და ხაზს უსვამს მზადყოფნას, „დაეხმაროს უკრაინასა და საქართველოს მათ მისწრაფებაში შეუერთდნენ ალიანსს“.

მაგრამ დასავლეთში კარგად ახსოვთ, რომ ერთადერთი, რის მიღწევასაც ვლადიმერ პუტინი ცდილობდა შეერთებულ შტატებთან და ევროპასთან ურთიერთობისას ჯერ კიდევ პრეზიდენტობის პირველი ვადის დროს, ეს იყო პოსტსაბჭოთა სივრცეზე რუსეთის გავლენის შენარჩუნების გარანტიები. ზუსტად ორი წლის შემდეგ, რაც რუსეთმა მხარი დაუჭირა ავღანეთში შეერთებული შტატების ანტიტერორისტულ ოპერაციას და ხმამაღლა განაცხადა „დასავლეთისკენ შემობრუნების“ შესახებ, მან საგრძნობი დარტყმების სერია მიიღო, რამაც ცხადყო მისი იმედების ამაოება, თუ არ ვიტყვით, მცდარი გამოდგა მისი შერჩეული სტრატეგია. 2003 წლის ნოემბერში მოსკოვისთვის დამამცირებელი ფორმით ჩაიშალა დნესტრისპირეთის პრობლემის მოწესრიგების შესახებ ხელშეკრულების დადება. ამას მოჰყვა „ვარდების რევოლუცია“ საქართველოში, კიდევ ერთი წლის შემდეგ „ნარინჯისფერი“ გადატრიალება უკრაინაში. ორ თვეში — ყირგიზეთის ამბები, შემდეგ პროვოკაცია ანდიჟანში, რასაც ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტების ზონებში ინციდენტების სერია მოჰყვა, რომელთა ფონზეც დაიწყო თამაში იმ მიზნით, რომ რუსეთი გამოერიცხონ ევროპისა და შუა აზიის დამაკავშირებელი ენერგეტიკული ნაკადიდან.

მთელი ამ ხნის განმავლობაში რუსეთი ამტკიცებდა, რომ აღიარებს საქართველოსა და მოლდოვის ტერიტორიულ მთლიანობას, რუსეთი მზად არ არის, მხარი დაუჭიროს პოსტსაბჭოთა სივრცის სახელმწიფოთა დაშლის პროცესს თუნდაც იმიტომ, რომ თავად აწყდება რეგიონული სეპარატიზმის პრობლემას. ამ მტკივნეული თემით რეგულარულად სპეკულირებენ ვაშინგტონსა და თბილისში, აცხადებენ რა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას თუ ცნობს, მოსკოვი ჩრდილოეთ კავკასიის, ვოლგისპირეთისა და ციმბირის ეროვნულ რესპუბლიკებში ახალ „სუვერენიტეტების პარადის“ პროვოცირებას მოახდენს. ამ კონტექსტით იმ ღონისძიებათა კომპლექსი, რომლითაც საქართველო მზადაა, მოსკოვს უპასუხოს აფხაზეთის მიმართ ეკონომიკური სანქციების გაუქმებაზე, ორმაგი ხაფანგი შეიძლება აღმოჩნდეს. პირველი სიუჟეტი უკავშირდება საკმაოდ აბსურდულ ცდას, სტრასბურგის სასამართლოს მეშვეობით აინაზღაუროს დანაკარგები საქართველომ, რომელიც მას აფხაზეთში მიადგა. მეორე — თბილისის განზრახვა, მიაღწიოს „ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში მონაწილე მხარედ“ რუსეთის ოფიციალურ აღიარებას. ასეთი განვითარების შემთხვევაში, რუსეთი ვერ შეძლებს გაეროს უშიშროების საბჭოში მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში რუსეთის სამშვიდობოების კონფლიქტის ზონიდან გაყვანის საკითხთან დაკავშირებით.

მოსკოვის იმ ჩვევის გათვალისწინებით, რომ მუდმივად აპელირებს გაეროთი, ასეთ კენჭისყრამდე საქმის მიყვანა ყოვლად დაუშვებელია, თუმცა უკან დასახევი გზაც არ არის: უკან სოჭია თავისი ოლიმპიადით. და საერთოდ, რუსეთი ველარ წავა შემდგომ დათმობებზე. იგი ასე ვერ „დათმობს“ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, ვინაიდან ეს ისედაც მცირერიცხოვან მოკავშირეთა თვალში მის დისკრედიტაციას გამოიწვევს. ამიტომ მოსკოვი ჯიუტად ვაჭრობს, და ამ ვაჭრობაში ჩართულია აზიაში შეერთებული შტატების ინტერესებიც, საქართველოსთან პირისპირ შეჯახების საფრთხეც, ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოებაც, ლათინურ ამერიკაში შექმნილი სიტუაციაც, ლეგალურ და არალეგალურ შეიარაღების ბაზრებზე ინტერესების შეჯახებაც. და თუ ამანაც არ გაჭრა, საჭირო გახდება დღის წესრიგის ფორმატის შეცვლა, რომელიც ერის თვითგამორკვევის უფლებას ეხება. როგორც ზოგიერთი ექსპერტი აღნიშნავს, ეს საკითხები უკვე დიდი ხანია უკავშირდება „ეროვნული და სამოქალაქო იდენტურობის“ ირაციონალურ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც მოქმედი საერთაშორისო სამართლის სისტემის ფარგლებში შეუძლებელია. ამიტომაც ეს საკითხები ან სისტემის იურისდიქციიდან უნდა გავიდეს, ან ამ სისტემის დემონტაჟი უნდა მოხდეს და იგი ახლით შეიცვალოს.

მაგრამ სანამ ეს მოხდება, რუსეთს თავისი ტერიტორიული მთლიანობის დაცვა მოუწევს. აფხაზეთის სიუჟეტთან დაკავშირებით ეს იმას ნიშნავს, რომ მოსკოვში — აფხაზეთის ირგვლივ სიტუაციის გამწვავების შემთხვევაში — უნდა განიხილონ არა მისი სუვერენიტეტის აღიარების, არამედ ამ რესპუბლიკის რუსეთთან შეერთების საკითხი, რადგან აფხაზეთის მოსახლეობის 90 პროცენტი რუსეთის მოქალაქეა.

ნატალია სეროვა

Утро.ru

# უცხოური პრესა

● მოსკოვი ამ კონფლიქტში შეიძლება დაინტერესებულ მხარედ აღიარონ, რაც რუსეთს ჩამოართმევს გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე კენჭისყრაში მონაწილეობის უფლებას. ევროკავშირმა უკვე აღუთქვა თბილისს მხარდაჭერა



◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## ნატო საქართველოს საჰაერო საზღვრის გაკონტროლებაში დაეხმარება

**საქართველო შეუერთდა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს საჰაერო სივრცის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გაცვლას.**

შესაბამისი ინფორმაცია სამშაბათს მიიღეს საქართველოს საგარეო პოლიტიკურმა და თავდაცვითმა უწყებებმა ნატოს ბრიუსელის შტაბ-ბინიდან. თბილისში იმედი აქვთ, რომ ამ პროგრამის დახმარებით შემდგომში აღარ მოხდება ქვეყნის საჰაერო საზღვრის დარღვევა, და კიდევ ერთხელ აღნიშნავენ, რომ ასეთი თანამშრომლობა არ ეწინააღმდეგება სხვა ქვეყნების, მათ შორის რუსეთის ინტერესებს.

საქართველოს საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელობა ნატოს ბუქარესტის სამიტის წინ მომხდარ ამ მოვლენას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. საგარეო საქმეთა მინისტრის დავით ბაქრაძის თქმით, „დამთავრდა ის დრო, როცა საქართველოს ტერიტორიაზე მეზობელი ქვეყნებიდან „ამოუცნობი მფრინავი ობიექტები“ ჩნდებოდა და თბილისს არ ჰქონდა ამის დამტკიცების შესაძლებლობა. ახლა დარღვევის ნებისმიერ ფაქტს დააფიქსირებს ეს სისტემა“.

თავდაცვითი უწყების ხელმძღვანელების წარმომადგენლები იხსენებენ გასული წლის აგვისტოს ინციდენტს, როცა აღმოსავლეთ საქართველოს სოფელ წითელ უბანში რაკეტა ჩამოვარდა, რომელიც, საბედნიეროდ, არ აფეთქდა. საქართველოს მხარის მტკიცებით, საბრძოლო თვითმფრინავი, რომელმაც ჭურვი ჩამოაგდო, რუსეთის სამხედრო საჰაერო ძალებს ეკუთვნოდა. თავდაცვის მინისტრის მოადგილე ბათუ ქუთელია ამტკიცებს, რომ ამიერიდან ყველაფერს, რაც საქართველოს ცაში მოხდება, ავტონომიური რეჟიმით დაინახავს ნატოს სამხედრო ხელმძღვანელობა და ალიანსის 26-ვე წევრი ქვეყანა.

ამავე დროს საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძემ კვლავ ხაზი გაუსვა, რომ ამგვარი თანამშრომლობა სხვა ქვეყნების ინტერესებს არ ეწინააღმდეგება. „ჩვენ სერიოზულად მოვემზადეთ, შევიძინეთ ძალიან მაღალხარისხოვანი თანამედროვე მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს საჰაერო სივრცის მონიტორინგსა და დაცვას. ამიტომ საქმე ეხება მხოლოდ საჰაერო სივრცის კონტროლსა და დაცვას, და არა ვინმეს წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებას“, – თქვა სახელმწიფო მინისტრმა.

ამ სისტემაში ინტეგრაციის შესახებ შეთანხმება ნატოს ხელმძღვანელობამ საქართველოსთან ჯერ კიდევ 2003 წელს დადო. მოცემულ ეტაპზე საქმე ეხება აგრეთვე ამ პროგრამასთან ალბანეთის, მაკედონიისა და ფინეთის მიერთებას.

ნატოში რუსეთის ელჩმა დიმიტრი როგოზინმა სამშაბათს როიტერის სააგენტოს განუცხადა, რომ მოსკოვი იტოვებს უფლებას, აღიაროს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, თუ ნატოში შესვლის საკითხი დადებითად გადაწყდება. როგოზინის თქმით, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს არ სურთ ალიანსთან შეერთება და სრულიად საწინააღმდეგო ნებას გამოხატავენ. ქართველმა ხალხმა, მისი აზრით, „ისტორიული შეცდომა“ დაუშვა, როცა მხარი დაუჭირა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ შეთავაზებულ რეფერენდუმზე ნატოში საქართველოს შესვლას. ეს, როგოზინის აზრით, ხელს შეუწყობს საქართველოს შემადგენლობიდან ამ ტერიტორიების საბოლოო გასვლას.

იგივეს აცხადებენ სხვა მოსკოველი პოლიტიკოსებიც. სახელმწიფო სათათბიროს საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ანდრეი კლიმოვმა მოსკოვში ქართული ტელეარხებისთვის მიცემულ ინტერვიუში თქვა, რომ „ნატოში საქართველოს შესვლა რუსეთის პოლიტიკურ ელიტას მოუხსნის უკანასკნელ შემაკავებელ გარემოებებს“.

ამასობაში, ქართულმა გაზეთმა „24 საათმა“ სამშაბათს გამოაქვეყნა სტატია 13 წლის ქართველი გოგონას შესახებ, რომელმაც ამ დღეებში გერმანიის კანცლერთან ანგელა მერკელთან პირადი შეხვედრისას მოულოდნელად დაარღვია პროტოკოლი და სთხოვა ნატოს ბუქარესტის სამიტზე მხარი დაუჭიროს საქართველოს ალიანსში შესვლის საკითხში.

ანგელა მერკელი ხვდებოდა საბავშვო სერიალის „აინშტაინის სასახლის“ მსახიობებს, რომელშიც ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს ქართველი მოსწავლე ნინო წიკლაური. თხოვნის პასუხად კანცლერს გაუკვირდა: „შეხედეთ, რამდენი იცის ამ გოგონამ! ვფიქრობ, პრეზიდენტ ბუშს ძალიან გაახარებდით“.

**ქეთი ბოჭორიშვილი**

BBC RUSSIAN.com

№ 47. ხუთშაბათი, 13 მარტი, 2008 წელი.

## საქართველო შურს იძიებს

**საქართველოში განიხილავენ იმ ღონისძიებათა მთელ კომპლექსს, რომლებითაც რესპუბლიკა აპირებს, უპასუხოს თანამეგობრობის გადაწყვეტილებით აფხაზეთის მიმართ შემოღებული სანქციების გაუქმებას რუსეთის მიერ.**

მაგალითად, თბილისს მიაჩნია, რომ მოსკოვი ახლა ვალდებულია, აანაზღაუროს ქართულ-აფხაზური ომით გამოწვეული მთელი ზარალი, ეს კი მრავალი მილიარდი დოლარია. უფრო მეტიც, მოსკოვი ამ კონფლიქტში შეიძლება დაინტერესებულ მხარედ აღიარონ, რაც რუსეთს ჩამოართმევს გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე კენჭისყრაში მონაწილეობის უფლებას. ევროკავშირმა უკვე აღუთქვა თბილისს მხარდაჭერა.

სამშაბათს საქართველოს კანონმდებლები შეუდგნენ „აფხაზეთის მიმართ რუსეთის შეზღუდვების ცალმხრივი წესით მოხსნის შესახებ“ განცხადების პროექტის განხილვას. ოპოზიცია სესიას ბოიკოტს უცხადებს. მისი სახელით დეპუტატმა ბეჟან გუნავამ განაცხადა: „აფხაზეთს თქვენ ვერ დაიბრუნებთ. ამის დასტურია ხელისუფლების სათავეში თქვენი ყოფნის ოთხი წელი, რომლის განმავლობაშიც პრობლემა ვერ გადაჭერით“.

რესპუბლიკელ დეპუტატს დავით ბერძენიშვილს მიაჩნია, რომ ოპოზიციამ შეიძლება ხელი მოაწეროს ნატოს ბუქარესტის სამიტისადმი ერთობლივ მიმართვას, რომ საქართველოს გაუხსნან ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან შეერთების გეგმა.

პარლამენტარები აპირებდნენ ოპერატიულად მიეღოთ „ანტირუსული“ განცხადება, მაგრამ გადაწყვიტეს, დაელოდონ 13 მარტს სახელმწიფო სათათბიროში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული სიტუაციის განხილვას. ამრიგად, განცხადება შეიძლება დადგენილებად იქცეს. როგორც ჩანს, მას პარასკევს დაამტკიცებენ. პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს იმედი აქვს, რომ რუსეთის მთავრობას ეყოფა „პოლიტიკური გამჭრიახობა“ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. და მოსკოვი „დაუფიქრდება, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ასეთი მიმართვების მხარდაჭერას“.

საქართველოს ხელმძღვანელობის წარმომადგენლები სანქციების გაუქმებასთან დაკავშირებით რუსეთის გადაწყვეტილებას „კონვულსიურს“ უწოდებენ. საგარეო ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარემ კონსტანტინე გაბაშვილმა აღნიშნა, რომ ოპოზიციის მოთხოვნის მიუხედავად, დოკუმენტში არ იქნება შეტანილი პუნქტი თანამეგობრობიდან გამოსვლის შესახებ: „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა ისედაც მომაკვდავი ორგანიზაციაა და ამიტომ საქართველოს მხრიდან მკვეთრი მოძრაობა საჭირო არ არის“.

პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომისიის თავმჯდომარემ შოთა მალაშხიამ განმარტა, თუ როდის აჯობებს თანამეგობრობიდან გამოსვლის საკითხის დაყენება. მისი თქმით, საქართველო „მეთოდურად მიდის იქით, რომ რუსეთი აფხაზეთის კონფლიქტში მხარედ იქნეს აღიარებული“. ეს ნიშნავს, განაცხადა დეპუტატმა, რომ „გაეროს უშიშროების საბჭოში კონფლიქტის ზონიდან რუსეთის სამშვიდობოების გაყვანის საკითხზე კენჭისყრის შემთხვევაში რუსეთი მასში მონაწილეობას ვერ მიიღებს“. „როცა სამშვიდობოების საკითხი ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდება და რუსეთი კონფლიქტის მხარედ დაფიქსირდება, მაშინ უნდა გამოვიდეთ თანამეგობრობიდან“, – დაასკვნა მალაშხიამ.

გარდა ამისა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ცნობებით, თბილისი რუსეთის წინააღმდეგ არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ეკონომიკურ ფრონტსაც ხსნის. ზაფხულში საქართველო აპირებს რუსეთის წინააღმდეგ სტრასბურგის სასამართლოში სარჩელი შეიტანოს და აფხაზეთში დანაკარგების კომპენსაცია მოითხოვოს. როგორც შოთა მალაშხია აცხადებს, „საქმე ეხება დაახლოებით 20 მილიარდ დოლარს“. „აქედან 5 ეს არის დევნილთა დაკარგული კერძო საკუთრების კომპენსაცია, დანარჩენი კი სახელმწიფოს დანაკარგები“.

შეგახსენებთ, რომ 1992-93 წლების ქართულ-აფხაზური ომის დასრულების შემდეგ ზარალი 11 მილიარდად შეფასდა. როგორც ჩანს, თანხის მატება ხდება აფხაზეთში რუსეთის ბანკებისა და კომპანიების მოქმედების გამო. თბილისი მათ უკანონოდ მიიჩნევს: ისინი საქართველოსთან არ შეუთანხმებიათ.

რესპუბლიკა შეშფოთებულია და ეს აშკარად იგრძნობა: რამდენად შორს შეუძლია მოსკოვს წასვლა თვითაღიარებულ რესპუბლიკებთან მიმართებაში, რეაგირებს რა დასავლეთის ქვეყნების მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებაზე. მოსკოვის მოქმედების გათვალისწინებით პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და მისი მთავრობის მდგომარეობა კიდევ უფრო სუსტდება, განსაკუთრებით მაისის საპარლამენტო არჩევნების წინ.

თბილისის შეშფოთებას ევროკავშირიც იზიარებს. სლოვენიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეთაურმა (ეს ქვეყანა ახლა ევროკავშირის თავმჯდომარეა)დმიტრი რუპელმა განაცხადა, რომ საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში სიტუაციის კოსოვოსთან ნებისმიერი შედარება დაუშვებელია, ვინაიდან „კოსოვოს პრობლემა უნიკალურია“. ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო პოლიტიკის საკითხებში ჰავიერ სოლანამ განაცხადა, რომ ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს. სოლანამ დააზუსტა, რომ უნდა გაგრძელდეს საქართველოს ევროკავშირთან დაახლოება ევროპის თანამეზობლობის პოლიტიკის ფარგლებში მოქმედების ერთობლივი გეგმის დახმარებით.

„ევროპელებს, რომლებიც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას უჭერენ მხარს, შეუძლიათ მისი მოქალაქეებისათვის ევროკავშირში უვიზო შესვლის შემოღება გამოაცხადონ, აგრეთვე საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების დადება“, – ნათქვამია ბელგიის ტელეარხის კომენტარში. ამავე დროს ტელეარხი აღნიშნავს, რომ „ევროპის მთელმა რიგმა ქვეყნებმა გაილაშქრეს საქართველოს ნატოში შესვლის წინააღმდეგ, რათა რუსეთის ცეცხლზე ნავთი არ დაასხან“. ამ ქვეყნებს შორის არიან ძველი ევროპის წარმომადგენლები. ნატოსთან საქართველოს დაახლოების სანაცვლოდ რუსეთთან უსიამოვნება არ სურთ, მაგალითად საფრანგეთსა და გერმანიას.

**დიმიტრი ალექსანდროვი**

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

### საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის განკარგულება №179

2008 წლის 11 მარტი ქ. თბილისი

**„სს „სტანდარტბანკში“ დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის №414 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

1. „სს „სტანდარტბანკში“ დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის №414 განკარგულების პირველ პუნქტში შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სს „სტანდარტბანკში“ დაინიშნოს დროებითი ადმინისტრაცია 2007 წლის 24 ნოემბრიდან 2008 წლის 13 მარტის ჩათვლით“.

2. საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობის დეპარტამენტის ბანკების ინსპექტირების განყოფილების მთავარი სპეციალისტი ირაკლი ზარქუა გათავისუფლდეს დროებითი ადმინისტრატორის მოვალეობის შესრულებისაგან

3. საქართველოს ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა (გ. კალანდაძე) უზრუნველყოს აღნიშნული განკარგულების ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნება.

4. განკარგულება ამოქმედდეს მისი ხელმოწერის დღიდან.

5. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (სარაჯიშვილის ქ. №1ა).

პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი **დავით ამაღლობელი.**

# რეალობა

**სირცხვილი ჭამა მთელ დუნიაზე სახელგანთქმულმა, დემოკრატიის „შუქურა“ ქვეყნის პრეზიდენტმა. სირცხვილი ჭამა მოსახლეობის გადამზადებისა და დასაქმების პროგრამამაც (თანაც ეს უკვე მეორედ), რაშიც ათეულობით მილიონი ლარი ჩაიყარა, უფრო სწორად, გადაიყარა**



**ხმა მომეცი!**

# ფულს მოგცემ, მუქთად კი არ მინდა, შე კაცო!

**იმ უამრავი პროგრამიდან, რაც პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა შეთხზა წინასაარჩევნო პერიოდში, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია ხალხის დასაქმების მიზნით მათი მოკლევადიანი გადამზადება და ყოველთვიურად 200-ლარიანი სტიპენდიით (სულ 600 ლარი) უზრუნველყოფა. როგორც მაშინ ითქვა, ამისთვის ბიუჯეტიდან 47 მილიონი ლარი გამოიყო და ვისაც რიგში ჩადგომა არ დაეზარა, ყოველ დაუსაქმებელს სტიპენდია უკვე ორჯერ დაურიგდა. თუმცა აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებმაც თანხა იცოტავეს ან უბრალოდ იუკადრისეს იმის აღება, რაც არ ეკუთვნოდათ და მიუსვლელობა ამჯობინეს.**

ასე იყო თუ ისე, აღმოჩნდა, რომ იმ 100 ათასზე მეტი ადამიანიდან, ვისაც სტიპენდია ეკუთვნოდა, 3 ათასი კაცი არ მივიდა. ეს გამოაცხადა ამას წინათ ტელევიზიით ვიღაც სახელმწიფო მოხელემ და ზედვე დაამატა, არ იფიქროთ, რომ თანხა დაგეკარგათ, დამატებით ერთი თვის ვადას კიდევ გაძლევთ, მიბრძანდით და კუთვნილი ფული მიიღეთო.

კუთვნილიო, დიახ ზუსტად ასე თქვა. მე კი რატომღაც ჩავთვალე, რომ ვიღაცა დანამუსდა, ვიღაცამ იფიქრა, რომ გადამზადება არ გაუვლია, უბრალოდ მინიშნებულ საწარმოში ფეხიც არ შეუდგამს და, მართალია, უჭირს და ჯიბეც ცარიელი აქვს, მაგრამ ეს სულაც არ აძლევს უფლებას, იმ ბიუჯეტიდან, რომელიც ყველას ეკუთვნის, თავად 600 ლარი აიღოს დაუმსახურებლად, სხვას კი, მასზე უფრო გაჭირვებულს, კაპიკიც არ შეხვდეს. და რაც ყველაზე ამაზრზენი, დამამცირებელი და სამარცხვინოა, მან იცის, სახელმწიფო ამ ფულს რატომაც აძლევს!?

წინ პრეზიდენტის არჩევნებია!

მიხეილ სააკაშვილმა ხალხში რეიტინგი დაკარგა და თუ არ „იყოჩაღა“, არჩევნებში დამარცხდება, რადგან ხმების უმრავლესობას ვერ მიიღებს. ხმები კი ხალხს ეკუთვნის და თუ ისინი აქედანვე არ მოთაფლა (უხეშად რომ ვთქვათ, თუ არ მოისყიდა), იმ ტახტს, რომელიც ასე უყვარს, ერთ მშვენიერ დღეს დაკარგავს. ჰოდა, რაღას იზამდა, დატრიალდა ჩვენი მიშა და იძულებული გახდა იმ ხალხისთვის, ვინც ერთ დროს ასე აღმერთებდა, ახლა ხმების მისაღებად „საჩუქრები“ ჩამოერიგებინა: უმუშევრებისთვის — 600-ლარიანი სტიპენდიები, მოხუცთათვის — გაზრდილი პენსიები, პედაგოგებისთვის — სახელფასო წანამატები, გლეხებისთვის — ფქვილისა და შეშის ვაუჩერები და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

შედეგი? ხალხმა „საჩუქრები“ კი აიღო (რა ექნა, უჭირდა და აიღო ძ, მაგრამ, როგორც ჩანს, ხმა არ მისცა და მიხეილ სააკაშვილი იძულებული გახდა, მათთვის ხმები მოეპარა, რაც ხმამაღლა ჩამოაძახეს კიდეც შუა ევროპაში გამართულ ერთ-ერთ თავყრილობაზე, ასე იქცა „ვარდების რევოლუციითა“ და დაფაზურნით მოსული ჩვენი პრეზიდენტი არალეგიტიმურ და ბალაფშისა და კოკოითისდარ „დე ფაქტო“ პრეზიდენტად.

ერთი სიტყვით, სირცხვილი ჭამა მთელ დუნიაზე სახელგანთქმულმა, დემოკრატიის „შუქურა“ ქვეყნის პრეზიდენტმა. სირცხვილი ჭამა მოსახლეობის გადამზადებისა და დასაქმების პროგრამამაც (თანაც ეს უკვე მეორედძ, რაშიც ათეულობით მილიონი ლარი ჩაიყარა, უფრო სწორად, გადაიყარა. გადაიყარა-თქო იმიტომ ვამბობ, რომ 47 მილიონი ლარით მართლაც შეიძლებოდა დიდი თუ არა, რამდენიმე მცირე საწარმოს გახსნა, სადაც ხალხი რეალურად დასაქმდებოდა და არა მოსაჩვენებლად, გაყალბებულ არჩევნებში გაყალბებული ხმების მისაღებად.

ახლა კი რა გამოვიდა?

ამ დღეებში ნაცნობი ცოლ-ქმარი შემხვდა. მისალმების შემდეგ ოჯახისა და შვილების ამბავი ვკითხე.

— აბა, როგორ ვიქნებითო, — შემომჩივლეს, — ლამის სიბერე წამოგვეწიოს, სამუშაო კი ვერ გვიშოვიაო.

— გადასამზადებლად რომ დადიოდით, არაფერი გამოვიდა? — დავინტერესდი.

— აბა, რა გამოვიდა, სულ ორჯერ მივედით საწარმოში, ორჯერვე ფულის მისაღებად.

— როგორ, კაცო, არაფერი გასწავლეს?

— იი, მაგისთვის ვისა სცალია. კიდევ კარგი, ნაცნობი დირექტორი შემხვდა, ფულსაც მისი წყალობით ვიღებთ.

— კარგია, 600-600 ლარი შეგვხდებათ და ცოტა ხელს მოინაცვლებთ.

— ეს კი, მაგრამ უმუშევრები ვიყავით, იგივე ვრჩებით. ვის სჭირდება ასეთი თვალთმაქცობა? ძალიან გვიჭირს, თორემ ამ სამათხოვრო თანხაზე ნამდვილად უარს ვიტყოდით, — თქვეს აბუზულებმა და ულიმღამოდ დამემშვიდობნენ.

რა მექნა, აღარ ვიცოდი, პრეზიდენტისა და მთავრობის ნაცვლად თავი უხერხულად მე ვიგრძენი. ეს გრძნობა უფრო გამიძაფრდა, როცა ხელისუფლების უგუნურ ეკონომიკურ პოლიტიკას ჩავუკვირდი. თუმცა რა დიდი დაკვირვება უნდა იმას, რაც ქვეყნის ეკონომიკის დაქცევა ჰქვია. ამ დაქცევის მიზეზები მშვენივრად აქვთ გაანალიზებული პროფესორ მერაბ ჯიბლაძეს სტატიაში „ანტიეროვნული ეკონომიკა“, რომელიც „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა (6 მარტი, 2008 წ.ძ.

ამერიკისგან მართულმა საქართველოს ხელისუფლებამ თავის დროზე ვითომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო საფინანსო ორგანოების რეკომენდაციებით დაიწყო ქვეყნის ეკონომიკის მშენებლობა, მაგრამ სინამდვილეში აშენების ნაცვლად დაანგრია. ახალი ვერაფერი შევქმენით და რაც გვქონდა, ისიც გავანადგურეთ. უგუნური პოლიტიკის წყალობით რუსეთის ბაზარი დავკარგეთ, საკუთარი კი მეზობელი თურქეთის უხარისხო პროდუქციით გავავსეთ. ადგილობრივი, მრავალსაუკუნოვანი ტრადიციული წარმოება მოვსპეთ და ასპარეზი მთლიანად იმპორტულ პროდუქციას დავუთმეთ. ქვეყნის ეკონომიკა ვაჭრუკანების ეკონომიკად ვაქციეთ, ხოლო პირველ ვაჭრუკანებად თავად ხელისუფლების წარმომადგენლები მოგვევლინენ, რომლებიც იმპორტიორებთან „თანამშრომლობით“ და საქართველოს სიმდიდრეების გაყიდვით „დიდ მაყუთს ღუნავენ“, ხალხს კი სილატაკისთვის სწირავენ.

ხალხი მათ მხოლოდ არჩევნების მოახლოების წინ ახსენდებათ და მაშინაც მხოლოდ იმიტომ, რომ არჩევნებში ხმების მოგროვება და გამარჯვება სჭირდებათ. იციან, ამ დროს როგორ მოიქცნენ — ვინ ცრუპენტელა დაპირებებითა და ლოზუნგებით მიიტყუონ ხმის მისაცემად, ვინ — სტიპენდიებით, ვაუჩერებითა და სხვა საჩუქრებით.

ახლაც, საპარლამენტო არჩევნების წინ, რა თქმა უნდა, შემთხვევით არ გამოჩენილა ხელისუფლების სლოგანი: „საქართველო სიღარიბის გარეშე!“ მშვენიერი სატყუარაა, მაგრამ მთავრობის მოსატყუებელი კბილი ხალხმა რომ უკვე მოიცვალა?

ეს თავად მთავრობამაც იცის, ამიტომ აქვს მეორე, უფრო რეალური სატყუარა — ფული! „მომეცი ხმა და ფულს მოგცემ, მუქთად კი არ მინდა, შე კაცო!“

თუ ესეც არ გამოვიდა, სათადარიგოდ კიდევ სხვაც აქვთ შემონახული, ტრადიციული და მრავალჯერ გამოცდილი — არჩევნების გაყალბება, ანუ ხმების მოპარვა. თუმცა ესეც უკვე იმდენჯერ გამოიყენეს, რომ დამდეგ არჩევნებში გასამარჯვებლად მხოლოდ ერთი გამონაკლისიღა დარჩა: „წადი, ძმაო, თავი დაგვანებე!“

**ოთარ ხუციშვილი**

**კახეთის მხარე**

# თელავის ბიუჯეტი სამი მილიონი ლარით შემცირდა

**კახეთის რვავე რაიონში დასრულდა ადგილობრივი ბიუჯეტის განხილვა, რომელიც საკრებულოებმა ერთხმად დაამტკიცეს. განსაკუთრებით გართულდა სიღნაღის ბიუჯეტის მიღება, რომელიც საკრებულომ ორჯერ დაიწუნა. თელავის რაიონული ბიუჯეტი კი 3 მილიონზე მეტი ლარით შემცირდა.**

სიღნაღის ბიუჯეტის პროექტის მომზადება ძალზე გაჭიანურდა. საფინანსო სამსახურმა საკრებულოს პროექტი 3 თვის დაგვიანებით წარუდგინა და ისიც არასრულყოფილი სახით.

სიღნაღის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი სულიაშვილი ამ ფაქტმა ძალზე აღაშფოთა. საკრებულომ პროექტი დაიწუნა და დაუყოვნებლივ შესასრულებლად უკან გააბრუნა. სიღნაღის საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე კოტე ხმალაძე ჟურნალისტებთან საუბრისას ამბობს, რომ პროექტში ინფრასტრუქტურისთვის თანხები საერთოდ არ იყო გათვალისწინებული, არადა ეს საკითხი ძალზე მნიშვნელოვანია. ხმალაძე იქვე იმასაც დასძენს, რომ საკრებულომ ბიუჯეტი უკვე მეორედ დაიწუნა, არასრულყოფილების გამო.

საფინანსო სამსახურის უფროსი ალეკო მათეშვილი თავს იმართლებს, რომ სამსახურებმა



კონკრეტული ხარჯთაღრიცხვა დროულად ვერ წარმოადგინეს, რის გამოც თანხების გადანაწილება და ბიუჯეტის პროექტის ჩამოყალიბება შეფერხდა.

ასეა თუ ისე, როგორც იქნა სიღნაღის საკრებულომ ბიუჯეტი დაამტკიცა, რომელმაც მიმდინარე წელს 3 მილიონ 175 ათასი ლარი შეადგინა.

რაც შეეხება თელავს, რომელსაც ერთპარტიული საკრებულო ჰყავს. რაიონში არსებულ დიქტატურასა და განუკითხაობაზე ის ფაქტიც ღაღადებს, რომ საკრებულოში არც ერთი ოპოზიციური წევრი არ გააჭაჭანეს. საგულისხმოა, რომ გასულ წელთან შედარებით, თელავის ბიუჯეტი 3 მილიონ 80 ათასი ლარით შემცირდა. თელავის საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების უფროსი ალექსანდრე თეგერაშვილი აცხადებს, რომ გასულ წელს ადგილობრივი ბიუჯეტი 8 870 000 ლარს შეადგენდა, წლეულს კი 5 790 000 ლარით განისაზღვრა...

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, თელავის ბიუჯეტის დამტკიცებული პროექტი „სტრატეგიული კვლევების ცენტრმა“ შესასწავლად გამოითხოვა. არასამთავრობო ორგანიზაცია თელავის ბიუჯეტთან დაკავშირებით მონიტორინგის დასკვნას სულ მალე გამოაქვეყნებს.

2008 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი დედოფლისწყაროშიც დამტკიცდა. საკრებულოში ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა მოეწყო, რომელშიც სხვადასხვა სამსახურის, პრესის, არასამთავრობო სექტორისა და საზოგადოების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

პროექტი მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსმა თამარ მათეშვილმა წარმოადგინა. ბიუჯეტის საჯარო განხილვის შემდეგ, საკრებულოში ბიუროს სხდომა ჩატარდა, მოგვიანებით საკრებულოს სხდომაც შედგა, რომელზეც კიდევ ერთხელ იქნა მუხლობრივად წაკითხულ-გაანალიზებული 2008 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის გეგმა, რომელიც გამოიტანა მუნიციპალიტეტის გამგებელმა დავით ლეკიშვილმა. როგორც მან განმარტა, დედოფლისწყაროს წლევანდელი ბიუჯეტი 3.463.300 ლარს შეადგენს. შემოსულობების 80 პროცენტს მიწაზე ქონების გადასახადი წარმოადგენს და ის, შარშანდელთან შედარებით, 200 000 ლარითაა გაზრდილი, 23 200 ლარით მეტია დაგეგმილი მუხლში: „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის“.

— „რაიონის ბიუჯეტი საკმაოდ მცირეა, უფრო მეტის გაკეთების სურვილი გვაქვს, მაგრამ ფინანსები ამის საშუალებას არ გვაძლევს“, — ასე ჟღერდა ბიუჯეტის პროექტის ავტორთა პოზიცია.

ბიუჯეტი ლაგოდეხშიც უპრობლემოდ მიიღეს, თუმცა ლაგოდეხელები წუხან, რომ თანხები „ძმაკაცური“ პრინციპებით გადანაწილდა და სოციალურად დაუცველთათვის და ადგილობრივების ყოფის გასაუმჯობესებლად არაფერი დაგეგმილა.

**ილია მარტყოფლიშვილი,**
**კახეთიდან.**

● სამგორის რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის სპორტული დარბაზი ორ დღეს მასპინძლობდა 1993-1995 წლებში დაბადებულ ძიუდოისტთა ტურნირს (მთავარი მსაჯი სამგზის მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი უშანგი კუზანაშვილიძ საინვესტიციო კომპანია „ევორდის" თასზე, რომელშიც საქართველოს სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის 400-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა



ნანა ძაგნიძე



სალომე მელია

## ◎ ორბიტაზე

### რეკორდი ჩემპიონთა ლიგაში

**თითქოს უჩვეულოა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი გათამაშების მეოთხედფინალში ერთბაშად 4 ინგლისური გუნდი გავიდა — „არსენალი", „ლივერპული", „მანჩესტერ იუნაიტედი" და „ჩელსი". ეს არის ერთი ქვეყნის გუნდების სარეკორდო წარმოჩენა ჩემპიონთა ლიგის ამ ეტაპზე.**

უნდა აღინიშნოს, რომ ევროკლუბების ისტორიაში მეოთხედფინალებში ერთი ქვეყნიდან ადრეც გასულა 4 და მეტი გუნდი, მაგრამ ეს მხოლოდ უეფას თასის გათამაშებაში ყოფილა. აბსოლუტური რეკორდი კი ამ მხრივ ეკუთვნის გფრ-ს გუნდებს. 1979-80 წლების სეზონში მეოთხედფინალში ამ ქვეყნის 5 წარმომადგენელი გავიდა.

ადრინდელი წარმატებები ჩემპიონთა ლიგაში ასეთი იყო: 3 გუნდი ერთი ქვეყნიდან მეოთხედფინალში 10-ჯერ გავიდა. აქედან 4-ჯერ ესპანელები, 3-ჯერ — იტალიელები, 2-ჯერ — ინგლისელები და ერთხელაც — გერმანელები.

### გებრესელასიეს პეკინის ეშინია



**როგორც ეთიოპიის დედაქალაქ ადის-აბებადან იტყობინებიან, ეთიოპიელმა სტაიერმა — მსოფლიო რეკორდსმენმა მარათონში, ოლიმპიურმა ჩემპიონმა 5000 და 10000 მეტრზე სირბილში ჰაილე გებრესელასიემ განაცხადა, მონაწილეობას არ მიიღებს პეკინში ოლიმპიური თამაშების მარათონში,** რის მიზეზადაც ასახელებს ჩინეთის დედაქალაქში ჰაერის დიდ დაბინძურებას, რაც გებრესელასიეს აზრით, ძალზე დამღუპველად იმოქმედებს მის ჯანმრთელობაზე (სპორტსმენს ასთმის შეტევები აწუხებსძ, ამავე დროს უარყოფითად იმოქმედებს იმ სხვა სპორტსმენების შედეგებზეც და ჯანმრთელობაზეც, ვინც ოლიმპიადაში მონაწილეობას აპირებს. თუმცა ამავე დროს ცნობილი გახდა, რომ ჰაილე მაინც აპირებს 10 ათას მეტრზე სირბილს.

### თავი გაიგანდეგილა

**ტაილანდელმა ჩოგბურთელმა დანაი უდომჩოკმა თავის თავს ორკვირიანი განდეგილობა მიუსაჯა ბანკოკის ერთ-ერთ ბუდისტურ ტაძარში.**

თავად სპორტსმენის თქმით, ამ სახით მას უნდა „სიმშვიდის მოპოვება, რაც აუცილებელია თავისი თამაშის გასაუმჯობესებლად".

დანაი უდომჩოკი, მსოფლიო რეიტინგში 197-ე ადგილზე რომაა, თავისი ქვეყნის საუკეთესო ჩოგბურთელად ითვლება. ადრე ასევე მოიმოქმედა კიდევ ერთმა ტაილანდელმა ჩოგბურთელმა პარანდონ სიჩაპანმა, თუმცა ამის შემდეგ მისი თამაში არ გაუმჯობესებულა.



სულ მალე მან ცოლად შეირთო პლანეტის ერთ-ერთი ულამაზესი ქალი — ნატალია გლებოვაია — რუსული წარმოშობის კანადელი, 2005 წელს „სამყაროს სილამაზის დედოფალი" რომ გახდა.

## ◎ ფეხბურთი

# მხოლოდ მსაჯის ბრალია?

**ბედი არ გინდა? — მილანის „ინტერი" მეორე სეზონია დაუნდობლად მუსრავს „სერია-ა"-ს ბინადრებს, მაგრამ კრიზისი მაინცდამაინც მაშინ დაეწყო, როცა სკუდეტოსთან ერთად ჩემპიონთა ლიგაშიც უნდა ეზრუნა წარმატებაზე.**

საპირისპირო ვითარებაა „ლივერპულის" ბანაკში. პრემიერლიგაში უხეირო სტარტს რაფაელ ბენიტესის შეგირდებმა ელიტურ საზოგადოებაში ჩაფლავებული პირველი ჯგუფური ეტაპის პირველი წრე დაუმატეს, თუმცა მდგომარეობის გამოსწორება მაინც შეძლეს და უეფას შვეიცარიულ შტაბბინაში ხვალ, 15 საათზე დანიშნულ კენჭისყრაზე მორიგ მეტოქეს ელოდებიან.



დაგვეთანხმებით, მოვლენათა ასეთ განვითარებას ხელი მერსისაიდელთა ესპანელი თავკაცის პროფესიონალიზმთან ერთად მისმა გამოცდილებამ შეუწყო. ამ ფონზე „შავლურჯთა" დამრიგებლის რობერტო მანჩინის სამწვრთნელო სტაჟი მოსატანიც კი არაა.

ჰოდა, ამ და კიდევ სხვა მრავალ გარემოებათა თანხვედრის გამო დაფიქსირებული საბოლოო შედეგი, გვინდა თუ არა, ლოგიკურად უნდა მივიჩნიოთ.

„სხვა მრავალ გარემოებათა შორის", ბუნებრივია, ნორვეგიელი მსაჯის ტომ ჰენინგ ოვრებოს მიერ მეორე ტაიმის დასაწყისში ბურდისოს მინდვრიდან გაძევება ვიგულისხმეთ, რამაც თამაში გააფუჭა, ყველაფერი კი ტორესის დიდებული გოლით დაგვირგვინდა — 1:0.

შეგახსენებთ, რომ ამ გუნდების პირველ შეხვედრაში მარკო მატერაცის წითელი ბარათი 30-ე წუთზე აუფრიალეს. ასე რომ, აპენინელებს სრული საფუძველი აქვთ, კრახი სხვებს გადააბრალონ, რაც, რა თქმა უნდა, საერთო სურათს ვერ შეცვლის — მეოთხედფინალში ნამდვილად უძლიერესი გავიდა.

## ◎ ჭადრაკი

### ჩემპიონი დღეს გამოვლინდება

**გუშინ თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიმართა ქალთა 65-ე ეროვნული ჩემპიონატის უკანასკნელი ტურის პარტიები. 9-9 ქულით დაასრულეს ასპარეზობა ქუთაისელმა და ბათუმელმა დიდოსტატებმა ნანა ძაგნიძემ და სალომე მელიამ. უძლიერესს მათი დღევანდელი ტაი-ბრეიქები გამოავლენს.**

**7,5 ქულით მესამე პრიზიორი სოფიკო ხუხაშვილი გახდა.**

## ◎ კალათბურთი

# მოკლედ



**ესპანური „ხუვენტუდი" და „ხირონა", მოსკოვის „დინამო", პოლონური „ტუროვი" და თურქული „გალათასარაი" — ეს ის კლუბებია, ულებ-ის თასის გათამაშების პირველი მერვედფინალური მატჩების შედეგების მიხედვით სოლიდური ნაბიჯი რომ გადადგეს მორიგი ეტაპისკენ. დანარჩენი წყვილების საპასუხო რაუნდში მძაფრი ბრძოლებია მოსალოდნელი:**

„ხიმკი" — „ხუვენტუდი" 73:96, „ჰემოფარმი" — „ხირონა" 71:80, „ლუკოილი" — „დინამო" 75:89, „ბკ კიევი" — „ტუროვი" 59:71, „გალათასარაი" — „გრან კანარია" 99:74, „ცრვენა ზვეზდა" — „ბეშიქთაში" 80:80, „ზადარი" — „ვალენსია" 74:69, „ერტლანდი" — „უნიქსი" 80:78.

## ◎ ძიუდო

# „ევორდი" მიზანს ამართლებს

**სამგორის რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის სპორტული დარბაზი ორ დღეს მასპინძლობდა 1993-1995 წლებში დაბადებულ ძიუ-**



**დოისტთა ტურნირს (მთავარი მსაჯი სამგზის მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი უშანგი კუზანაშვილიძ საინვესტიციო კომპანია „ევორდის" თასზე, რომელშიც საქართველოს სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის 400-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა. ისინი 12 წონით კატეგორიაში ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას.** დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: გიორგი გივიაშვილი (27 კგ. თბილისიძ, გიორგი გოგოჩაშვილი (30, თბილისის „ევორდი"ძ, ანზორ აფთარაშვილი (33, საგარეჯოძ, აჩიკო ბიგანი (36), ცოტნე მელაშვილი (40ძ, ლევან დადვანი (45ძ, ბადრი გურჩიანი (50, ოთხივე — „ევორდი"ძ, გიორგი ძალდანი (55, თბილისის „ვაკე"ძ, ლაშა გამყრელიძე (60, თბილისის „შევარდენი"ძ, ფრიდონ გიგანი (66, ბოლნისიძ, ლევან რუაძე (73, გურჯაანიძ, ლადო ნავერიანი (+73, ბოლნისიძ. რაც შეეხება გუნდურ პირველობას, ყველას „ევორდ ძიუდო კლუბის" წევრებმა აჯობეს და მათ მთავარი პრიზი — „ევორდის" თასი გადაეცათ, ხოლო წონით კატეგორიებში გამარჯვებულები და პრიზიორები შესაბამისი ხარისხის მედლებითა და დიპლომებით დაჯილდოვდნენ.



— საინვესტიციო კომპანია „ევორდმა" (პრეზიდენტი ლევან საყვარელიძეძ შარშან დააფუძნა „ევორდ ძიუდო კლუბი", — მითხრა ამ კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა, ახლო წარსულში ცნობილმა ქართველმა კალათბურთელმა **რევაზ ჩხეიძემ.** — ამჟამად ჩვენთან საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატების — აკაკი ჩიმჩიურისა და ზვიად წოწკოლაურის ხელმძღვანელობით სხვადასხვა ასაკის 80 ძიუდოისტი იმაღლებს ოსტატობას. ახალგაზრდა სპორტსმენების აღზრდასთან ერთად კლუბის მიზანია ძიუდოს — ორთაბრძოლის ამ ლამაზი სახეობის პროპაგანდა-განვითარება, მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

„ევორდ ძიუდო კლუბი", რომელსაც საინვესტიციო კომპანიამ ორი ტატამი და კიმონოები შეუძინა, მატერიალურადაც ეხმარება, საქართველოს რეგიონებში ოქტომბრიდან რეგულარულად აწყობს შეჯიბრებებს. მაგალითისთვის შემიძლია დავასახელო ახმეტაში ფარნაოზ ჩიკვილაძის, რუსთავში ბადრი ყვავილაშვილის, საგარეჯოში არსენ მეკოკიშვილის სახელობის ტურნირები. ამას წინათ კლუბის წევრებმა მოსკოვში რუსეთის პრეზიდენტის თასზე გამართულ საერთაშორისო ტურნირში მეორე ადგილი დაიკავეს.



„ევორდის" თასის გათამაშების შედეგებით დაკომპლექტდება ახალგაზრდა ძიუდოისტთა გუნდი, რომელიც მარტის მიწურულს დნეპროპეტროვსკის საერთაშორისო ტურნირზე, ხოლო ერთი თვის შემდეგ ესპანეთში ევროპის თასზე იასპარეზებს. იმედია, ჩვენი ბიჭები ამ შეჯიბრებებიდან ხელდამშვენებული დაბრუნდებიან.

**ვაჟა დანელია**

**სურათებზე: ასპარეზობის ერთ-ერთი მომენტი; ტურნირის ჩემპიონი ცოტნე მელაშვილი სამგზის მსოფლიო და ევროპის ჩემპიონ უშანგი კუზანაშვილთან და ევროპის ჩემპიონ დავით სვიმონიშვილთან ერთად; „ევორდის" თასის მფლობელი.**

№ 47. ხუთშაბათი, 13 მარტი. 2008 წელი.

**ვიცნობ ჩვენი საპატიო დედების შვილთა უმრავლესობას, მინახავს, როგორ ფუსფუსებენ ისინი, როგორ უვლიან საქონელს, აგროვებენ სოკოს, კენკრას, ფხალს, როგორ დადიან სკოლაში, რა ყურადღებით ექცევიან უმცროსებს, რა თავაზიანები არიან უფროსებთან. არ მინახავს და არც მსმენია მათი უხიაგობა!**



◎ აკადემია

# სანამ სამხედრო ძალადობა არსებობს...

**ახლახან გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს სხდომა, რომელზეც მოისმინეს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის გიორგი ანჩაბაძის მოხსენება „ქცევის ტრადიციული ნორმები კავკასიაში ომებისა და შეიარაღებული კონფლიქტების დროს“.**

ქცევის ასეთი ნორმები – კავკასიური ტრადიციული სამხედრო კულტურის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი – მნიშვნელოვანწილად ზნეობრივ, ჰუმანისტურ პრინციპებზე იყო დაფუძნებული და, ამდენად, გარკვეული თვალსაზრისით, მშვიდობისმყოფელურ მუხტსაც ატარებდა. სამხრეთ და ჩრდილო კავკასიის ხალხების ფოლკლორისა და კლასიკური ლიტერატურის ანალიზიდან ჩანს, რომ ასეთ ნორმებს საერთო-კავკასიური ხასიათი ჰქონდა.

დიდი ხნის მერე, ჩვენს ეპოქაში და სრულიად განსხვავებულ სოციალურ-პოლიტიკურ გარემოცვაში კავკასიამ კვლავ გადაიტანა მძიმე ომები და სისხლისღვრა. სადღეისოდ დედამიწის ზურგზე ეგებ ისე ახლოს არსად არ არის ამდენი „ცხელი წერტილი“, უკვე აფეთქებული ან ასაფეთქებლად გამზადებული, როგორც კავკასიაში. ამიტომაც სწორედ კავკასიის მოსახლეობა უნდა იყოს უპირველესად დაინტერესებული კონფლიქტების ნეიტრალიზაციის, ანუ მშვიდობიანი გზით მოგვარების პროცესების ხელშემწყობ საშუალებათა გამონახვით. ამ საქმეში კავკასიის ხალხთა ტრადიციული გამოცდილება მშვიდობისმყოფელობის პრაქტიკაში ეგებ ფრიად სასარგებლო და გამოსადეგი აღმოჩნდეს.

სანამ არსებობს სამხედრო ძალადობა, შეუძლებელია დანაშაულის ფაქტების სრული აღმოფხვრა, მაგრამ მათ წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლას უნდა ეწეოდეს ყველა სახელმწიფო თუ საზოგადოება, რომლებიც ცივილიზებული სამყაროს ნაწილად თვლიან თავს. ამ ამოცანის ქმედითი მექანიზმი შეიძლება იყოს ახალგაზრდობის აღზრდა ტრადიციული მორალური კოდექსის საუკეთესო მაგალითებზე. მაგალითების მოშველიება კი გვმართებს მოწინააღმდეგესთან ურთიერთობის ტრადიციული კულტურიდან, როდესაც მტერში მარტო უარყოფითს კი არა, გარკვეულ დადებით მხარეებსაც ხედავენ.

მოხსენების დროს ეკრანზე პროექცირებით უხვად იყო ილუსტრირებული XVI-XIX საუკუნეების სამხედრო-რაინდული ყოფის ამსახველი მასალა, სხვათა შორის, შესანიშნავი ნახატებითაც (XVIII-XIX საუკუნის ცნობილი რუსი ფერმწერებიძ.

პროფესორ გიორგი ანჩაბაძის გამოსვლამ დამსწრეთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია, მით უფრო სამხრეთ კავკასიაში დღევანდელი ვითარების ფონზე. იყო პოლემიკური მომენტებიც. სპეციალისტებმა მოხსენებას მაღალი შეფასება მისცეს.

**ლუკა გორგოძე**




◎ ერთი შეხვედრის ექო

# ისინი... ყველაზე ლამაზები

**შემოგვაფეთა გაზაფხულმა პირველი მზიანი დღეები. მართლაც სუსხიანი, ყინვაგამეფებული, უმკაცრესი ზამთრის მერე, უზომოდ გავიხარეთ მზის ხილვით. სულმა სურვილი იგრძნო, სურვილი მოფერების, სიყვარულის!**

დმანისის კულტურის ცენტრის დირექტორმა ჯუმბერ კოპალიანმა და კულტურის სამსახურის უფროსმა გიორგი ოკმელაშვილმა, კარგა ხნით ადრე დაასკვნეს, ამ გამოზაფხულებას ყველაზე უფრო მრავალშვილიან დედებთან შეხვედრა მოუხდებაო.

ისინი ოთხნი იყვნენ, ნაზები, მშვიდები, მოკრძალებულნი: თინა სიხუაშვილი-კავლელაშვილი – 13 შვილი, ჟენია ცინდელიანი-ჩხეტიანი – 9 შვილი, მზიანა ჩხვიმიანი-ჩხეტიანი – 9 შვილი და სანამ ისმაილოვა – 6 შვილი.

შეხვედრას ამშვენებდნენ ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლის „კიდევაც დაიზრდებიან“ წევრები, რომლებმაც ყვავილებიც მიართვეს და მშვენიერი სიმღერებიც შეასრულეს მათ პატივსაცემად.

ბატონმა ჯუმბერ კოპალიანმა ძალიან გაახალისა შეხვედრა, ბავშვობის რამდენიმე ეპიზოდი გაიხსენა: მეც მრავალშვილიან ოჯახში ვარ გაზრდილი და კარგად მემის, რაოდენ რთული და საპატიოა ასეთი ოჯახის დედობაო.

შეხვედრა იყო ძალიან სადა, შინაურული, მაგრამ დიდი სითბოთი და სიყვარულით სავსე. იადონების გალობას თუ შეადარებდი ფოლკლორულ ანსამბლ „ირინოლას“ ქალთა ხმებს. ტკბილი სიმღერები შეასრულეს: თამარ შარგიანმა, ნუნუ გიგანმა, ლილე ყიფიანმა, ნარი რეზესიძემ, ნატო და ლონდა ცინდელიანებმა. განსაკუთრებით გულში ჩამწვდომი იყო სიმღერა დედაზე.

საპატიო სტუმრებს გულთბილად მიესალმნენ გამგებლის მოადგილე ნიაზ მაჯითოვი, კულტურის ცენტრის თანამშრომლები ავთანდილ და ნანი ნარსავიძეები.

დმანისში თითქმის ყველა ერთმანეთს ვიცნობთ. მე ვიცნობ ჩვენი საპატიო დედების შვილთა უმრავლესობას, მინახავს, როგორ ფუსფუსებენ ისინი, როგორ უვლიან საქონელს, აგროვებენ სოკოს, კენკრას, ფხალს, როგორ დადიან სკოლაში, რა ყურადღებით ექცევიან უმცროსებს, რა თავაზიანები არიან უფროსებთან. არ მინახავს და არც მსმენია მათი უხიაგობა!

როცა ჟენია ცინდელიანის, მზიანა ჩხვიმიანის, სანამ ისმაილოვას და, მით უფრო, თინა კავლელაშვილის მსგავს ქალებს ვუცქერი ან ვუსმენ, მიწამდე თავს ვუხრი მათ გმირობას. ისინი ჭკვიანები და საოცრად ლამაზები არიან, რადგან მეტი სილამაზე მეტ შვილშია, განა ორ-სამ ყვავილზე უფრო ლამაზი დიდი თაიგული არაა?

გმირ დედებს ფასიანი საჩუქრები გადასცეს. მაგრამ ყველაზე დიდი საჩუქარი მათ თვითონ უძღვნეს თავიანთ თავებს – მრავალი შვილი.

**ნანა მიქიანი**

◎ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა: ხუთდღიანი სამუშაო კვირის შემთხვევაში შვებულების გამოსათვლელ დღეებში ჩაითვლება თუ არა შაბათი დასვენების დღედ?**

**მერაბ აბდუშელიშვილი**

**პასუხი:** საქართველოს შრომის კოდექსის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „დასაქმებულს უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით – არანაკლებ წელიწადში 24 სამუშაო დღისა“. ხუთდღიანი სამუშაო კვირის შემთხვევაში, ცხადია, შაბათი ჩაითვლება დასვენების დღედ.

* * *

**კითხვა: როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ახალი შრომის კოდექსი ითვალისწინებს 14 წლამდე არასრულწლოვანის მუშაობას შრომის ხელშეკრულების საფუძველზე, რაც, რბილად რომ ვთქვათ, ხშირად ბავშვების სკოლიდან ჩამოშორებისა და დაავადმყოფების საფუძველი შეიძლება გახდეს. შეუძლია მზრუნველობის ორგანოს, რომ მოითხოვოს არასრულწლოვანთან დადებული შრომის ხელშეკრულების მოშლა?**

**ჯიმშერ კაპიტივაძე**

**პასუხი:** საქართველოს შრომის კოდექსის 39-ე მუხლის შესაბამისად, არასრულწლოვანის კანონიერ წარმომადგენელს ან მზრუნველობის მეურვეობის ორგანოს უფლება აქვს, მოითხოვონ არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების მოშლა, თუ მუშაობის გაგრძელება ზიანს მიაყენებს არასრულწლოვანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან სხვა მნიშვნელოვან ინტერესებს.

* * *

**კითხვა: მყავს 12 წლის ძმისშვილი, რომელიც არის დაავადებული პოლიომიელიტის მძიმე ფორმით და საჭიროებს დედის ყოველდღიურ დახმარებას. ამიტომ ჩემი რძალი მიჯაჭვულია მასზე და ერთი დღის შრომის სტაჟიც კი არ გააჩნია. ოჯახს ეკონომიურად ძალზე უჭირს. გთხოვთ, განგვიმარტოთ, რა ოდენობის პენსია ეკუთვნის ასეთ მძიმე ავადმყოფ ბავშვს?**

**ნესტან ონოფრიშვილი**

**პასუხი:** 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის პენსია, რომელიც სხვა პირის დახმარებას საჭიროებს, მოქმედი კანონის შესაბამისად, სამწუხაროდ, მხოლოდ 55 ლარია.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

◎ თვითნასწავლი

# მე ქართველი კარუზო ვარ!

**საქართველოს მუსიკალურ საკონცერტო დარბაზში თვითნასწავლი მომღერლის არჩილ დოლიძის ვოკალური მუსიკის კონცერტი გაიმართა. ღონისძიება მომღერლის 82 წლის იუბილეს მიეძღვნა. პიანისტი, მომღერალი და იმპროვიზატორი შალვა მუმლაძე არჩილ დოლიძეს უანგაროდ დაეხმარა და აკომპანიატორობა გაუწია.**

კონცერტი მრავალფეროვანი პროგრამით გამოირჩეოდა, რომელზეც ქართულ კლასიკურ ნაწარმოებებთან ერთად უცხოური საოპერო არიებიც შესრულდა. არჩილ დოლიძემ კი რამდენიმე ნაწარმოები 1937 წელს დახვრეტილთა ხსოვნას მიუძღვნა.

კონცერტის ორგანიზატორი საქართველოს მუსიკალური საზოგადოების თავმჯდომარე მანანა ახმეტელი იყო. არჩილ დოლიძის თქმით, მანანა ახმეტელი ნიჭიერების განვითარებას უწყობს ხელს და მასაც ყოველთვის უანგაროდ ეხმარება.

„კონცერტი მაღალ დონეზე ჩატარდა, მაგრამ სამწუხაროდ, ხელისუფლებას არანაირი ყურადღება არ გამოუჩენია. ჩვენ რამდენიმე ტელევიზია მოვიწვიეთ, მაგრამ არც ერთი არ მოვიდა. წინათ კი ყოველთვის ყურადღების ცენტრში ვიყავი, შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. პრეტენზია მაქვს, რომ ტემბრალურად ყველაზე მაღალი ხმა სწორედ მე მაქვს. მე ქართველი კარუზო ვარ“, – იხუმრა არჩილ დოლიძემ.

მას პროფესიული მუსიკალური განათლება არ აქვს, მაგრამ საკუთარი ინიციატივით კონსერვატორიის თავისუფალი მსმენელიც იყო. მომღერალი აღნიშნავს, რომ ხმა დედისგან გამოჰყვა, ამიტომ მრავალი დაბრკოლების მიუხედავად, სიმღერაზე უარის თქმას არ აპირებს.

მართალია, არჩილ დოლიძე უყურადღებობას უჩივის, მაგრამ მომავალში საინტერესო კონცერტებს კვლავაც გეგმავს.

**მაია ხორგუაშვილი**

◎ გვწერენ

# საზრიანობის, სიმამაცის მაგალითი

**პატივცემულო რედაქცია, ვცხოვრობ ძველი თბილისის რაიონში მდებარე ჭონქაძის ქუჩის №11/13-ში. იანვარში, ზემოთ ხსენებულ მისამართზე, მეორე სართულზე მდებარე ჩემი საცხოვრებელი ბინა ხანძარმა მოიცვა. განვიცადე დიდი მატერიალური ზარალი, ბინა საცხოვრებლად უვარგისი გახდა.**

მეხანძრეებს ცეცხლთან ბრძოლა დამთავრებული არ ჰქონდათ, როდესაც პარლამენტის დეპუტატი, კომისიის თავმჯდომარე ბატონი გიგი წერეთელი, თანმხლებ პირებთან ერთად, ადგილზე მოვიდა. თანაგრძნობით, ოპერატიულად გაანაწილა დავალებები და იმავე დღეს, უბინაოდ დარჩენილს, მთაწმინდაზე, კოტე მესხის ქუჩაზე, ერთი წლით მიქირავეს ბინა.

მადლობის მეტი რა მეთქმის.

უნდა გითხრათ, რომ ალმოდებულ, მხრჩოლავ ბოლში გახვეულ ხის კიბეზე ჩამოსვლა ვერ გავბედე... სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმავალმა ჩემმა მეზობელმა სტუდენტმა თინიკო საჩალელმა განგაში ატეხა. მან პირველმა გვაცნობა მე და ჩემს მეზობლებს საშიშროება. თავის ძმას ნიკას კი სახანძრო რაზმი გამოაძახებინა, ნიკამ ჩემ გადასარჩენად გასაშლელი კიბე მოძებნა, მიადგა მეზობლის ბინის სახურავს და დამრეცი, მოყინული სახურავიდან სამშვიდობოს ჩამომიყვანა.

ბარაქალა მათ საზრიანობას, თავდადებას, მამაცობას... ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი ახალგაზრდები.

პატივისცემით,
**ვიქტორია ვოსკანოვა**

# სულთანა

● **ანა კალანდაძეს**

*რა თქმა უნდა, რომ გეკუთვნით ნობელი,*
*ნუ მიიღებთ ამ განაცხადს ირიბად,*

*ნუ იქნებით თანაც გულჩათხრობილი, —*
*ერთი ბეწო საქართველოს შვილი ხართ...*

მურმან ჯგუბურია



◎ უკვდავება

# მზისკენ გაფრენილი მშვენიერება

ვინ იყო და ვინ არის ანა კალანდაძე, უფალმა იცის, ხოლო მე, რაც ვიცი, იმას მოგახსენებთ...

ანა კალანდაძე თავისი დიდი პოეზიით მეცხრე ცამდე გახლდათ მისული.

ანა კალანდაძე მზისკენ გაფრენილი მშვენიერებაა.

ანა კალანდაძე მარადის ებრძოდა ღრუბლებიდან მოფრენილ ყორანთა გუნდს და ეფერებოდა სახლში შემოსულ თუთის ხეს, მხოლოდ სიყვარულით ცხოვრობდა და სასტიკად უარყოფდა ძმათა სიძულვილს.

ანა კალანდაძე უმღეროდა მთელ საქართველოს, უმღეროდა ხმალშემართული და ერთგულებით ეუბნებოდა — „შენ ისე ღრმა ხარ, ისე ფაქიზი, ქართულო ცაო“. დიახ, ეფერებოდა ქართულ ცას და მიწას, ალმერთებდა ქართულ მზეს და ქართულ ზნეკეთილობას.

მისივე პოეზიის მიხედვით, როცა წმინდა ნინო მთებით მოდიოდა და მოჰქონდა ჯვარი მზიური და სანატრელი, მე მჯეროდა, რომ ანაც იქ იყო, წმინდა ნინოსთან, რამეთუ, საქართველოს სიყვარულს რწმენა ავალებდა, რწმენა, რა თქმა უნდა, მართლმადიდებლური.

**„მიდიხართ, მიდიხართ სამშობლო გეძახით,**
**არც ერთი ნაბიჯი უკან“**

აი შეძახილი ჭეშმარიტი შემოქმედისა, გულისხმას აყოლილი პოეტისა, თავადაც ხომ გული იყო ქართული პოეზიისა.

სწორედ ახლა გამახსენდა ჩემი მეგობრის ანა კალანდაძის ლექსი:

*„მე ლამაზი მეგობარი მყავდა,*
*თვალჟუჟუნა, წაბლისფერი თმებით,*
*ერთხელ მტრედმა მოუტანა ფრთები,*
*დამტოვა და ღრუბლებს გაჰყვა ცადა,*
*ღრუბლებს გაჰყვა, სად ვეძებო, სადა?*
*მე ლამაზი მეგობარი მყავდა,*
*თვალჟუჟუნა, წაბლისფერი თმებით“.*

გული მეტკინა, მაგრამ მაინც ხმამაღლა ვამბობ — ვაშა, ზეციურ საქართველოს, რომელსაც ანა კალანდაძე შეემატა — მზისკენ გაფრენილი მშვენიერება.

ჯანსულ ჩარკვიანი



# ანას ადგილი, რა თქმა უნდა, მთაწმინდაზეა!

გარდაიცვალა ანა კალანდაძე! ანა! ჭეშმარიტად დიდი პოეტი.

შეუძლებელია, ამ ცნობამ ყოველ ქართველს გულის სიმი არ შეურხიოს.

გურამ ასათიანი წერდა, რომ ანა ამქვეყნად ჩვენი სულიერი ჭრილობების გასამრთელებლად იყო ღვთისგან გამოგზავნილი. საქართველოს ასეთი პოეტური სული რომ ოდესმე აუცილებლად მოევლინებოდა, ეს თვით ვაჟა-ფშაველამ იგრძნო — გალობით მკურნალ ჩიტზე დაწერილ პოემას „ანნა-ბულბული“ ამიტომაც დაარქვა.

გალაკტიონს რომ ეთხოვებოდა, მურმან ლებანიძე თავს იმით ინუგეშებდა, რომ „ვისაც მარხავდა, საქართველომ იცოდა...“

თქვენ წარმოიდგინეთ, ეს იმდროინდელმა ხელისუფლებამაც იცოდა.

ამიტომაც აიყვანეს მთაწმინდაზე.

დღეს რა ვითარებაა?

ხალხმა ნამდვილად იცის, ვინც მოუკვდა, მაგრამ იგივე ხალხი ერთმანეთს ეკითხება: ხომ მთაწმინდაზე დაკრძალავენ?

თითქოს, ეჭვი ეპარებათ, რომ დღევანდელ ხელისუფლებას ანას ფასი და სიდიდე ესმის.

შეიძლება, ამა თუ იმ ხელისუფლებას ბევრი რამ არ ესმოდეს, მაგრამ ამდენი ნებისმიერს უნდა ესმოდეს.

ღმერთმა ნუ ქნას, რომ არ ესმოდეს!

ანას ადგილი, რა თქმა უნდა, მთაწმინდაზეა — მან ეს დიდი შემოქმედებით და სპეტაკი ცხოვრებით დაიმსახურა.

გააჩერეთ ნებისმიერი ქართველი და ამას დაგიდასტურებთ.

თუ ვინმე შევარდნაძისდროინდელ ერთ ბრძანებულებას შეგვახსენებს, ვეტყვით, რომ ანა დროის გამოცდას არ ექვემდებარება. ის ჭეშმარიტი მთაწმინდელია, „კონკურსგარეშე“, გამონაკლისი....

იოსებ ჭუმბურიძე

# „მიდიხარ, შენს ბედს ბევრი ინატრებს“...

სამწუხაროა, რომ ქართული კულტურის კიდევ ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი უნდა მივაბაროთ მიწას — ანა კალანდაძე, ქალი, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა ქართულ პოეზიაში, ადამიანი, რომელიც პირველი კრებულების გამოცემისთანავე ხალხის უსაყვარლეს შემოქმედად იქცა. ანა კალანდაძის ლექსები განსაკუთრებული სითბოთი და გულისხმიერებით გამოირჩევა და ალბათ, ამიტომაა, რომ მის პოეტურ მარგალიტებს ყველა ასაკის ადამიანი ეწაფება.

ალბათ, მთელი სიცოცხლის განმავლობაში დაუვიწყარ მოგონებად დაგვრჩება 2007 წლის 11 ოქტომბერი, აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, რომელიც ჩვენს მიერ იყო ორგანიზებული. ღვაწლმოსილი მეცნიერის 85 წლის იუბილეზე ქ-ნი ანა კალანდაძეც მობრძანდა... სწორედ აქ შედგა ჩვენი გაცნობა დიდ პოეტთან, რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება დაგვიტოვა.

მეორედ, ქ-ნ ანასთან შეხვედრა მოგვიხდა რეჟისორ გიგა ლორთქიფანიძის 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე, სადაც, ჩვენდა საბედნიეროდ, აღმოვჩნდით ისეთი კორიფეების გვერდით, როგორებიც ქ-ნი ანა კალანდაძე და ბ-ნი რეზო ჩხეიძე არიან. მეორე შემთხვევაც, პირველის მსგავსად, ნათელ ხაზად გაჰყვება მთელს ჩვენს ცხოვრებას. გავა დრო და სიამაყით გავიხსენებთ, რომ მრავალი წლის წინათ, სტუდენტობის ჟამს, ორიოდე სიტყვა გაგვიცვლია ლექსის ჯადოქართან...

ის ფაქტი, რომ ქ-ნი ანა დღეს ჩვენს გვერდით აღარ არის, მხოლოდ ფიზიკური მოვლენაა — მუდამ ცოცხალი იქნება მისი ლექსი, მისი ჟრუანტელისმომგვრელი რითმა და შესაბამისად სახელი — ანა კალანდაძე...

გიორგი ასტამაძე,
ლევან კიკვიძე,
თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტები.


**რეკლამა** — კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.


ედუარდ შევარდნაძე ღრმა მწუხარებით იუწყება გამოჩენილი ქართველი მწერლის და საზოგადო მოღვაწის, ქალბატონ
ანა კალანდაძის
გარდაცვალებას და იზიარებს ქართველი ხალხის მწუხარებას ამ დიდ დანაკლისთან დაკავშირებით.

---

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია თანაგრძნობას უცხადებს სრულიად საქართველოს მისი უბრწყინვალესი პოეტის
ანა კალანდაძის
გარდაცვალების გამო.

---

გარდაიცვალა ქართველი ერის საყვარელი პოეტი ანა კალანდაძე, რომლის შეუდარებელ ლექსებს დავიწყება არ უწერია.

„საქართველოო, ლამაზო“... მღეროდა პოეტი და თავისი ქვეყნის ყოველი კუთხე-კუნჭული უყვარდა, — გორში ატირებული ატამი, მზისკენ გაფრენილი მერანი, ტყეში — ქორბუდა ირმები. ვარდფურცლობის ჟამს მუხლებზე დაჩოქილი უსმენდა ჭიამარიებისა და ყაყაჩოების სიმღერას, ყვავილების ქარს, ლურჯა ცხენებს, რომელთაც მშვიდი ზეცა გადაირბინეს, ატირებულ სალამურს, ქუდმოხდილ ქვევრს, რძისფერ ნისლში გახვეულ ლურჯ მწვერვალებს, უფლის ხელით დახატულ ძველ ტაძრებს. მღეროდა პოეტი და მადლიანი ქართულით ქარგავდა სამშობლოს სადიდებელ უნაზეს ლირიკულ სტრიქონებს. ქართული პოეზიის საგანძურს და ქართულ ენას გამოაკლდა სიტყვის ჯადოქარი, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული და მასზე მოფიქრალი დიდებული პოეტი.

საქართველოს კულტურის ფონდი გულისტკივილით ეთხოვება ღირსეულ მამულიშვილს, ქართული პოეზიის მშვენებას ანა კალანდაძეს და თანაუგრძნობს ოჯახს.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი

---

საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ გულწრფელ სინანულს გამოხატავს ერის უსაყვარლესი პოეტის, ქალბატონ
ანა კალანდაძის
გარდაცვალების გამო და სრულიად საქართველოსთან ერთად ღრმა გულისტკივილით ეთხოვება მას.

---

მედეა მეზვრიშვილი, ნელი გურგენიძე ოჯახებით უღრმეს მწუხარებას გამოხატავენ დიდი ქართველი პოეტის, ქართული პოეზიის დედოფლის
ანა კალანდაძის
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი — ფოპტნეტის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ბატონ ფრიდონ ინჯიას ბიძის
სამუელ (ჯვებეძ ერმილეს ძე მიქაიას
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ავთანდილ იაშვილი, კოტე სამუშია, თეიმურაზ ღოღობერიძე, ვახტანგ თოდუა, თეიმურაზ ბერიშვილი, თორნიკე აფაქიძე, ნოდარ ჯიქია, ნუგზარ კვიკვინია, თემურ სამადალაშვილი, მამია სულაბერიძე, ზურაბ ზუმბაძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ბატონ ფრიდონ ინჯიას ბიძის
სამუელ (ჯვებეძ ერმილეს ძე მიქაიას
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

სააქციო საზოგადოება „ეგრისის“ თანამშრომლები და აქციონერები მწუხარებას გამოთქვამენ და სამძიმარს უცხადებენ ფრიდონ და დავით ინჯიებს ბიძის
სამუელ (ჯვებეძ ერმილეს ძე მიქაიას
გარდაცვალების გამო.

---

სააქციო საზოგადოება „ეგრისის“ თანამშრომლები და აქციონერები მწუხარებას გამოთქვამენ და სამძიმარს უცხადებენ ჟოზეფინა, ემილ, მზია მიქაიებს — მამის და კახა უგულავას — ბაბუის
სამუელ (ჯვებეძ ერმილეს ძე მიქაიას
გარდაცვალების გამო.

---

„ახალი ქსელებისა“ და „ახტელის“ დირექტორატი და ყველა თანამშრომელი თანაგრძნობას უცხადებენ საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ფრიდონ ინჯიას
სამუელ (ჯვებეძ ერმილეს ძე მიქაიას
გარდაცვალების გამო.

---

თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის პედაგოგიური კოლექტივი იუწყება, რომ ქორეოგრაფიული სტუდიის კულტორგანიზატორს მარიამ ქაშაკაშვილს გარდაეცვალა
მამა
და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

---

უახლოესი მეგობრები კუკური გვარიშვილი, გურამ გვეტაძე, გუჯა კავკასიძე, გურამ ნასიძე, ჯონდო ჯაველიძე, ზურაბ ბალანჩივაძე, ჯემალ კანდელაკი, თამაზ სულუხია, ანზორ ბერაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან
ალიოშა სოხაძის
გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს.

# ბოლო გვერდი

● ფილმში იურიდიულ შეფასებებს აკეთებენ საქართველოში მყოფი საერთაშორისო ექსპერტები და აუდიტორული კომპანიების წარმომადგენლები, – განმარტეს „სონი ცენტრი თბილისში“ და დასძინეს, რომ ფილმის ნახვის შემდეგ აღნიშნული საკითხის განხილვა სხდომაზე რამდენიმე წუთს გაგრძელდა




## ინფორმაცია

### დესტაბილიზაცია სოჭის ოლიმპიადაზეც იმოქმედებს



**რუსეთის მიერ აფხაზეთისთვის ეკონომიკური სანქციების მოხსნა რეგიონის სტაბილურობას საფრთხეს უქმნის. ამის შესახებ გაეროში საქართველოს წარმომადგენელმა ირაკლი ალასანიამ გაეროს შტაბ-ბინაში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**

ალასანიამ აღნიშნა, რომ დსთ-ს გადაწყვეტილება, რომელიც რუსეთმა ცალმხრივად დატოვა, სეპარატისტულ რეჟიმთან ნებისმიერ სამხედრო და ეკონომიკურ თანამშრომლობას და ოფიციალურ კონტაქტს კრძალავს. ქართველმა დიპლომატმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ შეთანხმებაზე უარის თქმით რუსეთმა მოიხსნა იმის ვალდებულება რომ, არ მიჰყიდოს და არ მიაწოდოს აფხაზურ მხარეს ყველა სახის შეიარაღება, არ დაუშვას მისი მოქალაქეების მონაწილეობა კონფლიქტის ზონაში მოქმედ შეიარაღებულ დაჯგუფებებში.

ალასანია მიიჩნევს, რომ რუსეთის გადაწყვეტილება დესტაბილიზაციის საფრთხეს ქმნის, კონფლიქტის გარშემო არსებულ სიტუაციას მთლიანად ცვლის და იმ სამართლებრივ საფუძველს არღვევს, რომელიც კონფლიქტის ზონაში დსთ-ს სამშვიდობო ღონისძიებებს განსაზღვრავს.

ელჩი შიშობს, რომ შესაძლო დესტაბილიზაცია სოჭის ოლიმპიადის ჩატარებასაც შეუშლის ხელს. ალასანიას განცხადებით, მოვლენების განვითარებაზე სრული პასუხისმგებლობა რუსეთს ეკისრება.

### რამდენი დაჯდება სკოლების რემონტი?



**სკოლების რემონტისათვის ადგილობრივი თვითმმართველობები იზრუნებენ. როგორც ფინანსთა მინისტრმა ნიკა გილაურმა პარლამენტის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე განაცხადა, გადაწყვეტილება განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მიიღო.**

კერძოდ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ასიგნებებიდან 40 103 300 ლარი გადავა რეგიონულ მმართველობებზე და ეს თანხა სწორედ სკოლების რემონტს მოხმარდება.

მინისტრმა სათითაოდ ჩამოთვალა, თუ რომელ რაიონში რამდენი თანხა დაიხარჯება სკოლების რემონტზე და ამ თანხებიდან ყველაზე მცირე ვანის რაიონს ერგო, რაც მოგვიანებით ვანიდან არჩეულმა საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა დეპუტატმა პაატა ლეჟავამ გააპროტესტა.

საინტერესოა, რატომ ერგო ყველაზე მცირე თანხა ვანის რაიონს. აქ უფრო კარგად გვაქვს საქმე, თუ რა ხდება, – უკვირს პაატა ლეჟავას.

**ინტერპრესნიუსი**

## სიტუაცია

### კორპორაცია „სონი“ – როგორც დაზარალებული მხარე

**კორპორაცია „სონი“ „სონი ცენტრი თბილისისა“ და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დავაში უახლოეს მომავალში, შესაძლოა, დაზარალებულ მხარედ ჩაერთოს.**

ამის შესახებ საქართველოში „სონის“ ოფიციალური წარმომადგენლობიდან, „სონი ცენტრი თბილისიდან“ განაცხადეს.

მათი ცნობით, იაპონიაში „სონის“ დირექტორთა საბჭოს სხდომაზე განიხილეს „სონი ცენტრი თბილისის“ ირგვლივ საქართველოში შექმნილი ვითარება.

დირექტორთა საბჭოს სხდომაზე ნაჩვენები იყო 7-8-წუთიანი ჟურნალისტური გამოძიება, რომელიც 2007 წლის სექტემბერ-ოქტომბერში კორპორაცია „სონის“ ევროპის ოფისის დაკვეთით მომზადდა. ამ ფილმში ასახულია 2006 წლის 3 ნოემბრის მოვლენები, „სონი ცენტრი თბილისში“ ფინანსური პოლიციის შესვლა და შესვლის მიზეზები. ასევე ასახულია 2006 წლის 2-23 ნოემბერს, რუსთაველის გამზირ №30-ში მდებარე კერძო საკუთრების ხელყოფის ფაქტი. ფილმში იურიდიულ შეფასებებს აკეთებენ საქართველოში მყოფი საერთაშორისო ექსპერტები და აუდიტორული კომპანიების წარმომადგენლები, – განმარტეს „სონი ცენტრი თბილისში“ და დასძინეს, რომ ფილმის ნახვის შემდეგ აღნიშნული საკითხის განხილვა სხდომაზე რამდენიმე წუთს გაგრძელდა.

მათივე ცნობით, ამავე სხდომაზე „სონის“ ამერიკელმა ხელმძღვანელმა მხარი დაუჭირა „სონი ცენტრი თბილისის“ 2007 წლის განცხადებას, რომ კორპორაცია „სონი ცენტრი თბილისის“ 100% -იანი მფლობელი გახდეს.

სხდომაზე საკითხი დადებითად გადაწყდა და „სონი ცენტრი თბილისის“ 2007 წლის 15 აგვისტოს განცხადება მიიღეს. სავარაუდოდ, 2008 წლის აპრილ-მაისში დასრულდება გადაფორმების იურიდიული პროცედურა. 2008 წლის სექტემბერში თბილისში ჩამოვა კორპორაცია „სონის“ ცენტრალური ოფისიდან 15-კაციანი დელეგაცია“, – აღნიშნეს „სონი ცენტრი თბილისში“.

როგორც „სონი ცენტრი თბილისიდან“ განაცხადეს, 2008 წლის მარტში მთავრდება „სონის“ საფინანსო წელი. ყოველი წლის მარტში ხდება კორპორაციული საკითხების განხილვა. განიხილება როგორც გასული საფინანსო წლის, ასევე ახალი საფინანსო წლის რიგი საკითხები. აღნიშნული საკითხების განსახილველად ერთი თვეა იაპონიაში შეკრებილია კორპორაცია “სონის“ დირექტორთა საბჭო.

**ინტერპრესნიუსი**

## შენაძენი

### არქივს კონსტანტინე გამსახურდიას ხელნაწერები შეემატა

**დიდი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას პირადი არქივის ნაწილი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს გადაეცა. კერძოდ, XX საუკუნის 10-იან წლებში მწერლის მიერ გერმანიიდან საქართველოში გამოგზავნილი წერილები ცენტრს კონსტანტინე გამსახურდიას შვილთაშვილებმა შორენა და დავით (კონსტანტინეძ) ახობაძეებმა გადასცეს. მწერლის ყველა წერილის ადრესატი მისი მეუღლე რებეკა ვაშაძეა.**

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორის ზუბა კუდავას განცხადებით, აღნიშნული მასალა არის წყარო როგორც კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის, ისე XX საუკუნის ქართული კულტურის შესასწავლად.

მისივე ინფორმაციით, კონსტანტინე გამსახურდიას პირადი არქივის ნაწილი, რომელიც დაახლოებით 60 ერთეულისაგან შედგება, შესასწავლად გადაეცემა მეცნიერებს. სათანადო დამუშავების შემდეგ კი შედგება აღწერილობა და მასალა ყველა მსურველისთვის ხელმისაწვდომი გახდება.

**ინტერპრესნიუსი**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87;
899 32-85-76.
კოსტავას 12

## კადრი



## ანეკდოტები

ცოლი საყვარელთან ნებივრობს. უცებ ქმარი ბრუნდება.

– სწრაფად გადახტი აივნიდან, – ეუბნება ცოლი საყვარელს.

– რას ამბობ, როგორ გადავხტე? ეს ხომ მეცამეტე სართულია?

– გადახტი, გადახტი! რა დროს ცრუმორწმუნეობაა!!!



* * *

– ვასია, კარები ჩაკეტე?

– ჰო, ჩავკეტე. გასაღები ორჯერ გადავატრიალე, ჯაჭვიც მივახმარე, სახელურში ჯოხიც გავუყარე...

– ბიჭებო, მორჩა, ვასიას მეტი არ დაუსხათ! ჩვენ ხომ კარავში ვართ!

* * *

ორი მეთევზე მდინარის ნაპირზე ზის. ვერაფერს იჭერენ. ორი საათის შემდეგ ერთი ეუბნება:

– ცუდია, ფედოტ, რომ ჩემს ნიურკასთან დადიხარ.

გავიდა კიდევ ორი საათი.

– თქვენი, ფროლოვებისა, ვერაფერს გაიგებს კაცი. შენი ცოლი ამბობს კარგიაო, შენი – ცუდიაო.

* * *

– ესე იგი, ავეჯსა და ყველა საოჯახო ნივთს უსკანდალოდ, თანაბრად გავიყოფთ?

– რა თქმა უნდა...

– იმაზეც ვთახმდებით, რომ ნორმალურ ურთიერთობებს შევინარჩუნებთ, როცა შევხვდებით, ერთმანეთს წყნარად მივესალმებით...

– აუცილებლად.

– და გაყრის პირველი დღიდანვე ერთმანეთს კორექტულად მოვექცევით, არა?

– ცხადია.

– შესანიშნავია. მაშინ ვიჩქაროთ – ათ წუთში ჩვენი ქორწილია!..

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12. ტ: 899 53-76-16

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.